www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 18 ნოემბერი, 2004 წელი. №274 (823)

ფასი 50 თეთრი

ამბები

## უმაღლესი განათლების კანონპროექტის საკომიტეტო განხილვა



პარლამენტის განათლების კომიტეტი თანხმობას იღებს, რომ პირველი მოსმენით გაიტანოს კანონპროექტი.

A2

ეკონომიკა

## ცუდი პერსპექტივა თუ მინისტრის ოპტიმიზმი



გუშინ ენერგეტიკის სფერო დღის ნომერ პირველი თემა იყო. ამ სექტორში შექმნილი პრობლემების განხილვამ გუშინ კანცელარიიდან პარლამენტში გადაინაცვლა.

A4

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7-A8

ამინდი

| | 18/11 | 19/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 13 | 13 |
| ქუთაისი | 14 | 18 |
| ბათუმი | 13 | 19 |
| სოხუმი | 12 | 14 |
| ფოთი | 15 | 18 |
| თელავი | 11 | 11 |
| ზუგდიდი | 15 | 18 |
| გორი | 8 | 11 |
| ახმეტა | 11 | 12 |
| ჭიათურა | 11 | 14 |
| ბაგრა | 8 | 12 |
| სამტრედია | 14 | 18 |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7900 |
| ევრო | 2.3261 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3221 |
| რუბლი | 0.0624 |

# საქართველო რუსეთს აკვირდება

ნინო გომართელი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი გუშინ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებს შეხვდა, ქვეყანაში მიმდინარე პროცესები და საქართველოსა და ევროპის საბჭოს შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილა.

საუბარი, ასევე, შეეხო კანონის უზენაესობასა და დემოკრატიული პრინციპების განმტკიცებას საქართველოში, ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების გადაწყვეტისა და ავტონომიების სტატუსის განსაზღვრას, მედიის თავისუფლებას, რელიგიურ უმცირესობათა და საპატიმროებში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს.

ჯგუფს, რომელიც საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფება, შვეიცარიის წარმომადგენელი ჟან კლოდ ჟოზეფი ხელმძღვანელობს.

მისი განცხადებით, ევროპაში დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს საქართველოში მიმდინარე პროცესებს და მხარს უჭერენ საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევას, ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმები გაატაროს.

**"შეხვედრაზე ჩვენ განვიხილეთ ყველა ის საკითხი, რაც ევროსაბჭოს კონვენციების შესრულებას და საქართველოში დემოკრატიის მშენებლობას ეხება. ევროსაბჭო ამ საკითხში დიდი ხანია, მხარს გვიჭერს და დღესაც იგივეს განაგრძობს,"** - განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ამასთან, საგარეო უწყების ხელმძღვანელმა აფხაზეთში არსებულ ვითარებაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ **"საქართველო მკაცრად ადევნებს თვალს და აკვირდება რუსეთის ფედერაციის ქმედებებს ამ რეგიონში არსებული ვითარების ფონზე."**

სალომე ზურაბიშვილი დადებითად აფასებს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის მიერ ბოლო დღეებში გაკეთებულ განცხადებას იმის თაობაზე, რომ რუსეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, **"მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კმაყოფილები ვართ,"** - აღნიშნა ზურაბიშვილმა.

# ამერიკულ დიპლომატიაში "კონდის" ხანა იწყება




A5

*კონდოლიზა რაისი - ჭკვიანი მრჩეველი, აღიარებული მეცნიერი, მოციგურავე, პიანისტი და ახლა უკვე დიპლომატი.*

# არასამთავრობოები პრეზიდენტთან შეხვედრას ითხოვენ

დღეს იურიდიულ საკითხთა კომიტეტი საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების განხილვას მეორე მოსმენით იწყებს. წინასწარი ინფორმაციით, საპარლამენტო უმრავლესობა და კანონპროექტის ავტორები მზად არიან, გაითვალისწინონ ოპოზიციონერთა მოთხოვნები და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დასანიშნ წევრთა წარდგენის უფლება არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციას მიანიჭონ.

ამის მიუხედავად, თავად არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ, რომ მათთვის ასეთი რამ არავის შეუთავაზებია. მეტიც: მათი თქმით, მთავარია არა ის, თუ ვინ დაასახელებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატებს, არამედ ის, რომ ამ უმნიშვნელოვანეს ორგანულ კანონში ცვლილებები, **"გაურკვეველი მიზეზების გამო, დაჩქარებულად შედის."**

ამასთან, "როგორც სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" აღმასრულებელმა დირექტორმა თამარ ჟვანიამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, **"კანონპროექტი ლამის გასაიდუმლოებულად მომზადდა და არასამთავრობოებმა ამის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიტყვეს, როდესაც იურიდიულ კომიტეტში კანონპროექტის პრეზენტაცია მოეწყო.**

გაგრძელება A2 გვერდზე

იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70,20 ლარი; ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124,80 ლარი.



# სრული ქაოსი

ნინო გომართელი

*აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ქვეყნის პრემიერს ნოდარ ხაჟბას აღარ ემორჩილებიან და მოქმედ ხელისუფლებას ვითარების დესტაბილიზაციაში ბრალს სდებენ. ვლადისლავ არძინბა ვიცე-პრეზიდენტს, ოპოზიციის მხარდაჭერისათვის, თანამდებობიდან ათავისუფლებს, რაულ ხაჯიმბა კი სერგეი ბაგაფშს პრეზიდენტობაზე უარის თქმას სთავაზობს. ერთი სიტყვით, არაღიარებულ რესპუბლიკაში სრული ქაოსია.*

აფხაზმა მილიციელებმა მოქმედ პრეზიდენტს მიმართვა გაუგზავნეს, რის შემდეგაც 2500-მა სამართალდამცველმა ხელისუფლების მორჩილებაზე უარი განაცხადა.

"მილიციის ორგანოს პირადი შემადგენლობა კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ არ აპირებს მომავალშიც მოითმინოს ის ქაოსი და არეულობა, რაც რესპუბლიკაშია და რაშიც დამნაშავეები, უპირველესად, პრემიერი ხაჟბა და მთავრობის სხვა წარმომადგენლები არიან. ისინი, ვინც საინფორმაციო საშუალებებს და რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას დეზინფორმაციას აწვდიან," - ნათქვამია პრეზიდენტ ვლადისლავ არძინბასადმი, ვიცე-პრეზიდენტ ვალერი არშბასა და პარლამენტის სპიკერის ნუგზარ აშუბასადმი გაკეთებულ მიმართვაში.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ენერგეტიკა – მთავრობის აქილევსის ქუსლი

თამარ ხორბალაძე

*პრემიერი ზურაბ ჟვანია საკუთარი მთავრობის თითქმის ერთადერთ სისუსტედ ენერგეტიკულ სექტორში შექმნილ სიტუაციას მიიჩნევს. ამის შესახებ რევოლუციის წლისთავამდე გამართულ მთავრობის ბოლო სხდომაზე თავად ზურაბ ჟვანიამ განაცხადა და შესაბამისად გააფრთხილა კიდეც მინისტრი გილაური. თუმცა, მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ენერგეტიკის თემაზე ვრცლად არ უსაუბრიათ. მთავრობა უფრო მეტი ხალისით საკუთარ წარმატებებზე საუბრობდა.*

### მთავრობა 2004 წლის ბიუჯეტს ისევ ზრდის

ფინანსთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმა მთავრობის გუშინდელი სხდომის ერთ-ერთი მთავარი განსახილველი თემა გახლდათ. ცხადია, ფინანსთა მინისტრმა და საბაჟო და საგადასახადო სამსახურების ხელმძღვანელებმა გუშინ მომენტი ხელიდან არ გაუშვეს და რეფორმასთან ერთად გადაჭარბებულ საბიუჯეტო გეგმებზეც ისაუბრეს.

მინისტრ ნოღაიდელის განცხადებით, დღეისთვის ბიუჯეტში 1 მილიარდ 516 მილიონი ლარია მობილიზებული, რაც 87 მილიონით მეტია აგვისტოში განსაზღვრულ პარამეტრთან შედარებით. რაც შეეხება რეფორმას - მინისტრის ინფორმაციით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელთა რაოდენობა, უწყებაში მიმდინარე რეფორმის შედეგად, 5352-დან 3600-მდე შემცირდა. სამინისტროში არსებული 28 დეპარტამენტიდან 14 დარჩა. იგეგმება თანამშრომელთა ხელფასების მნიშვნელოვანი ზრდაც.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მეცნიერება და ტექნიკა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## ვინ უნდა მოეკლა გუშინ დაკავებულ კილერს?

გუშინ საღამოს დიღომში სამართალდამცველებმა, მოულოდნელად ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, ადრე ყაჩაღობისთვის ნასამართლევი, ოზურგეთელი ირაკლი ტყეშელაშვილი დააკავეს. სამართალდამცველების განცხადებით, ის საშიში დამნაშავეა. როგორც პოლიცია ირწმუნება, წინასწარი მონაცემებით დადგენილია, რომ ირაკლი ტყეშელაშვილი საქართველოში სტუმრად მყოფი ერთ-ერთი რუსი ბიზნესმენის ლიკვიდაციას გეგმავდა. ვინ არის მკვლელობის დამკვეთი და ვინ არის ის რუსი ბიზნესმენი, რომლის მოკვლასაც ეჭვმიტანილი აპირებდა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გასაიდუმლოებულია. "დაკავებისას მას თან ჰქონდა სამგზავრო ჩანთა, რომელშიც ორი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და ნაგანის სისტემის პისტოლეტი აღმოჩნდა", - აცხადებენ პოლიციაში. პოლიციისვე ინფორმაციით, დაკავება იმ დროს მოხდა, როცა ეჭვმიტანილი თანამზრახველებს უნდა შეხვედროდა. ტყეშელაშვილი ამჟამად ეჭვმიტანილია ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-ტარებაში. თუმცა, როგორც სამართალდამცველები ვარაუდობენ, უახლოეს მომავალში მას ბრალი გაცილებით მძიმე მუხლით წარედგინება, რის შემდეგაც გამოძიება დაკავებულისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნის შუამდგომლობით სასამართლოს მიმართავს.

*24 საათი*

## სამსახურიდან გათავისუფლებულ პოლიციელებს სასამართლოს იმედი აქვთ

ერთი კვირის წინ სამსახურიდან გათავისუფლებულმა თბილისის მეტროპოლიტენის პოლიციის თანამშრომლებმა მართლმსაჯულებას უკვე მიმართეს. პოლიციის სტრუქტურაში მიმდინარე რეფორმის მოტივით სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილი პოლიციელების სარჩელი მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში გუშინ შევიდა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებით ჩანაცვლებული მეტროპოლიტენის პოლიციის ყოფილი თანამშრომლები სასამართლოში შეტანილი სარჩელით პრეზიდენტის 2004 წლის 30 ივლისის 297-ე ბრძანებულების შესრულებას ითხოვენ. უმუშევრად დარჩენილები მათი გათავისუფლების გამო დაწერილ არამოტივირებულ ბრძანებებს აპროტესტებენ.

რაც შეეხება პრეზიდენტის ბრძანებულებას, რომლის შესრულებასაც პოლიციის რიგებიდან მოულოდნელად გათავისუფლებები სასამართლოს ძალით ითხოვენ, ამ ბრძანებულებით, ყოფილ თანამშრომლებს სამი თვის დანამატი აქვთ ასაღები წოდებების მიხედვით.

"არც ერთ ბრძანებაში მითითებული არ არის, რა მოტივით გაათავისუფლეს თანამშრომლები. გარდა ამისა, ბრძანებები 3 ნოემბერს დაიწერა, თანამშრომლები კი სამსახურიდან 8 ნოემბერს დაითხოვეს", - აცხადებს მოსარჩელეების ინტერესების დამცველი, რომლის ინფორმაციითაც, მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში შეტანილ სარჩელს უმუშევრად დარჩენილი 150 ყოფილი პოლიციელი აწერს ხელს. ადვოკატის ვარაუდით, მოსარჩელეების რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

*24 საათი*

## თურქი მეწარმე საქართველოს ბიუჯეტის წინააღმდეგ

რესპუბლიკის მოედანზე მდებარე რესტორან "ვერნისაჟის" თურქი მეპატრონის საადენტინ ოსკანზანჩის წინააღმდეგ ფინანსურმა პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. თურქ ინდმეწარმეს პოლიცია დიდი ოდენობით გადასახადების დამალვაში ედავება.

"რესტორანი "ვერნისაჟი" თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქემ 2003 წელს შეიძინა და დღემდე გაწეული სამეწარმეო საქმიანობის პროცესში სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილ თანხებს არ იხდიდა. რესტორანს ბიუჯეტის სასარგებლოდ სანქცია-საურავების ჩათვლით, 88 177 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა", - განგვიცხადეს ფინანსურ პოლიციაში, სადაც იმასაც ირწმუნებიან, რომ თურქი მეპატრონე საბუღალტრო წიგნს წესის დარღვევით აწარმოებდა და თურქული უაქციზო სასმელებით ვაჭრობდა.

სისხლის სამართლის საქმე თურქი ინდმეწარმის მიმართ რამდენიმე მუხლით აღიძრა.

*24 საათი*

## ბასილ მკალავიშვილის სასამართლო პროცესზე დაზარალებული იეღოველი დაიკითხა

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში ბასილ მკალავიშვილის და მისი მრევლის ექვსი წევრის სასამართლო პროცესზე საქმეში დაზარალებულად ცნობილი იეღოველთა ჯგუფის ნაცვლად, გუშინ მხოლოდ ერთი ადამიანი დაიკითხა. მოწმემ სახალხო დამცველის ოფისში იეღოვას მოწმეებისთვის ლიტერატურის წართმევა და წიგნების დაწვა დაადასტურა. რაც შეეხება ფიზიკურ შეურაცხყოფას, მოწმის თქმით, მსგავს შეხლა-შემოხლას ადგილი არ ჰქონია.

ამ დროისათვის ბასილ მკალავიშვილის და მისი მრევლის ექვსი წევრის სასამართლო პროცესზე დაკითხულნი არიან დაზარალებულად ცნობილი ბაპტისტური ეკლესიის წარმომადგენლები და იეღოვას მოწმეები, გარდა ამისა, სამართალდამცველები, რომლებიც ბასილ მკალავიშვილის მრევლისა და რელიგიური უმცირესობების შეხლა-შემოხლისას წესრიგს იცავდნენ. მათ შორის, ქალაქის ადმინისტრაციული პოლიციის ყოფილი უფროსი მიხეილ სალაძე და სპეცდანიშნულების რაზმის ხელმძღვანელი თემურ მღებრიშვილი. მიხეილ სალაძემ და თემურ მღებრიშვილმა სასამართლო პროცესზე განაცხადეს, რომ ისინი, თბილისში, კედიას ქუჩაზე ეკუმენური ლოცვის დროს წესრიგს იცავდნენ და არც ერთს და არც მეორეს ბასილ მკალავიშვილი არ დაუნახავთ.

*მედია-ნიუსი*

## ცვლილებები სამხარეო ადმინისტრაციაში

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის კიდევ ერთი მოადგილის შტატი შეიქმნა. აღნიშნულ თანამდებობაზე სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი გეწაძემ 27 წლის გიგა შუშანია დანიშნა.

რწმუნებულის ახალი მოადგილე რეგიონში საზოგადოებასთან ურთიერთობას, ადამიანის უფლებების დაცვასა და ძალოვან სტრუქტურებს გაუწევს კურირებას.

*ინტერ-პრესი*

# უმაღლესი განათლების კანონპროექტის საკომიტეტო განხილვა



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*პარლამენტის განათლების კომიტეტი თანხმობას იღებს, რომ პირველი მოსმენით გაიტანოს კანონპროექტი.*

გუშინ პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტში უმაღლესი განათლების კანონპროექტს განიხილავდნენ. განხილვაზე აშკარად იგრძნობოდა კომიტეტის წევრთა ნაკლებობა. კომიტეტის თავჯდომარისა და მისი მოადგილეების გარდა, პარლამენტართაგან სხდომას მხოლოდ "ახლების" წარმომადგენლები ესწრებოდნენ. როგორც ჩანს, ამ დღეებში იმდენი ისაუბრეს კომიტეტსა და სამინისტროს შორის საკითხების შეჯერების შესახებ, რომ დეპუტატებმა ინტერესი დაკარგეს. სამაგიეროდ, სხდომაზე მრავლად იყვნენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები. კანონპროექტის ძირითადი ოპონენტებიც სწორედ ისინი გახლდნენ.

საუბარი და შეკითხვები, ძირითადად, უნივერსიტეტის ავტონომიურობას, აკრედიტაციასა და სააკრედიტაციო საბჭოს, დაფინანსების პრინციპსა და სამეცნიერო ხარისხებს შეეხებოდა. ყურადღების მიღმა არ დარჩენილა არც 65-წლიანი ასაკობრივი ზღვარი. მინისტრს შეახსენეს, რომ ასაკობრივ ზღვარზე საუბრისას ქვეყნის პრეზიდენტმა ორჯერ მოიყვანა ბატონ თამაზ გამყრელიძის მაგალითი და თქვა, რომ მას მოღვაწეობას ვერავინ აუკრძალავს. თუმცა, პრეზიდენტის ეს ზოგადი ნათქვამი განათლების სამინისტროსა და პროფესორ-მასწავლებლებს სხვადასხვაგვარად ესმით. მინისტრი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის ნათქვამისა არ იყოს, ბატონ თამაზ გამყრელიძეს და სხვა მეცნიერებს სამეცნიერო მუშაობა არ უნდა აეკრძალოს, თუმცა ისინი სხვადასხვა ადმინისტრაციული მოვალეობებისაგან უნდა გათავისუფლდნენ. 65 წელს მიღწეული რექტორები, პრორექტორები და დეკანები თანამდებობებს კანონის ძალაში შესვლისთანავე დატოვებენ. აკადემიური თანამდებობების წარმომადგენლები (კათედრის გამგეები) კი ხუთი წლის შემდეგ. პრეტენზიები გამოითქვა იმის თაობაზეც, რომ სააკრედიტაციო საბჭოს მუშაობას ძირითადად განათლების სამინისტრო წარმართავს, არადა ის წესით დამოუკიდებელი ორგანო უნდა იყოს. როგორც აღმოჩნდა, ამის საშუალებას არსებული კონსტიტუცია არ იძლევა. სავარაუდოდ, ახლო მომავალში კონსტიტუციაში შესწორებები შევა და აკრედიტაციის მომავალ პროცესს უკვე დამოუკიდებელი სააკრედიტაციო საბჭო გააგრძელებს.

რაც შეეხება უნივერსიტეტის ავტონომიურობას, არსებული რეალობისგან განსხვავებით, უნივერსიტეტებს მაღალი ხარისხის ავტონომია ენიჭებათ, აკადემიური საბჭოს მიერ არჩეულ რექტორს აღარავინ ამტკიცებს, ფაკულტეტები ხდებიან ბიუჯეტების განმკარგავები, მათვე აქვთ უფლება იქონიონ, ან არ იქონიონ კათედრები იმ ფორმით, რა ფორმითაც მათ ეს სურთ. ფაკულტეტებსვე ეძლევათ აკადემიური ხარისხების მინიჭების ავტონომიური უფლებაც. შეკითხვაზე, თუ რამდენად იქნება ამ შემთხვევაში შესაძლებელი ხარისხის კონტროლი, მინისტრმა უპასუხა, რომ ხარისხის კონტროლს, ერთი მხრივ, სახელმწიფო აკრედიტაცია უზრუნველყოფს, ხოლო მეორე მხრივ - ფაკულტეტის ზრუნვა საკუთარ სახელსა და პრესტიჟზე.

სხდომის დასრულებისას ყველამ დაადასტურა, რომ უმაღლესი განათლების კანონპროექტის ძირითად პრინციპებს მხარს უჭერს. შეკრებილებმა თანხმობა განაცხადეს, რომ კანონი პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღოს. უკმაყოფილოები დარჩნენ მხოლოდ "ახლები", ნოდარ ნათაძე და დაჩი ცაგურია.

*24 საათი*

# არასამთავრობოები პრეზიდენტთან შეხვედრას ითხოვენ

პირველი გვერდიდან

**საერთოდ, ჩვენთვის მთავარია არა კანონში შეტანილი ცალკეული ცვლილებები, არამედ მთელი საარჩევნო სისტემის რეფორმირება. თუკი პარლამენტი საარჩევნო კოდექსში მხოლოდ კონკრეტული ცვლილებების შეტანით შემოიფარგლება, სისტემის რეფორმირებაზე საუბარი წყლის ნაყვა იქნება. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ პარლამენტმა ცვლილებების განხილვა უნდა შეაჩეროს და არასამთავრობო სექტორთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან საჯარო მსჯელობისა და დისკუსიების შედეგად, საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების ისეთი მოდელი შეიმუშაოს, რომლის წყალობითაც, მართლაც პროფესიული საარჩევნო კომისიები გვეყოლება."**

ამასთან დაკავშირებით, "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების", ფონდი "სამართლიანი არჩევნების", "ახალი თაობა - ახალი ინიციატივის", "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა" და "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრებმა კონკრეტული წინადადებები შეიმუშავეს. საკომიტეტო განხილვამდე ორი დღით ადრე ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეეხვედრა მოითხოვეს. ანალოგიური მოთხოვნით, არასამთავრობოებმა პარლამენტის თავმჯდომარესაც მიმართეს.

დღეს კი, "საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი" აწყობს მრგვალ მაგიდას, რომლის მსვლელობის დროსაც განხილული იქნება პირველი მოსმენით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები. ამ შეხვედრაზე მიწვეულნი არიან პარლამენტის წევრები, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

**"ვიმედოვნებთ, რომ მრგვალი მაგიდა უფრო გამჭვირვალეს გახდის დებატებს ამ ძალიან მნიშვნელოვანი კანონის ირგვლივ, რომელმაც დემოკრატიის ძირითადი პრინციპების დაცვა უნდა უზრუნველყოს,"** - აცხადებენ დღევანდელი შეხვედრის ორგანიზატორები.

*24 საათი*

# შსს ნოღაიდელის პოლიტიკას იკვლევს

გუშინ პრეზიდენტთან საგანგებოდ გამოცხადებულმა ძალოვანმა მინისტრებმა კარს მიღმა ორსაათიანი საუბრის შემდეგ ისე დატოვეს კანცელარიის შენობა, საუბრის თემა გასაიდუმლოებული დარჩა. "ყოველდღიურ თემებზე ვისაუბრეთ," - ასეთი მოკლე კომენტარები გააკეთეს პრეზიდენტის კაბინეტიდან გამოსულმა ძალოვანებმა, თუმცა მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტთან საიდუმლო ორსაათიანი თათბირი ფინანსთა სამინისტროში შსს-ს საგამოძიებო ჯგუფის შესვლის ფაქტს შეეხებოდა, რომლის თაობაზეც "24 საათი" სამშაბათს უკვე წერდა.

როგორც ვიუწყებოდით, საკითხი შეეხება სახაზინო ვალდებულებებს. შსს-ში მიაჩნიათ, რომ მაშინ, როცა ხაზინაში არის ფული, ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვება მიზანშეუწონელია და გარკვეულ ეჭვებს ბადებს.

შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი ფინანსთა სამინისტროში რამდენიმე დღის წინ, სწორედ იმ დროს შევიდა, როდესაც ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი მივლინებით ინგლისში იმყოფებოდა.

შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტში მიიჩნევენ, რომ გამოძიებით, რომელიც ფინანსთა სამინისტროში რამდენიმე დღის წინ დაიწყო, შესაძლოა, არა მარტო ნოღაიდელის, არამედ მისი წინამორბედი მინისტრების პერიოდის დარღვევებსაც აეხადოს ფარდა. თავად ნოღაიდელი აცხადებს, რომ სახაზინო ვალდებულებებთან დაკავშირებით, ვერანირ დარღვევას შსს-ს წარმომადგენლები მის უწყებაში ვერ აღმოაჩენენ. **"სახაზინო ვალდებულებების განსაზღვრა ფინანსთა მინისტრის პოლიტიკაა და ვიდრე მე მინისტრი ვარ, ჩემს საფინანსო პოლიტიკაში ვერავინ ჩაერევა,"** - ასეთი გახლავთ ზურაბ ნოღაიდელის პოზიცია.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოქმედი შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომა დღეს ვლადიკავკაზში გაიმართება. შეხვედრაზე, დემილიტარიზაციის შესახებ სოჭში 5 ნოემბერს მიღწეული შეთანხმების შესრულებაზე იმსჯელებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართული სამშვიდობო ასეული ერაყიდან საქართველოში დღეს დაბრუნდება. დახვედრის საზეიმო ღონისძიება 23.00 საათზე თავდაცვის სამინისტროს შვეულმფრენთა საავიაციო ბაზაზე გაიმართება. დაბა ალექსეევკაში დახვედრის საზეიმო ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე, გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე, აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი და სხვა ოფიციალური პირები დაესწრებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან სახელმწიფო კანცელარიაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი შეიკრიბა. შეხვედრას, რომელიც დახურულ კარს მიღმა დაახლოებით ორი საათი გაგრძელდა, ესწრებოდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია. მისი დასრულების შემდეგ ლომაიამ ჟურნალისტებთან საუბრისას პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან გამართულ დიალოგს "თბილი, კონსტრუქციული და მეგობრული" უწოდა.

მინისტრის თქმით, შეხვედრაზე განიხილებოდა მეცნიერებისა და განათლების სფეროში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობის ბრძანებით, 17 ნოემბერს, დაახლოებით 17 საათზე, ქართულ სამხედრო შენაერთს ცხინვალში შესვლის უფლება არ მიეცა. ქართულ ბატალიონში 18 ნოემბრიდან როტაცია უნდა დაიწყოს და ქართველი სამხედროები ცხინვალში ამის გამო მიდიოდნენ. შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის წარმომადგენელთა განმარტებით, საღამოს საათებში, უსაფრთხოების დაცვის გამო, კონფლიქტის ზონაში სამხედროთა გადაადგილება მიზანშეწონილი არ არის. 18 ნოემბრის დილიდან კი მათ ცხინვალისკენ გადაადგილების საშულება მიეცემათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია არ აპირებს, რაიმე შეფასება მისცეს საქართველოს მთავრობის ერთწლიან მუშაობას, რომელიც ხელისუფლებაში 2003 წლის ნოემბერში, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ მოვიდა, - განაცხადა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა. "უცხოეთის ქვეყნების მთავრობათა ერთწლიანი ან, თუნდაც, ხუთწლიანი მუშაობის შეფასება ჩვენს უფლებებში არ შედის. დემოკრატიული ხელისუფლება თავად არის პასუხისმგებელი ამომრჩევლების წინაშე. ამის მიუხედავად, ცხადია, რომ აშშ-ს ადმინისტრაცია პრეზიდენტ სააკაშვილის მთავრობასთან წარმატებით თანამშრომლობს," - აღნიშნა მან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. შეცვლის ვლადიმირ პუტინისა და მიხეილ სააკაშვილის კიდევ ერთხელ შეხვედრა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში რამეს? - ამ თემაზე ინტერაქტიური გამოკითხვა რადიოსადგურმა "ეხო მოსკვიმ" ჩაატარა. გამოკითხულთა 59 პროცენტი ვარაუდობს, რომ მორიგი შეხვედრა ვერაფერს შეცვლის.

რადიომსმენელებისგან განსხვავებული აზრი გამოთქვა "ეხო მოსკვი"-ს სტუმარმა, საქართველოს ელჩმა რუსეთის ფედერაციაში ვალერი ჩეჩელაშვილმა. მისი თქმით, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა სასურველ სტადიაში ნამდვილად არ არის და ამაში "დამნაშავეები პოლიტიკოსები და დიპლომატები არიან". ელჩის ზრით, საქართველო-რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესების "ძალზე დიდი პოტენციალი" არსებობს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი,
სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღის ეთერში **FM 107.4** ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის სასამართლო. გავასამართლოთ სხვადასხვა მოვლენები, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 ნაფიცი მსმენელი იქნებით თქვენ.

## საქართველოში საათის ისრების ერთი საათით უკან გადაწევის პროცესი





| | |
|---|---|
| განსასჯელი - | საქართველოს ევროპულ სასაათო სარტყელში მოქცევა (საქართველოს პრეზიდენტის 9 სექტემბრის ბრძანებულება საქართველოში საათის ისრების ერთი საათით უკან გადაწევის თაობაზე) |
| ბრალმდებელი - | ზურაბ მურვანიძე, ნეიროქირურგი,ფსიქოლოგი |
| სახაზინო ადვოკატი - | აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე,ფიზიკოსი |
| მოწვეული ექსპერტი - | მიხეილ ცაგარელი,ასტროლოგი |
| ბრალი ედება - | ა) უარყოფით ეკონომიკურ შედეგებში<br>ბ) ფსიქიკაზე უარყოფით ზემოქმედებაში |
| ბრალმდებლის მოთხოვნა - | საქართველოში საათის ისრების ერთი საათით წინ გადაწევა |
| განჩინება - | საქართველოს ევროპულ სასაათო სარტყელში მოქცევა შეფასდეს,როგორც საზოგადოებისათვის ნეგატიური მოვლენა და საქართველოში საათის ისრები ერთი საათით წინ გადაიწიოს |
| ვერდიქტი - | საქართველოს პრეზიდენტის 9 სექტემბრის ბრძანებულება საქართველოში საათის ისრების ერთი საათით უკან გადაწევის თაობაზე (9 ხმა 3-ს წინააღმდეგ) სასამართლომ ცნო დამნაშავედ და დააკმაყოფილა ბრალმდებლის მოთხოვნა |
| 12 ნაფიცი მსმენელი : | 1. ანონიმი (უდანაშაულო) / 2. პაატა დოლენჯაშვილი (დამნაშავე) /3. ცისანა ქუთათელაძე (დამნაშავე) / 4. ჯან მალევანიანი (დამნაშავე) / 5. ლოლიტა დავითულიანი (დამნაშავე) / 6. თეო ცინცაძე (უდანაშაულო) / 7. ანონიმი (უდანაშაულო) / 8. ანონიმი (დამნაშავე) / 9. ანონიმი (დამნაშავე) / 10. ანონიმი (დამნაშავე) / 11. ანონიმი (დამნაშავე) / 12. ანონიმი (დამნაშავე) |

# ენერგეტიკა - მთავრობის აქილევსის ქუსლი

პირველი გვერდიდან

ამჟამად, ფინანსთა სამინისტროში მინიმალური ხელფასი - 400 ლარს, ხოლო მაქსიმალური 600 ლარს შეადგენს.

საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინფორმაციით კი, 2005 წლისათვის საგადასახადო დეპარტამენტი რამდენიმე ღონისძიების გატარებას აპირებს. პრიორიტეტებია ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების შემდეგ გადასახადების გადამხდელების ხელახალი რეგისტრაცია, დეპარტამენტის სრული კომპიუტერიზაცია, საგადასახადო დეკლარაციების ელექტრონული შევსება და ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფა; ასევე - საგადასახადო კონტროლის სისტემის სრულყოფა.

მისი ინფორმაციით, 2004 წლის 10 თვის საგადასახადო შემოსავლები 4.9 პროცენტით აჭარბებს გეგმას, რაც 40.3 პროცენტით მეტია 2003 წელთან შედარებით.

გალეგაშვილის ინფორმაციით, წარმატებების ძირითადი მიზეზებია მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის გაძლიერება, აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის ჩამოყალიბება და სხვა.

ვრცელი ანგარიშით წარდგა საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი გოდაბრელიძეც. მისი თქმით, სტრუქტურული რეფორმის პირველი ეტაპი 2004 წლის 2 აგვისტოს განხორციელდა; საბაჟო დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის 16 სამმართველო 11-მდე შემცირდა. შეიქმნა სამი ახალი სამმართველო ახალი ფუნქციებით: ტერიტორიულ ორგანოებს შორის გაუქმდა ავტონომიური რესპუბლიკების - აფხაზეთისა და აჭარის საბაჟო სამმართველოები, გაუქმდა შერეული ტიპის ორი რეგიონული საბაჟო (რკინიგზა, ენერგეტიკა), დარჩა მხოლოდ ტერიტორიული პრინციპით ოთხი რეგიონული: აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთის, სამხრეთის საბაჟოები, თუმცა რამდენიმე თვეში ამ თვალსაზრისითაც იგეგმება ცვლილებები.

ოთხი რეგიონული საბაჟოდან დარჩება მხოლოდ ორი - აღმოსავლეთი და დასავლეთი. ამ საბაჟოებზე იქნება დელეგირებული საბაჟო კონტროლთან და გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა ფუნქცია და დეპარტამენტის ცენტრალური აპარატი მხოლოდ საზედამხედველო ფუნქციებს შეასრულებს.

გიორგი გოდაბრელიძის თქმით, გაუმჯობესდა ფისკალური საქმიანობა. ნოემბრის ბოლოს 200 მლნ ლარით მეტი იქნება ბიუჯეტში საბაჟო შემოსავლების კუთხით მობილიზებული, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ფისკალური მაჩვენებლების გაუმჯობესება კი რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა; კერძოდ: ადმინისტრირების გამკაცრებამ, აქციზური საქონლის კონტროლმა, აჭარის საბაჟოს პრობლემების მოგვარებამ და ერგნეთის ბაზრობაზე კონტრაბანდის აღკვეთამ.

**"2004 წლის იანვარ-ოქტომბერში ფინანსთა სამინისტროს განწერით საბაჟო დეპარტამენტის საპროგნოზო მაჩვენებელი შესრულებულია 117 პროცენტით. წლის ბოლომდე კი დამატებით საპროგნოზო მაჩვენებელზე 55.000.000 ლარით მეტი საბაჟო გადასახდელების ამოღებას ვგეგმავთ,"** - განაცხადა გიორგი გოდაბრელიძემ.

საბოლოოდ გაირკვა, რომ წლის ბოლომდე მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი საგეგმო პარამეტრები კიდევ ერთხელ შეიცვლება. როგორც პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, ერთ კვირაში მთავრობა პარლამენტში განსახილველად 2004 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტს შეიტანს. ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლექსო ალექსიშვილმა ბიუჯეტის გაზრდილი პარამეტრების ზუსტი მოცულობა ჟურნალისტებთან საუბრისას არ დააკონკრეტა, ვინაიდან მისი თქმით, ჯერჯერობით, არ გადაწყვეტილა, რამდენი მილიონით გაიზრდება მიმდინარე ბიუჯეტის ხარჯვითი და საშემოსავლო ნაწილები. შეგახსენებთ - 2004 წლის ბიუჯეტის კორექტირება პირველად აგვისტოში მოხდა. გაზრდილი საბიუჯეტო შემოსავლების ხარჯზე მთავრობამ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 223 მლნ ლარით გაზარდა.

### მთავრობა საქართველოსთვის ოპტიმალურ დროს ეძებს

უახლოეს მომავალში საათის ისრებმა, შესაძლოა, ერთი საათით ისევ წინ გადაიწიოს. როგორც მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, **"საქართველოში ამჟამინდელი დროით 17.00 საათზე უკვე ბინდდება და განათებული დროის დიდი ნაწილი მოდის იმ პერიოდზე, როცა მოსახლეობა ნაკლებად აქტიურია".**

პრემიერ-მინისტრის თქმით, შესაბამის უწყებებთან ერთად, უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმსჯელებს, რა რეჟიმია ოპტიმალური ქვეყნისთვის.

ეს განცხადება მოჰყვა ორშაბათს, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის რომან გოცირიძის ინიციატივას საათის ისრების ერთი საათით წინ გადაწევის შესახებ (გოცირიძის განცხადებას საფუძვლად დაედო მოსახლეობის გამოკითხვა).

**"საათის ისრების გადაწევამ უამრავი ადამიანი შეაწუხა, ეკონომიკური აქტივობა დაქვეითდა, ვაჭრობას ხელი ეშლება და ენერგეტიკაზეც უარყოფით გავლენას ახდენს,"** - განაცხადა ორშაბათს გოცირიძემ.

შეგახსენებთ - საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საზაფხულო დრო გაუქმდა - 31 ოქტომბერს საათის ისრები ერთი საათით უკან გადაწიეს. მანამდე ზაფხულშიც, პრეზიდენტის ბრძანებით, საათის ისრებმა ერთი საათით უკან გადაიწია.

### პაპუაშვილი ევროპას "ასწრებს", ბენდუქიძე კი - ეჭვობს

იუსტიციის სამინისტრო ერთიანი პლასტიკური პირადობის ბარათების შემოღების ინიციატივით გამოდის, რომელზეც მოქალაქის შესახებ დეტალური ინფორმაცია იქნება თავმოყრილი. როგორც იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, **"ამგვარი ტიპის ბარათების შემოღება, შესაძლოა, ამბიციურიც იყოს, ვინაიდან მას დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაშიც ახლა ნერგავენ, მაგრამ თუ შესაძლებელი გახდა დონორთა დახმარების მოზიდვა, ეს ქვეყნის მომავალი პერსპექტივისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება".**

ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე კი მიიჩნევს, რომ ახალ სისტემაზე გადასვლა დიდ ფინანსურ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული და შემდგომში მათი მომსახურებისთვის სახელმწიფოს დონორთა დახმარების იმედი აღარ უნდა ჰქონდეს.

პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გადაწყვეტილებით, გიორგი პაპუაშვილის თავმჯდომარეობით უწყებათშორისი კომისია შეიქმნება, რომელიც გადაწყვეტს, მოქალაქის შესახებ რა სახის ინფორმაციას უნდა შეიცავდეს პლასტიკური ბარათი. მთავრობის სურვილია, რომ პლასტიკური ბარათები მომავალი წლიდან გაიცეს და მომავალ არჩევნებში მოქალაქეებმა მონაწილეობა ახალი ბარათებით მიიღონ.

გუშინვე ისევ და ისევ იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ **"რამდენიმე წელიწადში სამთავრობო სტრუქტურებს შორის ინფორმაცია ელექტრონული საშუალებებით იმოძრავებს".**

პაპუაშვილის თქმით: **"ამგვარი ფორმა ამარტივებს ურთიერთობას სახელმწიფო სტრუქტურებს შორის, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ - სახელმწიფო სტრუქტურებსა და უბრალო მოქალაქეებს შორის. მსგავსი ღონისძიების გატარება ურთიერთქმედებებს როგორც დროის, ასევე ფინანსური თვალსაზრისით უფრო მოქნილს ხდის."**

იუსტიციის მინისტრის მიერ მთავრობის სხდომაზე წარმოდგენილი სამოქალაქო რეესტრის რეფორმის გეგმა მოიწონა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ, თუმცა შენიშვნები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჰქონდა ეკონომიკური განვითარების მინისტრს კახა ბენდუქიძეს. მაგალითად, მას მიაჩნია, რომ მაშინ, როცა საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ელექტრონული სისტემა და კომპიუტერიზაცია სრულყოფილად არ მოქმედებს, ამ მოდელის ამოქმედებაში პრობლემები გარდაუვალი იქნება.

### აეროპორტი საერთაშორისო სტანდარტებისგან კვლავ შორსაა

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია თბილისის აეროპორტში შექმნილი მდგომარეობით უკმაყოფილოა. როგორც მან მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, აეროპორტში საკმაოდ არაცივილიზებული ვითარებაა.

**"ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია, რაღაც პრეტენზიები გამოვხატო საბაჟოს ან სხვა რომელიმე სამსახურის მიმართ, მით უფრო, რომ პრობლემები გამოწვეულია თავად შენობის აბსოლუტური მოუქნელობით, მაგრამ რისი გაკეთებაც შეიძლება, ეს აუცილებლად უნდა გავაკეთოთ. ევროპიდან ჩამოსულ რეისებზე ადამიანებს არ უნდა აუწონონ, რამდენი კილოგრამი ტვირთი აქვთ ჩამოტანილი, რამდენი სიგარეტი და ასე შემდეგ,"** - აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ.

**"შესაძლოა, ჩვენ ამ საკითხზე დამატებით შევიკრიბოთ და აეროპორტში მივიდეთ. საქართველოში ერთი ადგილი მაინც უნდა იყოს, სადაც ადამიანებს შეეძლებათ ცივილიზებულად ჩასვლა და გასვლა. რაღაც ნორმები დაცული უნდა იყოს, მაგრამ არ შეიძლება, აეროპორტში სამარცხვინოდ იყოს გამოკრული, ადამიანს რამდენი ცალი რისი შემოტანა შეუძლია,"** - განაცხადა ჟვანიამ.

მთავრობის სხდომაზე პრემიერმა ასეთი მაგალითიც მოიყვანა: **"რამდენიმე დღის წინათ სრულიად პარადოქსული შემთხვევა დაფიქსირდა: ერთ-ერთ ქალბატონს საქართველოდან გაჰქონდა ოქრო. მან არ იცოდა, ოქროს გადატანაზე შეზღუდვა რომ აღარ არის, რის გამოც საბჭოთა ტრადიციებით, ოქრო ფეხსაცმლის ქუსლში შემალა,"** - განაცხადა ჟვანიამ.

### დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიების ფუნქციების შეზღუდვა გადაიდო

დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციონირებისა და ამ ორგანოებში გასატარებელი რეფორმების საკითხი, რომელიც მთავრობის გუშინდელ სხდომაზე უნდა განხილულიყო, მომავალი კვირისთვის გადაიდო.

ეს საკითხი მთავრობის სხდომაზე ეკონომიკური განვითარების მინისტრ კახა ბენდუქიძეს უნდა წარედგინა. საკითხის გადადების მიზეზად დროის დეფიციტი დასახელდა.

კახა ბენდუქიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ რეფორმა ითვალისწინებს დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიების მიერ სატარიფო რეგულირებას, ხოლო ტექნიკურ საკითხებს სხვა ორგანოები უნდა არეგულირებდნენ.

### მთავრობის პოზიცია ფინანსურ ამნისტიასთან დაკავშირებით უცვლელია

მთავრობა "არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონპროექტთან დაკავშირებით პოზიციებს არ თმობს და პოლიტიკური ხასიათის შენიშვნებს არ ითვალისწინებს; კონკრეტულად კი - ოპოზიციისა და საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი წევრის მოთხოვნას: გავრცელდეს ფინანსური ამნისტია იმ გადამხდელებზეც, რომლებმაც აღიარეს დავალიანება და დარიცხული აქვთ გადასახადები. ასევე მათზე, ვის მიმართაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ამ კანონპროექტთან დაკავშირებით მთავრობამ საკუთარი პოზიცია სხდომაზეც გამოხატა. მთავრობის სხდომას პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძეც ესწრებოდა. როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ამ საკითხზე საუბარი პრეზიდენტთანაც შედგება, ვინაიდან ფინანსური ამნისტია არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ხასიათსაც ატარებს.

# სრული ქაოსი

პირველი გვერდიდან

შს სამინისტროს წარმომადგენლების აზრით, ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები თავიანთი განცხადებებით აფხაზეთში ვითარების დესტაბილიზებას ახდენენ, რაც კიდევ უფრო მწვავე დაპირისპირებაში გადაიზრდება. **"ამიტომაც, ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ადრე გამოთქმულ პოზიციას იმის თაობაზე, რომ მსგავს ხელისუფლებას ველარ დავემორჩილებით,"** - ხაზგასმულია დოკუმენტში.

მიმართვის ავტორები ბოლო დროს აღდგენილი შინაგანი ჯარების ასეულისა და ხელისუფლების ორგანოების დასაცავად შექმნილი სტრუქტურების განიარაღებას მოითხოვენ. ამასთან, ამოღებული იარაღი და სხვა ქონება რესპუბლიკის ძალოვან უწყებებს უნდა ჩაბარდეს.

ამავე დღეს, მოქმედი პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა გადაწყვეტილებას იღებს, რომ თანამდებობიდან გაათავისუფლოს ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშბა.

როგორც დე ფაქტო პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელი როინ აგრბა განმარტავს, **"ვალერი არშბა ღიად უჭერდა მხარს სახელმწიფო გადატრიალებას, რასაც სერგეი ბაგაფშის მომხრეები ახორციელებდნენ, ამით კი ქვეყნის კანონს არღვევდა".**

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების გადაწყვეტილებაზე კომენტარს კი რაულ ხაჯიმბა აკეთებს: **"არიან ის თანამშრომლები, რომლებიც, მიუხედავად ყველაფრისა, საკუთარი მოვალეობის შესრულებას განაგრძობენ. მეორე ნაწილი კი, როგორც ჩანს, ვიღაცას უჭერს მხარს და წესრიგის დამყარებაზე ნაკლებად ზრუნავს."**

ამასთან, მანვე, გუშინ გამართულ აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს შეხვედრამდე კიდევ ერთხელ გამოთქვა მზადყოფნა, მოხსნას საკუთარი კანდიდატურა აფხაზეთის პრეზიდენტობიდან, თუ იგივეს მისი ოპონენტი სერგეი ბაგაფში გააკეთებს.

**"რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს უხუცესთა საბჭომ, მე დავეთანხმები, თუ ბაგაფშიც დათანხმდება. თუ ის თავის კანდიდატურას მოიხსნის, მეც იგივეს გავაკეთებ,"** - თქვა ხაჯიმბამ.

ამის პარალელურად, პარლამენტის თავმჯდომარე ნუგზარ აშუბა აფხაზეთში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად ოპოზიციის ლიდერს სერგეი ბაგაფშს მიიჩნევს და მოსკოვის მიერ სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრად დასმულ ნოდარ ხაჟბას რუსეთიდან აფხაზეთში ჯარების შემოყვანის მცდელობაში ადანაშაულებს.

აშუბა არ იზიარებს მოსაზრებას აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ვითარების უკიდურესად დაძაბვის შესახებ. მისი განმარტებით, აფხაზეთში არიან ადამიანები, რომლებიც ვითარების პროვოცირებას ცდილობენ.

თავის მხრივ, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ნოდარ ხაჟბა უარყოფს ბრალდებას, რომ მან მოუწოდა რუსეთს, წესრიგის დამყარების მიზნით შეიყვანოს აფხაზეთში თავისი ჯარები.

მისი თქმით, ის მხარს უჭერს რუსეთის პოზიციას აფხაზეთთან დაკავშირებით, თუმცა, პირველ ყოვლისა, ის პროაფხაზურად განწყობილი პრემიერია და ამ თანამდებობაზე მოქმედი პრეზიდენტის, ვლადისლავ არძინბას დანიშნულია და არა მოსკოვის.

**"არასდროს, არც საჯაროდ და არც კერძო საუბრებში მე რუსეთის ხელისუფლებისთვის აფხაზეთში ჯარების შეყვანისკენ არ მომიწოდებია,"** - აღნიშნა ხაჟბამ.

# რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო როდია

*Au - ოქრო! "ყვითელი ცდუნება"! (მეექვსე პერიოდი, პირველი ჯგუფი მენდელეევის პერიოდულ სისტემაში. მასის ატომური ერთეული, - 196, 97). მისი გულისთვის ადამიანები საუკუნეების განმავლობაში ჩადიოდნენ ბოროტებას, ხოცავდნენ, ემტერებოდნენ ერთმანეთს! როგორც ჩანს, ეს ყველაფერი წარსულს ბარდება - ოქრო უფასურდება, მითი მისი ყოვლისშემძლეობის შესახებ იმსხვრევა! არადა, ჯერ კიდევ როდის ამბობდნენ: რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არის!*

გიორგი ასანიშვილი

22-27 ნოემბრის პარლამენტის პლენარული სხდომების დღის წესრიგში მე-14 ნომრად ჩასმულია, ერთი შეხედვით, რიგითი საკითხი: კანონპროექტი "ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ" კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

უბრალო, გასაგებ ენაზე ეს ნიშნავს, რომ ამიერიდან სახელმწიფო იხსნის პასუხისმგებლობას თქვენ მიერ შეძენილი ოქროს ნივთებისა და ნაკეთობების ნამდვილობის დადასტურებაზე. ამაზე თქვენ თვითონ უნდა იზრუნოთ: მეგობრისთვის ნაყიდი საქორწინო ოქროს ბეჭედი ან სამკაული ოქრომჭედელთან უნდა მიიტანოთ იმის დასადასტურებლად, რომ თქვენთვის ძვირფას ადამიანს, ოქროს ნაცვლად, რაღაც ბრჭყვიალა ნივთს არ აჩეჩებთ!

დღემდე ამაზე ხელისუფლება ზრუნავდა: ნებისმიერ საიუველირო მაღაზიაში ნაყიდი საქონელის დამღის უტყუარობაზე პასუხისმგებლობას სახელმწიფო იღებდა. მაგრამ დღეს უკვე ირკვევა, რომ ოქროს ნაკეთობების სინჯის დამადასტურებელი დამღის დარტყმაზე ნებართვის გაცემა, თურმე, კორუფციის წყარო ყოფილა და ამ სფეროში დაკავებული რამდენიმე მეწარმის დაცვის მიზნით, მიზანშეწონილია, რომ ისევ ოქროს ნაკეთობის შეძენის მსურველი მოქალაქე დადგეს რისკის ქვეშ.

აღნიშნულ კანონპროექტს პარლამენტში მომხრეები არ აკლია. ისინი ხმამაღლა საუბრობენ, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ოქრო უკვე აღარ არის სიმდიდრის ეკვივალენტი და, ამდენად, სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მისი დატოვების აუცილებლობა აღარ არსებობს. მიხეილ მაჭავარიანი და რიგი პარლამენტარები ბიუროს ბოლო სხდომაზე დიდხანს ამუნათებდნენ პარლამენტარებს, რომ კანონპროექტი ევროპულ სტანდარტებზეა დაწერილი და მისი მიღება აუცილებელია.

პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს ეჭვი ეპარება, რომ "ევროპულ სტანდარტებზე დაწერილი კანონპროექტი" ქართულ რეალობას მოერგება და მავანთათვის თაღლითობის წყარო არ გახდება.

სხვათა შორის, პარლამენტის სპიკერმა ცოტა დაგვიანებით აღმოაჩინა, რომ კანონპროექტი უკვე ორი მოსმენით არის მიღებული და მას "აღარაფერი ეშველება". ამიტომ, ნინო ბურჯანაძე მხოლოდ იმასღა ითხოვს, **"საქართველოს მოქალაქეებს ჰქონდეთ გარანტია, რომ ხარისხიან ნაკეთობას ყიდულობენ".**

კანონპროექტს, რომელიც ძვირფასი ლითონების დადამღვის სახელმწიფო სტრუქტურის გაუქმებას და დადამღვას კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ განხორციელებას ითვალისწინებს, ნინო ბურჯანაძის გარდა, სხვა დეპუტატებიც ეწინააღმდეგებიან. მაგალითად, საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ბეჟან ბუცხრიკიძემ პლენარულ სხდომაზე რამდენჯერმე აღნიშნა, რომ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, არსებობს მოსახლეობის ისეთივე გაცუცურაკების საფრთხე, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, კერძო კომპანიების მიერ მეანაბრეების "გადაგდების" დროს.

საფრთხის საშიშროებაზე ლაპარაკობს ისიც, რომ "ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ" კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების "შემცვლელი" საკანონმდებლო აქტის მიღება მხოლოდ საგაზაფხულო სესიაზეა ნავარაუდევი.

ასე რომ, ვისაც ოქროულობის მიმართ ოდნავი სიყვარული და პატივისცემა მაინც შერჩენია, ფრთხილად უნდა იყოს: "აურუმის" ნაცვლად, შეიძლება, "კუპრუმი" (სპილენძი) შერჩეს ხელში.

EPRC
Economic Policy and Research Center

მონიტორინგი

## დღეისთვის ხაზინის ანგარიშზე 102,5 მლნ ლარია



| [illegible] | საბაჟო | საგადასახადო | არასაგადასახადო | გრანტები |
|---|---|---|---|---|
| წლიური გეგმა (მლნ ლარი) | 491.60 | 706.38 | 338.01 | 119.04 |
| 11 თვე დღემდე (მლნ ლარი) | 485.39 | 658.60 | 205.20 | 45.20 |
| 11 თვე დღემდე (პროცენტებში) | 99% | 93% | 61% | 38% |
| წლის ბოლომდე შესასრულებელი (მლნ ლარი) | 6.21 | 47.78 | 132.81 | 73.84 |

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაციით, 15 ნოემბრისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულია 80,22 მლნ ლარი, რაც, შეიძლება ითქვას, ბოლო 5 თვის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მაჩვენებელია, თუ გასული თვეების 11 სამუშაო დღის მონაცემებს შევადარებთ.

შემოსავლების ყველაზე დიდი მაჩვენებელი დაფიქსირდა 10 ნოემბერს - 18,87 მლნ ლარი, რომლის ძირითადი ნაწილი 11,7 მლნ ლარი გრანტებზე მოდიოდა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ გრანტების კლასიფიკაციაში კონკრეტული გრანტი დაფიქსირებულია როგორც "სხვა გრანტები". მიმდინარე თვეში აშკარად არ იყო ზემოაღნიშნული გრანტების მიღება დაგეგმილი, რაც იქიდანაც ჩანს, რომ 10 თვის შესრულება იყო 23,48 მლნ ლარი და ამავე დროს, 11 თვის პროგნოზიც იგივე ციფრს წარმოადგენდა (შეგახსენებთ, რომ გრანტების წლიური გეგმა 119,04 მლნ ლარია). ამიტომაც, ნოემბრის თვის გრანტების შესრულების მაჩვენებელი 135 პროცენტი გახდა, რაშიც ნამდვილად გაგვიმართლა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წლიურ გეგმასთან მიმართებაში გრანტების ნაწილი შესრულებულია 38 პროცენტით, ხოლო არასაგადასახადო შემოსავლები - 61 პროცენტით. ფინანსთა სამინისტრო დანაკლისის დაფარვას, ალბათ, საბაჟოსა და საგადასახადო დეპარტამენტების მუშაობის ხარჯზე შეძლებს, თუ წლის ბოლომდე არასაგადასახადო შემოსავლების მობილიზება ვერ მოხერხდება, რადგანაც წლიური გეგმის შესასრულებლად საბაჟო დეპარტამენტს მხოლოდ 6,2 მლნ ლარი აკლია, ხოლო საგადასახადო დეპარტამენტს - 47,78 მლნ ლარი, რაც ალბათ პრობლემატური არ გახდება.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მხრივ უნდა მოგახსენოთ, რომ გაწეულია 1422,55 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 1926,40 მლნ ლარის 74 პროცენტია. ანუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან კიდევ საჭიროა გაწეულ იქნეს 503,86 მლნ ლარის ხარჯი. ამ პერიოდისათვის კი ხაზინის ანგარიშზე 102,5 მლნ ლარია მობილიზებული.

# ცუდი პერსპექტივა თუ მინისტრის ოპტიმიზმი

*ზამთრის მოახლოებასთან ერთად ენერგეტიკის სექტორში არსებული მდგომარეობა უფრო და უფრო აქტუალური ხდება. გუშინ ენერგეტიკის სფერო დღის ნომერ პირველი თემა იყო. ამ სექტორში შექმნილი პრობლემების განხილვამ გუშინ კანცელარიიდან პარლამენტში გადაინაცვლა. სახელისუფლებო განხილვების პარალელურად, ელექტროენერგიის მოთხოვნით, თვეობით შუქს მონატრებულმა მოსახლეობამ რეგიონებში საავტომობილო გზები გადაკეტა. ზუგდიდი-მესტიის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე შეკრებილი ათასამდე მოპიკეტე ხელისუფლების მხრიდან მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში "ენგურჰესთან" დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მწყობრიდან გამოყვანით იმუქრებიან.*

სოფიკო ოხანაშვილი

ენერგეტიკის სექტორში არსებული მდგომარეობის კრიტიკა გუშინ დილიდან მთავრობის სხდომაზე დაიწყო. პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ქვეყანაში არსებული ენერგოკრიზისის გამო შეშფოთება გამოთქვა და ენერგეტიკის მინისტრს ნიკა გილაურს მდგომარეობის გამოსასწორებლად ერთი კვირის ვადა მისცა. ჟვანიამ ხაზგასმით აღნიშნა რეგიონებში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობის შესახებ, სადაც თითქმის არანაირი გრაფიკი არ მოქმედებს. რაც ყოვლად დაუშვებელია. პრემიერ-მინისტრის დავალებების მოსმენის შემდეგ, ქვეყნის ენერგეტიკაში შექმნილ მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით, ნიკა გილაურს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის მიერ საგანგებოდ მოწვეულ სხდომაზე დეპუტატების შეკითხვებზე პასუხის გაცემაც მოუწია.

რატომ არ დაიზოგა "ენგურჰესის" წყალსაცავში არსებული ჰიდრორესურსი, არსებობს თუ არა ჰესის წყალსაცავის დამუშავების გრაფიკი და რატომ მოითხოვეს აფხაზებმა ჰიდრორესურსის დაზოგვის მიზნით ჰესის გამომუშავების შემცირება, რატომ არ სრულდება ენერგეტიკის მინისტრის დაპირება, რომ თბილისს - 24-საათიანი, ხოლო რეგიონებს, გადახდის მიხედვით, 8-18-საათიანი ელექტრომომარაგება ექნებოდათ - ეს იმ შეკითხვების მცირე ჩამონათვალია, რომლებზეც პარლამენტარებს ყველაზე მეტად აინტერესებდათ ნიკა გილაურის პასუხები. მთავრობის წარმომადგენლების მსგავსად, მაჟორიტარი დეპუტატები განსაკუთრებით შეშფოთებული არიან ქვეყნის რეგიონებში არსებული ენერგოკრიზისის გამო. **"ამასთან, გაგვაჩნია ინფორმაცია, რომ ჰესების წყალსაცავები უკვე დაცლილია და სამომავლოდაც არ გვაქვს კარგი პერსპექტივა"**, - სხდომის დაწყების წინ განაცხადა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა.

დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე, სადაც ენერგეტიკაში შექმნილ მდგომარეობას იხილავდნენ, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ბოლო შვიდი თვის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა. მისი განცხადებით, ქვეყნის ენერგოსისტემაში შემცირებულია კომერციული და ტექნიკური დანაკარგები. მიმდინარეობს გამრიცხველიანების პროცესი, როგორც მაღალი ძაბვის ქსელებში, ისე ქვესადგურებში.



ნიკა გილაური: "მე მინისტრად არ დავბადებულვარ..."

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სამტრედიის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზვიად ძიძიგურმა ენერგოსისტემაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ გილაურის ახსნა-განმარტებებს "არაფრისმომცემი მოხსენება" უწოდა და განაცხადა, რომ სამტრედიის რაიონს ერთ თვეზე მეტია, ელექტროენერგია საერთოდ არ მიეწოდება. ძიძიგურმა რეგიონებში შექმნილი მძიმე ენერგოკრიზისის გამო ენერგეტიკის მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება მოითხოვა და მაჟორიტარ დეპუტატებს საკუთარი ძალის დემონსტრირებისკენაც მოუწოდა.

სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატის მუქარას გილაურმა ასე უპასუხა: **"მე მინისტრად არ დავბადებულვარ, მინდა სექტორში მდგომარეობა რეალურად გამოსწორდეს".**

ენერგეტიკის სფეროში შექმნილი პრობლემების განხილვის პარალელურად, გუშინ საღამოს დედაქალაქის ელექტროგამანაწილებელმა კომპანიამ "თელასმა" რუსეთიდან 100 მეგავატი (დღე-ღამეში 2 მილიონი კვტ/სთ) სიმძლავრის იმპორტი დაიწყო. იმპორტისთვის აუცილებელი ტექნიკური საკითხები "თელასსა" და "სახელმწიფო ელექტროსისტემას" შორის უკვე შეთანხმდა და მათ შორის კონტრაქტი გუშინწინ გაფორმდა. კონტრაქტს ხელს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარიც აწერს. რუსეთიდან შეძენილი ელექტროენერგიის საფასური ერთ კვტ/სთ-ზე 2.6 აშშ ცენტი იქნება. რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი მაღალი ძაბვის 500-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზით "კავკასიონით" განხორციელდება. "თელასში" აცხადებენ, რომ რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის დაწყების შემთხვევაში, "ენგურჰესის" წყალსაცავში არსებული ჰიდრორესურსი ზამთრისთვის დაიზოგება. ამჟამად, ჰესის წყალსაცავში არსებული წყლის მარაგი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირებულია. ამასთან, სამდღიანი პაუზის შემდეგ, სომხეთიდან 100 მეგავატი ელექტროენერგიის იმპორტი აღდგა, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი "ალავერდი" შეკეთებულია. ამჟამად თბილისს ელექტროენერგია უწყვეტლივ მიეწოდება.

# მეტისმეტად ოპტიმისტებიც ნუ იქნებით

*ის, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებამდე დიდი გზა აქვს გასავლელი, გუშინ კიდევ ერთხელ დადასტურდა საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის მიერ ჟურნალისტებისთვის და არასამთავრობოებისთვის გამართულ სემინარზე. მიუხედავად ამისა, საქართველოს აქვს პოტენციალი, გახდეს ევროკავშირის უპირველესი პარტნიორი კავკასიაში, - მიიჩნევს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მხარდამჭერის პროექტის ფრანგი ექსპერტი ივან სამსონი. გუშინდელი სემინარის მთავარი თემა საქართველოს ევროკავშირში ეკონომიკური ინტეგრაცია იყო.*

დიანა ჩაჩუა

ევროკომისიის საქართველოს წარმომადგენლობა სახელმწიფო ჩინოვნიკებისთვის, მედიის წარმომადგენლებისათვის, არასამთავრობოებისთვის და ბიზნესწრეებისათვის სემინარების ციკლს იწყებს ევროკავშირის სტრუქტურის, მისი მიზნების და ფუნქციების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის გასავრცელებლად.

როგორც პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მხარდამჭერის პროექტის ხელმძღვანელის მოადგილემ კახა გოგოლაშვილმა აღნიშნა, ამ ეტაპზე საქართველო ვერ აიღებს კურსს ევროკავშირის წევრობაზე, მაგრამ ქვეყანას ევროპელი მეგობრების დახმარებით შეუძლია, ჩაერთოს ევროინტეგრაციაში ეკონომიკური, სავაჭრო, საგანმანათლებლო და სოციალური მიმართულებებით.

სემინარის ავტორებმა განსაკუთრებულად გაუსვეს ხაზი ევროკავშირის გაფართოების შემდეგ მის მიერ დაწყებულ ახალ სამეზობლო პოლიტიკას, რომლის საფუძველსაც ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება წარმოადგენს.

**"იმედი გვაქვს, საქართველო ამ პოლიტიკის აქტიური მონაწილე გახდება. მაქსიმალურად უნა შევუწყოთ ხელი ინვესტიციების მოზიდვას, რაც ევროკავშირში გაერთიანებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება,"** - აცხადებდა კახა გოგოლაშვილი.

შეკითხვაზე - რა არის აუცილებელი საქართველოს ევროკავშირში გაერთიანებისთვის, ივან სამსონი პასუხობს - სიღარიბის და უმუშევრობის აღმოფხვრა და ინვესტიციების ზრდა. მისივე ინფორმაციით, დღეს საქართველოში ინვესტიციების მაჩვენებელი, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ჩათვლით, 11 პროცენტს შეადგენს. ნორმით კი ეს მაჩვენებელი 20 პროცენტს უნდა აღემატებოდეს. **"რატომ არ არის ბევრი ინვესტიცია? თუ რომელიმე ბიზნესმენს ჰკითხავ ამის შესახებ, ის უყოყმანოდ გიპასუხებს, რომ საქართველოში ბიზნესის წარმოება ძალიან რთულია. ამის მიზეზები კი ბევრია - ბიუროკრატია, კორუფცია, მაღალი გადასახადები და არამყარი საბანკო სისტემა,"** - განაცხადა ფრანგმა ექსპერტმა. მისივე თქმით, ქართული ბანკები ძალიან კონსერვატიულები არიან და ზოგჯერ თავიანთ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე ბიზნესმენების.

სემინარზე საქართველოს მეზობლებსაც შეეხო საუბარი. ივან სამსონი ჩვენს დიდ მეზობლებს რუსეთს, უკრაინას და თურქეთს საქართველოს მცირე მეზობლებად მოიხსენიებს. **"ისინი დიდები არიან მოსახლეობით და ფართობით, მაგრამ საკმაოდ მცირენი - ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით,"** - აღნიშნა ექსპერტმა. სამსონის თქმით, საქართველოს დიდი მეზობელი მხოლოდ ევროკავშირია, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი 15-ჯერ მეტია, ვიდრე ჩამოთვლილი სამი სახელმწიფოსი. **"თქვენი სავაჭრო პოლიტიკა უფრო მცირე მეზობლებზეა ორიენტირებული, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თქვენ მეტი პოტენციალი გაგაჩნიათ,"** - განაცხადა გუშინ გამართულ სემინარზე ივან სამსონმა. თუმცა, იქვე არჩევანის გაკეთებისკენ მოგვიწოდა: **"საქართველოს აქვს ორი გამოსავალი, ან დარჩეს არსებულ სიტუაციაში და ორიენტირებული იყოს დსთ-ს და შავი ზღვის ქვეყნების ბაზრებზე და მათ სტანდარტებზე, ან ევროკავშირის ერთიან ბაზარზე შემოვიდეს,"** - განაცხადა მან.

## ჰიდროელექტროსადგურებს 46 დღის წყლის მარაგი დარჩათ?

საქართველოს ენერგეტიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარის, მირონ ფირცხელანის გათვლებით, საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავებში 46 დღის მარაგის ჰიდრორესურსია დარჩენილი.

როგორც გუშინ მირონ ფირცხელანმა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, ყოველდღიურად ქვეყანაში 10-12 მილიონი კილოვატსაათის დეფიციტია, რაც სისტემას უმძიმეს მდგომარეობაში აყენებს.

**"ამჟამად, ბაზისური ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავებში 584 მილიონი კილოვატსაათის ჰიდრორესურსია დარჩენილი, რაც მხოლოდ 46 დღე გვეყოფა. თუ მე-9 ენერგობლოკი იმუშავებს და "თბილსრესის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენერგბლოკებიც ჩაირთვება, შესაძლოა, გამოსავალი მოიძებნოს"**, - განაცხადა ფირცხელანმა.

მისი თქმით, ენერგოსისტემაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის საქართველოს ენერგეტიკის მინისტრზე გადაბრალება მართებული არ იქნება, რადგან საკადრო და სამეურნეო საქმიანობა, აგრეთვე ენერგოლიმიტების დაწესება მინისტრის პრეროგატივა არ არის.

**"სექტორში ხუთი უცხოური მმართველი კომპანია მუშაობს, რომელთა საქმიანობაზეც ყოველწლიურად 2,5 მილინი დოლარი იხარჯება. ამიტომ, ქართულმა მხარემ პასუხი უცხოელ მენეჯერებს უნდა მოსთხოვოს"**, - განაცხადა ფირცხელანმა.

ქართველ ენერგეტიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარემ უცხოელ მენეჯერებთან გაფორმებული კონტრაქტების გადახედვაც მოითხოვა. როგორც მან აღნიშნა, უცხოელი მენეჯერები მათზე დაკისრებულ მოვალეობებს ვერ ასრულებენ, ამიტომ მათთან გაფორმებული კონტრაქტები უნდა გადაიხედოს. **ინტერ-პრესი**

**გვესაჭიროება ჩეხურ-ინგლისურ-ქართული ენების გამოცდილი თარჯიმანი კომპიუტერის ცოდნით. გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:**
**ტელ: 244310, 244305 ; მობილური: 899 176440**
**ელ. ფოსტა: tamriko.natsvlishvili@pagmbh.ge**

### "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**19 ნოემბერს, 12.00-დან 16.00-სთ-მდე:**
სოფელი ტაბახმელის(ნაწილობრივ), ბიოკომბინატის დასახლების მაცხოვრებლებს.

**19 ნოემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ჭავჭავაძის გამზირის(ნაწილობრივ), კლდიაშვილის, არაყიშვილის, ყიფშიძის, ფალიაშვილის(ნაწილობრივ) ქუჩების, დაბა წყნეთის(ნაწილობრივ) მაცხოვრებლებს.

**19 ნოემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
გამსახურდიას(ნაწილობრივ), ყაზბეგის(ნაწილობრივ) გამზირების, გამსახურდიას აღმართის, იყალთოს მთის, ბახტრიონის(ნაწილობრივ), ცინცაძის, ბაკურციხის, წინაუბნის, ტუსკიას, ფანასკერტელ-ციციშვილის, ტეხურის, ჩაილურის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**19 ნოემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
მუხრანის, რატევანის, ხორნაბუჯის, დავით გარეჯელის, ნაგომარის, გლინკას, ჩარგლის ქუჩების მაცხოვრებლებს.




ორი სიტყვით

**თბილისი.** "პროკრედიტ ბანკმა" ახალი აქცია წამოიწყო, რომლის თანახმად, სადეპოზიტო ანგარიშის გახსნის მსურველი წლიური 9,5 პროცენტის ნაცვლად, 10-პროცენტიან სარგებელს მიიღებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დღეს გამართული ვაჭრობის შედეგად, საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1.79 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის მარშრუტის გასწვრივ გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის განსახორციელებლად, კომპანია BP-ს ახალი კონტრაქტორი ჰყავს. როგორც BP-ში განაცხადეს, არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გასაფართოებლად, მცირე გრანტების პროგრამის მართვაზე კონტრაქტი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია Save the Children-თან გაფორმდა. გარემოსდაცვითი და სოციალური განვითარების პროექტების განხორციელებისთის, გრანტებს დამატებით 26 არასამთავრობო ორგანიზაცია მიიღებს. მათ ექვსი საშუამავლო ორგანიზაცია დაეხმარება. პროექტის განხორციელება 2006 წლის დეკემბერში დასრულდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**წყალტუბო.** საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია წყალტუბოს ოფისს აუქმებს და იგი ქუთაისში გადააქვს.

როგორც გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიაში განაცხადეს, ეს გადაწყვეტილება 16 ნოემბერს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის წყალტუბოს ოფისზე თავდასხმამ განაპირობა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების ოთხშაბათის აუქციონზე გასაყიდად გამოიტანეს 2,1 მლნ ლარის ნომინალი, ვადიანობით 364 დღე. ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ცნობით, აუქციონში მონაწილე ბანკების მოთხოვნის საერთო მოცულობამ 3 143 600 ლარი შეადგინა. დაკმაყოფილებული განაცხადების საანგარიშსწორებო თანხა 1 841 980,09 ლარს გაუტოლდა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 13,0 პროცენტით განისაზღვრა, მაქსიმალური - 15,5 პროცენტით , საშუალო შეწონილი - 14,05 პროცენტით. სახაზინო ვალდებულებების წინა, 10 ნოემბრის აუქციონზე, სადაც 1,7 მლნ ლარის ნომინალი გაიყიდა, საპროცენტო განაკვეთები შესაბამისად შეადგენდა 12,9, 14,0 და 13,63 პროცენტს. **პრაიმ-ნიუსი**

# ამერიკულ დიპლომატიაში "კონდის" ხანა იწყება

ნიკა თარაშვილი

*ჯორჯ ბუში სახელმწიფო დეპარტამენტში თავის ყველაზე ერთგულ მრჩეველსა და მეგობარს გზავნის. კონდოლიზა რაისი ამერიკის ისტორიაში სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე პირველი აფრო-ამერიკელი ქალი იქნება. აღიარებული მეცნიერი, მოციგურავე და პიანისტი აშშ-ს დეპარტამენტების ხელმძღვანელებზე თეთრი სახლის გავლენის გასაზრდელად მიავლინეს.*



*მოკლე ბიოგრაფიული ცნობები: კონდოლიზა რაისი დაიბადა 1954წ. ბირმინგჰემში, ალაბამას შტატი. ამ პერიოდში ალაბამა, შეიძლება ითქვას, ყველაზე რასისტული შტატი იყო. ერთ ინტერვიუში ქალბატონი რაისი ამბობს, რომ ამ გარემოში რაიმე წარმატების მისაღწევად შავკანიან გოგონას სხვებზე ორჯერ მეტის სწავლა უხდებოდა. წარმატებებს კი მართლაც შთამბეჭდავს მიაღწია: 15 წლის ასაკში დაამთავრა სკოლა, 19 წლის - უკვე ბაკალავრის ხარისხს ფლობს პოლიტიკურ მეცნიერებებში, 21 წლისა - მაგისტრია. 1981 წელს იღებს დენვერის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა უმაღლესი სკოლის ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს. კონდი, როგორც მას ხშირად ეძახიან, ამ პერიოდიდან სრულფასოვან მეცნიერულ საქმიანობას ეწევა. აშშ-ში და მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო სოვეტოლოგად მიჩნეული რაისი წამყვან უნივერსიტეტებში კითხულობს ლექციებს და ამავდროულად აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსაც აწვდის კვალიფიციურ რჩევებს. სხვათა შორის მეცნიერული მოღვაწეობის პერიოდშიც ბევრ რამეში იყო "პირველი"- მაგ., კონდოლიზა რაისი აშშ-ს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა და ამავდროულად, პირველი შავკანიანი რექტორი იყო სტენფორდის უნივერსიტეტში (სტენფორდის უნივერსიტეტი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელია 1,5 მლრდ აშშ დოლარის ბიუჯეტით). ამის შემდეგ კი, თეთრ სახლში მისი პოლიტიკური კარიერა იწყება - კერძოდ, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში. მისი ბიოგრაფიის ერთი ეპიზოდი ნავთობგიგანტ "შევრონსაც" უკავშირდება. იგი კორპორაციის დირექტორთა საბჭოში შედიოდა (უნდა ითქვას, რომ ბუშის ადმინისტრაციის წევრთა უმრავლესობა ნავთობბიზნესთან გარკვეულ კავშირშია. იგივე ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი და თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი სერიოზულად არიან დაკავშირებული ნავთობკორპორაციებთან.).*

ბუშის ადმინისტრაციაში ცვლილებები გრძელდება. შეგახსენებთ, გასულ კვირას თანამდებობები დატოვეს ჯონ ეშკროფთმა (გენერალური პროკურორი) და დონალდ ევანსმა (ვაჭრობის მდივანი), ხოლო მიმდინარე კვირაში გადადგომების სერია კოლინ პაუელმა (სახელმწიფო მდივანი), როდ პეიჯმა (განათლების მდივანი), სპენს ებრეჰემმა (ენერგეტიკის მდივანი) და ენ ვანემანმა (სოფლის მეურნეობის მდივანი) განაგრძეს. ჯერჯერობით, თანამდებობას ინარჩუნებს თავდაცვის მდივანი და უდავოდ, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი ვაშინგტონში დონალდ რამსფელდი და შიდა უსაფრთხოების მდივანი ტომ რიჯი, თუმცა, სავარაუდოდ, მათი გადადგომის შესახებაც მალე გახდება ცნობილი.

ბუნებრივია, ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო მდივნის პოსტია და შესაბამისად, კოლინ პაუელის შემცვლელადაც ჯორჯ ბუშს ყველაზე წარმოსაჩენი კანდიდატი უნდა წარმოედგინა.

და აი, გუშინწინ აშშ-ს პრეზიდენტმა მსოფლიო ჰეგემონის პირველი დიპლომატის თანამდებობაზე თავისი მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, კონდოლიზა რაისი დაასახელა.

რას უქადის დანარჩენ მსოფლიოს კონდოლიზა რაისის სახელმწო მდივნად დანიშვნა? 2 ნოემბრამდეც ნათელი იყო, რომ არჩევნების შემდეგ, ნებისმიერი კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში, ვაშინგტონში ცვლილებები გარდაუვალი იყო.

დღეს, ექსპერტთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში რადიკალურ ცვლილებებს არ უნდა ველოდეთ - ნათელია, რომ ქვეყნის პირველ დიპლომატად წარდგენილი კონდი აქამდეც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა მთელ რიგ საკითხებს. თუმცა, ანალიტიკოსები, მეტადრე რუსები, ვარაუდობენ, რომ მოკლე ხანში კრემლთან თეთრი სახლის დამოკიდებულება შეიცვლება. "პაუელისგან განსხვავებით, რაისი რუსულ პოლიტიკაში ღრმადაა ჩახედული, - ამბობს ფონდ "ჰერიტეჯის" მოსკოვის ოფისის ხელმძღვანელი ევგენი ვოლკი, - მას არ აქვს ილუზიები აქ მიმდინარე პროცესების შესახებ, აქედან გამომდინარე აშშ-ს დამოკიდებულება გამკაცრდება." მართლაც, კონდოლიზა რაისმა მშვენივრად იცის კრემლის თამაშის წესები. სწორედ მისი მონაწილეობით გახდა შესაძლებელი რუსულ მხარესთან რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სფეროში შეთანხმების მიღწევა (შეგახსენებთ, თავდაპირველად რუსეთი ძალიან გაღიზიანებული იყო აშშ-ს მიერ ახალი სისტემის შექმნის დაწყებით).

კიდევ ერთი მოსაზრება, რაც კონდოლიზა რაისის ნომინირებამაც დაადასტურა: ჯორჯ ბუშის წინა კაბინეტს პირობითად ყოფდნენ "ქორებად" და "მტრედებად". "ქორებში" ძირითადად პენტაგონის ხელმძღვანელობასა და მასთან კავშირის მქონე პოლიტიკოსებს (პირველ რიგში დიკ ჩეინის) გულისხმობდნენ, ხოლო "მტრედებში" სახელმწიფო მდივანსა და მისი უწყების პირველ პირებს რიჩარდ არმიტიჯის ჩათვლით. კოლინ პაუელის გადადგომამ და მასთან ერთად არმიტიჯის წასვლამ თანამდებობიდან პოლიტმიმომხილველებს ეჭვი გაუჩინა, რომ "მტრედები" დამარცხდნენ. მართალია, დონალდ რამსფელდიც, სავარაუდოდ, დიდხანს პენტაგონში არ დარჩება, მაგრამ ეს არ გულისხმობს, რომ მას ვინმე, უფრო რბილი პოლიტიკის მომხრე შეცვლის.

ყველაზე ხშირად კი დღეს ამერიკელი პოლიტილოგები აშშ-ს პოლიტიკის ერთ, მთლიან მონოლითად გადაქცევაზე საუბრობენ, სადაც მეტ-ნაკლებად განსხვავებული აზრი აღარ იქნება. პრეზიდენტმა ერთგვარი სისტემა შეიმუშავა - მეორე ვადით არჩევასთან ერთად ბუშმა ერთგული ხალხი თეთრი სახლიდან დეპარტამენტებში გადაისროლა. იურიდიული მრჩეველი ალბერტო გონსალესი გენერალური პროკურორი გახდება; საშინაო პოლიტიკის მრჩეველი მარგარეტ სპელინგსი - განათლების მდივანი; ტომ რიჯს, რომელსაც ქვეყნის შიდა უსაფრთოხების დეპარტამენტი ებარა, სავარაუდოდ, თეთრ სახლში ამავე სფეროს კოორდინატორი ფენს ტაუნსენი შეცვლის. დემოკრატები კი უკვე ერთგვარი სახელისუფლებო პირამიდის ჩამოყალიბებაზე საუბრობენ, სადაც სხვა ხმა აღარ ისმის, გარდა მის მწვერვალზე მყოფისა.

# ინდოეთის არმია ქაშმირს ტოვებს

ინდოეთის შეიარაღებული ძალების პირველმა კოლონებმა ჯამისა და ქაშმირის შტატების დატოვება დაიწყეს, ჩრდილოეთ რეგიონში სამხედრო მოქმედებების ნაწილობრივი შეწყვეტის შესახებ ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. მეთაურებს, უპირველეს ყოვლისა, ჯარები ანანტნაგის ოლქიდან გამოჰყავთ. შემუშავებული გეგმის თანახმად, პირველ ეტაპზე, ჯამასა და ქაშმირს დაახლოებით 20 000 ჯარისკაცი და ოფიცერი დატოვებს.

ჯარების გამოყვანის ინდოეთის გეგმა (ეს პირველი შემთხვევაა 15 წლიანი დაპირისპირების ისტორიის მანძილზე) პაკისტანმაც მოიწონა, რაზეც ადგილობრივი რადიოსადგურის წარმომადგენელთან ინტერვიუში პაკისტანის საგარეო უწყების პრეს-მდივანმა მასუდ ხანმა ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ ქაშმირში შეიარაღებული ძალების რაოდენობრივი შემცირება სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია, რომელიც ინდოეთსა და პაკისტანს შორის დიალოგის გამართვას შეუწყობს ხელს, რასაც მხარს პაკისტანის პრეზიდენტი ფერვეზ მუშარაფიც უჭერს.

*იტარ-ტასი*

# ევროკავშირი ჩინეთისთვის ემბარგოს მოხსნის წინააღმდეგია

ევროპარლამენტი ჩინეთისთვის იარაღის მიწოდებასთან დაკავშირებით დაწესებული ემბარგოს შენარჩუნების მომხრე აღმოჩნდა. ჩინეთისათვის დაწესებული ემბარგოს მოხსნის წინადადებით ევროკავშირის გავლენიანი წევრი-სახელმწიფოები გამოვიდნენ, პირველ რიგში კი საფრანგეთი. ემბარგოს მოხსნის წინააღმდეგი კი აბსოლუტურად განსხვავებული პოლიტიკური მიმართულების ევროდეპუტატები აღმოჩნდნენ, დაწყებული კონსერვატორებით და დამთავრებული მემარცხენეებით. მათი აზრით, ჩინეთის მიერ ადამიანთა უფლებების დარღვევისა და ტაივანის მისამართით გაკეთებული არაერთი მუქარის ფონზე ოფიციალური პეკინი სანქციის მოხსნას არ იმსახურებს. ბელგიელი იოჰან ვან ჰეკეს მიერ გაკეთებული განცხადება, "ევროკავშირმა რამდენიმე დოლარის გამო პრინციპებს არ უნდა გადაუხვიოს", ემბარგოს მოხსნის მოწინააღმდეგეთა საერთო სულისკვეთებას გამოხატავდა. კენჭისყრის შედეგად გადაწყდა ჩინეთისათვის იარაღის მიყიდვაზე დაწესებული ემბარგოს გახანგრძლივება.

*24 საათი*

# ინგლისში მალე თამბაქოს მოხმარება აიკრძალება

როგორც დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რამდენიმე წელიწადში ინგლისის ყველა კაფეში, რესტორანსა თუ ლუდხანაში თამბაქოს მოწევა აიკრძალება. გარდა ამისა, მოწევა აიკრძალება ოფისებსა და საწარმოებშიც. თუმცა, გამონაკლისის სახით, მავნე ჩვევაზე უარს იმ კერძო კლუბებისა და ლუდხანების მეპატრონეები არ იტყვიან, სადაც მხოლოდ სასმელი იყიდება. უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების ამგვარმა გადაწყვეტილებამ მოწევის მოწინააღმდეგეებში მცირეოდენი იმედგაცრუება გამოიწვია, რადგან ისინი თამბაქოს სრულად აკრძალვას მოელოდნენ. თუმცა, ჯანსაღი ცხოვრების წესის მომხრე აღმოჩნდა გაერთიანებული სამეფოს შემადგენელი ნაწილი - შოტლანდია, რომელიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს აკრძალვას ყველგან აპირებს.

სახელისუფლებო ინიციატივა, გარდა მოწევისა, სიმსუქნის, ალკოჰოლიზმისა და ფსიქიკურ და სექსუალურ ნიადაგზე წარმოქმნილ პრობლემებსაც ეხება. "ამ ინიციატივის იდეა სრული ინფორმირებულობის პირობებში ადამიანებისათვის თავისუფალი არჩევანის დატოვებაში მდგომარეობს. ადამიანებს სურთ, თვითონ აკეთებდნენ არჩევანს, თუმცა, ამავდროულად, ისინი უფლებამოსილი არიან, სანდო ინფორმაციასაც ფლობდნენ", განაცხადა ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა.

*ბიბისი*

**ჯანდაცვის რეფორმა**

- რესტორნებსა და ოფისებში თამბაქოს მოხმარების აკრძალვა;
- მოწევის შეზღუდვა ლუდხანებში;
- საღამოს 9 საათის შემდეგ არაჯანსაღი საკვების რეკლამირება;
- მაღაზიებში გამოტანილ პროდუქტებზე "შუქნიშნის" სისტემის შემოღება: წითელი ფერი არაჯანსაღი პროდუქტის მანიშნებელი იქნება;
- სექსუალურ ნიადაგზე წარმოქმნილი პრობლემების შემთხვევაში თერაპიის პროცედურების გამარტივება;
- ალკოჰოლური სასმელების აღმნიშვნელი მკაფიო სისტემა;
- ჯანდაცვის ეროვნულ სისტემაში "ცხოვრების სტილის გურუ"-ს თანამდებობის შემოღება.

# "ჩვენ მხოლოდ მათ ვკლავთ, ვინც ჩვენ წინააღმდეგ იბრძვის"

ერაყელი მოქალაქის ტაქსინ ალი ჰასანის მეუღლის მარგარეტ ჰასანის სიკვდილით დასჯის ამსახველი ვიდეოფირი, დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყების ვარაუდით, ნამდვილია. ჰუმანიტარული ორგანიზაციის გატაცებული წარმომადგენელი მარგარეტ ჰასანი 30 წლის განმავლობაში ცხოვრობდა ერაყში. მას ირლანდიის, ბრიტანეთისა და ერაყის მოქალაქეობა ჰქონდა. იგი ბაღდადიდან 19 ოქტომბერს დაუდგენელმა დაჯგუფებამ გაიტაცა.

ფირზე, რომელიც გამტაცებლებმა ტელეკომპანია "ალ ჯაზირას" გადასცეს, მარგარეტი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ტონი ბლერს ერაყიდან საჯარისო შენაერთების გაყვანას ემუდარებოდა. ჯერ კიდევ ორი კვირის წინ აბუ მუსაბ აზ-ზარქავის დაჯგუფებამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც გამტაცებლებს ჰასანის გათავისუფლებისაკენ მოუწოდებდა.

ჰასანამდე სიკვდილით დასჯილი ბრიტანელის კენეტ ბიგლის გამტაცებელი დაჯგუფების განცხადებაში კი ნათქვამი იყო, რომ ჰასანის გამტაცებლები ისლამის აღმსარებლები არ უნდა იყვნენ. "ჭეშმარიტი ისლამის მიმდევრები ქალებსა და ბავშვებს არ ხოცავენ. ჩვენ მხოლოდ მათ ვკლავთ, ვინც ჩვენ წინააღმდეგ იბრძვის", ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც "ერაყში მოქმედი "ალ ქაიდა" აწერს ხელს.

*ბიბისი*


## ვაკანსია

ამერიკული კომპანია Procter&Gamble-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში შ.პ.ს "არტი" იწვევს 24 წლამდე ასაკის ვაჟებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე

**აუცილებელი მოთხოვნები:**

ა) ასაკი - 24 წლამდე;
ბ) განათლება - უმაღლესი;
გ) უპირატესობა მიენიჭებათ ავტომანქანის მართვის უფლებების მქონე კანდიდატებს.
კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე

**დაინტერესებულ პირებს გთხოვთ,**

ავტობიოგრაფია (CV) გამოაგზავნოთ 30 ნოემბრამდე.
ფაქსი: 94-18-94.
ელ-ფოსტა: hr@arti.ge

## ტენდერი
## მზის ბატარიების სისტემის შესყიდვა დამონტაჟებაზე

**ჰუმანიტარული ორგანიზაცია CARE საერთაშორისო საქართველოში აცხადებს ტენდერს 2 ცალი მზის ბატარიების სისტემის შესყიდვაზე და მათ დამონტაჟებაზე ბაკურიანისა და წალკის სკოლებში. გთხოვთ მოგვაწოდოთ ფასები ზემოთ აღნიშნულ სხვადასხვა სიმძლავრის სისტემებზე, ლარებში, დღგ-ს ჩათვლით.**

**აღნიშნიშნული საქონელი მოწოდებული და დამონტაჟებული უნდა იყოს: 2004 წლის 30 დეკემბრამდე წალკასა და ბაკურიანის რაიონებში.**

**ტენდერში მონაწილეობისათვის დაინტერესებულმა ფირმებმა უნდა წარმოადგინონ ორგანიზაციის რეგისტრაციის მოწმობის ასლი და ცნობა ბანკიდან რომ მათ ანგარიშზე დავალიანება არ აღირიცხება და კომპანიის მიერ უკვე შესრულებული სამუშაოების აღწერილობა/დოკუმენტაცია.**

**სატენდერო წინადადებაში მითითებული უნდა იყოს: ფირმის იურიდიული სტატუსი და საკონტაქტო ინფორმაცია, პროდუქციის ზუსტი სახეობა და ფასები, გადახდის პირობები, მოწოდების ვადები და სხვა საჭირო დეტალები.**

**განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 26 ნოემბერი, 15:00.**
**სატენდერო დოკუმენტაციის და ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ წინასწარ გვეწვიოთ CARE-ს ოფისში: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N74ა. ტელ: 29-19-41, 29-15-31, ფაქსი: 29-43-07.**

*გისურვებთ წარმატებებს*

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის **პროექტის სახელწოდებისა** და **ლოგოს** შესაქმნელად.




პროექტი ითვალისწინებს:
- სკოლების აღჭურვას კომპიუტერებით;
- მასწავლებლების მომზადებას, რაც მათ სწავლის პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას მისცემს;
- ქართულენოვანი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას;
- საქართველოს ყველა სკოლის ჩართვას ერთიანი ინტერნეტის ქსელში;
- სასწავლო კურიკულუმების შეცვლას
- კომპიუტერიზაციის პროცესი რამდენიმე წლის განმავლობაში მოიცავს საქართველოს უკლებლივ ყველა სკოლას.

**პროექტი ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ესტონური წარმატებული პროექტის "ვეფხვის ნახტომის" მოდელით.**

**საკონკურსო პირობები:**
- ლოგო და პროექტის სახელწოდება სიმბოლურად უნდა ასახავდეს აღნიშნული პროექტის ძირითად არსს და საბოლოო მიზნებს:
- ლოგოს სტილი, ფორმა და ფერთა შეხამება ეფექტური და ვიზუალურად საინტერესო უნდა იყოს;
- ლოგო შესრულებული უნდა იყოს მაღალ პროფესიონალურ დონეზე და მნიშვნელოვნად აუმჯობესებდეს პროექტის იმიჯს.

**გამარჯვებულთათვის დაწესებულია ფულადი პრემიები:**
**ლოგო** - 250 ლარის ოდენობით
**პროექტის სახელწოდება** - 250 ლარის ოდენობით

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ესკიზები უნდა წარადგინონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში, ოთახი N209 2004 წლის 30 ნოემბრამდე.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
თბილისი, უზნაძის 52, ტელ: 96 98 31

## ტენდერი
## კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაზე

**ჰუმანიტარული ორგანიზაცია CARE საერთაშორისო საქართველოში აცხადებს ტენდერს კომპიუტერული მოწყობილობების შესყიდვაზე. გთხოვთ ქვემოთ ჩამოთვლილ საქონელზე ფასები მოგვაწოდოთ ლარებში, დღგ-ს ჩათვლით.**

**აღნიშნიშნული საქონელი მიწოდებული უნდა იყოს 2005 წლის 10 იანვრამდე წალკასა და ბაკურიანში.**

| N | დასახელება და აღწერილობა | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | პერსონალური კომპიუტერი (HP Compaq / DELL / Siemens) მინ. ტექ. მონაცემებით: Intel Celeron D 325, 256 MB DDRAM, 30GB HDD, CD-ROM, FDD, 10/100LAN, კლავიატურა, "მაუსი", ლიცენზირებული Windows XP, 3 წლიანი გარანტიით | 20 |
| 2 | 17" [illegible] მონიტორი (Flat CRT) | 20 |
| 3 | ლაზერული პრინტერი HP LaserJet 1320n | 2 |
| 4 | ჩამწერი CD (CD-RW Drive) | 2 |
| 5 | უწყვეტი კვების წყარო (UPS) 24 ვოლტიანი, 2.4 კილოვატი | 2 |
| 6 | აკუმულატორები UPS-სათვის 12 ვოლტიანი, 175-200 ამპერ/საათი | 4 |
| 7 | 16 პორტიანი 10/100Mb ქსელის კონცენტრატორი (HUB) | 2 |
| 8 | აღნიშნული ტექნიკის ბაკურიანში და წალკაში ტრანსპორტირება | 2 |

**ტენდერში მონაწილეობისათვის დაინტერესებულმა ფირმებმა უნდა წარმოადგინონ ორგანიზაციის რეგისტრაციის მოწმობის ასლი და ცნობა ბანკიდან რომ მათ ანგარიშზე დავალიანება არ აღირიცხება.**

**სატენდერო წინადადებაში მითითებული უნდა იყოს: ფირმის იურიდიული სტატუსი და საკონტაქტო ინფორმაცია, პროდუქციის ზუსტი სახეობა და ფასები, გადახდის პირობები, მოწოდების ვადები და სხვა საჭირო დეტალები.**

**განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 26 ნოემბერი, 15:00.**

**სატენდერო დოკუმენტაციის და ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ წინასწარ გვეწვიოთ CARE-ს ოფისში: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N74ა. ტელ: 29-19-41, 29-15-31, ფაქსი: 29-43-07.**

**გისურვებთ წარმატებებს**

## პროექტი "ილია ჭავჭავაძე"

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
## საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
# აცხადებს კონკურსს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში
ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად




**უფროსი პროგრამისტები** (2 ვაკანსია)
**პროგრამისტები** (4 ვაკანსია)
**ინტერნეტ გვერდის ოპერატორი** (1 ვაკანსია)
**კომპიუტერული ქსელების ადმინისტრატორი** (1 ვაკანსია)

**შესავალი**

საქართველოს მთავრობა პროექტის "ილია ჭავჭავაძე" ფარგლებში ახორციელებს დაწყებითი და ზოგასაგანმანათლებლო სკოლების რეფორმას, რომელიც მიზნად ისახავს სწავლების შინაარსის ძირეულ შეცვლას და საშუალო განათლების მიზნების ახლებურად ჩამოყალიბებას.

ამ მიზნით ჩამოყალიბდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემგომში - ცენტრი), რომელიც დაარსდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად. ცენტრის მიზანია საქართველოს განათლების სისტემის უზრუნველყოფა სანდო და ობიექტური მექანიზმებით, რათა ზუსტად და ობიექტურად შეფასდეს და გაკონტროლდეს სწავლების შედეგები. ცენტრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საქართველოში უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების დიდი ხნის განმავლობაში არსებული სისტემის ნაცვლად ახალი ტიპის ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო გამოცდების მომზადება და ადმინისტრირება.

**ძირითადი მიზნები**

ფართომასშტაბიანი გამოცდების წარმატებით ჩატარება შეუძლებელია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. ამასთან, ცენტრის საინფორმაციო სისტემას მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება გამოცდების ადმინისტრირებისა და ორგანიზების საქმეში. შესაბამისი საინფორმაციო სისტემის გარეშე შეუძლებელი გახდება ასეთ მცირე დროში ხარისხიანად დამუშავდეს 30.000-მდე აბიტურიენტის განაცხადი, ნაშრომი და ა. შ. ცენტრის საინფორმაციო სისტემა განსხვავდება სხვა ქვეყნებში არსებული სისტემებისაგან და ამიტომ არ არსებობს რაიმე მზა საინფორმაციო სისტემა საგამოცდო ცენტრებისთვის. ის უნდა შეიქმნას საგამოცდო სისტემის მოთხოვნების შესაბამისად სტანდარტული პროგრამული პაკეტების გამოყენებით (MS Office, SQL, MS .NET, SPSS, ABBYY Form Reader და სხვა). საჭიროა აგრეთვე ახალი პროგრამების შექმნა, რათა დროულად დამუშავდეს საკმაოდ დიდი მოცულობის ინფორმაცია.

ცენტრის საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის წევრების რაოდენობისა და დროის სიმცირის გამო ამ ჯგუფს არ აქვს საშუალება შექმნას გამოცდების ადმინისტირებისათვის საჭირო სამომხმარებლო პროგრამები. ამიტომ, ჯგუფს ესაჭიროება დახმარება გამოცდილი პროგრამისტებისა, რომელთაც აქვთ მონაცემთა ბაზებთან მუშაობის საკმაო გამოცდილება. მოწვეულ პროგრამისტებს დაევალებათ უმოკლეს დროში შექმნან ცენტრის საინფორმაციო სისტემისათვის სპეციფიკური პროგრამული მოდულები. ცენტრის საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის წევრები ჩამოაყალიბებენ ამ პროგრამული მოდულებისათვის ზუსტ ტექნიკურ მოთხოვნებს და საკუთარ თავზე აიღებენ პასუხისმგებლობას ერთიან საინფორმაციო სისტემაში ამ მოდულების ჩართვასთან დაკავშირებით. ეს მოდულები დაემყარება სხვადასხვა ტექნოლოგიას და გამოყენებულ იქნება გამოცდების დროს.

ამჟამად ცენტრს ესაჭიროება კვალიფიციური პროგრამისტები შემდეგი პროგრამული მოდულების შესაქმნელად:
აბიტურიენტთა რეგისტრაცია
აბიტურიენტთა ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებლებში
აბიტურიენტთა საგამოცდო ცენტრებში განაწილება და გამოცდების შედეგების გამოქვეყნება
მონაცემების ოპტიკური დამუშავება და გაძლოლა

**შინაარსი**

აბიტურიენტთა რეგისტრაცია

აბიტურიენტმა გამოცდების ჩასაბარებლად უნდა გააფორმოს ხელშეკრულება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან. ასეთი ხელშეკრულებები გაფორმდება ადგილობრივ სარეგისტრაციო სააგენტოებში, რომლებიც გაიხსნება თითქმის ყველა რაიონში, რათა აბიტურიენტს ხელშეკრულების გასაფორმებლად არ დასჭირდეს თბილისში ჩამოსვლა. სარეგისტრაციო სააგენტოებში გამოიყენებულ იქნება ცენტრის მიერ მომზადებული მონაცემთა ბაზები, რომლებიც ჩამოყალიბდება აბიტურიენტთა წინასწარი გამოკითხვის საფუძველზე. ხელშეკრულებების ელექტრონული ვერსიები მოგროვდება ცენტრის საინფორმაციო სისტემაში და მონაცემები დამუშავდება გამოცდების ეფექტური ადმინისტრირებისათვის (აბიტურიენტთა გადანაწილება საგამოცდო ცენტრებში, სექტორებში, შესაბამის შტრიხ-კოდების მინიჭება და ბეჭდვა და ა.შ.).

აბიტურიენტთა ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებლებში

საინფორმაციო სისტემამ უნდა დაამუშაოს ყოველი აბიტურიენტის მიერ შევსებული რეიტინგული სია ყოველი უმაღლესი სასწავლებლის სპეციალობისათვის. სასწავლებლის მიერ მოწოდებული თავისუფალი ადგილებისა და აბიტურიენტის მიერ მიღებული შედეგების რანგირების საფუძველზე მოხდება აბიტურიენტის ჩარიცხვა მის მიერ არჩეული უმაღლესი სასწავლებლის შესაბამის სპეციალობაზე. ყოველი უმაღლესი სასწავლებელი ცენტრს მიაწვდის მონაცემებს (საგანთა პრიორიტეტებს და მათ შესაბამის წონებს საგამოცდო ნიშნებისათვის), რის მიხედვითაც გამოითვლება აბიტურიენტის მისაღები ქულა. ამ მონაცემების საფუძველზე ცენტრი სპეციალური პროგრამის საშუალებით განახორციელებს აბიტურიენტთა შერჩევასა და ჩარიცხვას უმაღლეს სასწავლებლებში.

აბიტურიენტთა საგამოცდო ცენტრებში განაწილება და გამოცდების შედეგების გამოქვეყნება

აბიტურიენტთან ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ხელშეკრულების ელექტრონული ვერსიები მოგროვდება ცენტრის საინფორმაციო სისტემაში. შეიქმნება აბიტურიენტთა მონაცემთა ბაზები. საინფორმაციო სისტემა გადაანაწილებს აბიტურიენტებს შესაბამის საგამოცდო ცენტრებში სექტორების მიხედვით, გაანაწილებს მათ შესაბამის მაგიდებთან და დაბეჭდავს შტრიხ-კოდებს. სისტემა ასევე გადაანაწილებს დამკვირვებლებს საგამოცდო ცენტრებში. გამოცდების შედეგები დაიბეჭდება და მიეწოდება რაიონულ სარეგისტრაციო სააგენტოებს და გამოქვეყნდება ცენტრის ინტერნეტ გვერდზე.

მონაცემების ოპტიკური დამუშავება და გაძლოლა

გამოცდების შემდეგ ყველა აბიტურიენტის ნაშრომი (პასუხის ფურცლები, თუ ასეთი იქნება) მოგროვდება რეგისტრაციისათვის ცენტრში და მოხდება მონაცემების შედარება საგამოცდო უწყისებთან. შემდგომ ნაშრომები განაწილდება გასასწორებლად. საინფორმაციო სისტემა მონიტორინგს გაუწევს ყოველი ნაშრომის გადაადგილებას ნაშრომებზე დაკრული შტრიხ-კოდების საშუალებით. აბიტურიენტთა პასუხების ფურცლები და ნაშრომების შეფასების (გამსწორებელთა მიერ შევსებული) ფურცლები დამუშავდება ოპტიკური მოწყობილობის საშუალებით და მონაცემები შეიტანება საინფორმაციო სისტემაში. ამ მოწინავე თანამედროვე ტექნოლოგიების (სიმბოლოებისა და ციფრების ამოცნობის ტექნოლოგია) გამოყენებით მონაცემთა ბაზის შევსება სწრაფი და საიმედო გახდება. უნიკალური შტრიხ-კოდების გამოყენებით განხორციელდება კოდირება აბიტურიენტების, მათი ნაშრომების, პასუხის ფურცლების, გამსწორებლების, გასწორების ფურცლებისა და ა.შ. კოდირება, რათა დაცულ იქნეს სისტემაში მონაწილე ყველა ობიექტის კონფიდენციალობა.

**შესასრულებელი სამუშაოები**
**უფროსი პროგრამისტები** (2 ვაკანსია)

აბიტურიენტთა რეგისტრაცია
- აბიტურიენტთა რეგისტრაციის ბლოკის ალგორითმების შემუშავება;
- აბიტურიენტთა რეგისტრაციის ბლოკის მონაცემთა ბაზის სტრუქტურის დაპროექტება;
- აბიტურიენტთა რეგისტრაციის ბლოკის შექმნის სამუშაოთა კოორდინაცია და კონტროლი;
- აბიტურიენტთა რეგისტრაციის ბლოკის ტექნიკური დოკუმენტაციის შექმნა.

აბიტურიენტთა ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებლებში
- უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტთა ჩარიცხვის ბლოკის ალგორითმების შემუშავება;
- უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტთა ჩარიცხვის ბლოკის მონაცემთა ბაზის სტრუქტურის დაპროექტება;
- უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტთა ჩარიცხვის ბლოკის შექმნის სამუშაოების კოორდინაცია და კონტროლი;
- უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტთა ჩარიცხვის ბლოკის ტექნიკური დოკუმენტაციის შექმნა.

აბიტურიენტთა საგამოცდო ცენტრებში განაწილება და გამოცდების შედეგების გამოქვეყნება
- აბიტურიენტთა მიერ მიღებული შედეგებისა და უმაღლეს სასწავლებლებში მათი ჩარიცხვის შესახებ საბეჭდი და ინტერნეტ-ფორმების შემუშავება;
- აბიტურიენტთა მიერ მიღებული შედეგებისა და უმაღლეს სასწავლებლებში მათი ჩარიცხვის შესახებ საბეჭდი და ინტერნეტ ფორმების შემუშავების კოორდინაცია და კონტროლი;
- აბიტურიენტთა მიერ მიღებული შედეგებისა და უმაღლეს სასწავლებლებში მათი ჩარიცხვის შესახებ საბეჭდი და ინტერნეტ ფორმების ტექნიკური დოკუმენტაციის შექმნა.

მონაცემების ოპტიკური დამუშავება და გაძლოლა
- შტრიხ-კოდების სკანირების ბლოკის ალგორითმთა შემუშავება;
- სწრაფი სკანერებით დასამუშავებელი გასწორებისა და პასუხების ფურცლების ფორმების დაპროექტება;
- მონაცემთა ბაზის სტრუქტურის პროექტირება სკანირებული შტრიხ-კოდებისა, გასწორებისა და პასუხების ფურცლების სკანირებით მიღებული ინფორმაციის შესანახად;
- სამუშაოების კოორდინაცია და კონტროლი;
- ტექნიკური დოკუმენტაციის შექმნა.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
- უმაღლესი განათლება, სასურველია პროგრამირების ან საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალობით;
- მონაცემთა ბაზებზე მუშაობის მინიმუმ ხუთწლიანი გამოცდილება;
- თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური მეთოდების და მონაცემთა ბაზებთან მუშაობის, ადმინისტრირებისა და კლასიფიკატორების შექმნის გამოცდილება;
- Microsoft SQL Server-ზე მუშაობის მინიმუმ სამი წლის და Microsoft .NET ტექნოლოგიებზე მუშაობის მინიმუმ ორი წლის გამოცდილება;
- კომპიუტერულ ტექნიკასთან და საოფისე პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება;
- გუნდური მუშაობის უნარი, ჯგუფის მართვის გამოცდილება.

**ანგარიშვალდებულება**
- ყოველთვიური ანგარიშებისა და საბოლოო ანგარიშის წარდგენა ცენტრის საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელისათვის.

**დასაქმების ხანგრძლივობა**

ხელშეკრულებები დაიდება ოთხი თვის ვადით.

**პროგრამისტები** (4 ვაკანსია)

აბიტურიენტთა რეგისტრაცია
პროგრამისტი 1
- აბიტურიენტთა რეგისტრაციის ბლოკის შემუშავება.

პროგრამისტი 2
- აბიტურიენტთა მიერ შერჩეული სპეციალობების რეიტინგული სიის რეგისტრაციის ბლოკის შემუშავება.

აბიტურიენტთა ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებლებში
- უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტთა ჩარიცხვის ბლოკის შექმნა.

აბიტურიენტთა საგამოცდო ცენტრებში განაწილება და გამოცდების შედეგების გამოქვეყნება
- აბიტურიენტთა მიერ მიღებული შედეგებისა და უმაღლეს სასწავლებლებში მათი ჩარიცხვის შესახებ საბეჭდი ფორმების შემუშავება.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
- უმაღლესი განათლება, სასურველია პროგრამირების ან საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალობით;
- მონაცემთა ბაზებზე მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება;
- Microsoft SQL Server-ზე მუშაობის მინიმუმ ერთი წლის და Microsoft Access ტექნოლოგიებზე მუშაობის მინიმუმ ორი წლის გამოცდილება;
- კომპიტერულ ტექნიკასთან და საოფისე პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება;
- გუნდური მუშაობის უნარი;

**ანგარიშვალდებულება**
- ყოველკვირეული ანგარიშების წარდგენა უფროსი პროგრამისტისათვის;
- საბოლოო ანგარიშის წარდგენა ცენტრის საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელისათვის.

**დასაქმების ხანგრძლივობა**

ხელშეკრულებები დაიდება ოთხი თვის ვადით.

**ინტერნეტ გვერდის ოპერატორი** (1 ვაკანსია)

**ძირითადი მიზანი**

ცენტრის ძირითად მიზანს წარმოადგენს აბიტურიენტისათვის ინფორმაციის დროული მიწოდება და საგამოცდო პროცესების გამჭვირვალობა. გამოცდების წინა, მიმდინარე და შემდგომ ეტაპებზე ცენტრის ინტერნეტ გვერდი საათობრივად უნდა განახლდეს. ცვლილებები მონაცემთა ბაზებში უნდა აისახებოდეს შესაბამის ინტერნეტ გვერდებზე, რაც საკმაოდ დიდ ყურადღებასა და პროფესიონალიზმს მოითხოვს.

**შესასრულებელი სამუშაო**
- ცენტრის WEB-სერვერზე განსათავსებელი რესურსებისათვის ინფორმაციის მოზიდვა, შესაბამისი ვებ-გვერდების შემუშავება და სერვერზე განთავსება;
- ცენტრის WEB სერვერის ინფორმაციული რესურსებისა და გვერდების გრაფიკული გაფორმება და დიზაინი. სერვერზე არსებული რესურსების დიზაინის მუდმივი დახვეწა;
- ცენტრის WEB სერვერზე მონაცემთა ბაზებთან კავშირების მუდმივი განახლება-აქტუალიზაცია პროგრამული საშუალებების გამოყენებით;
- სერვერზე განთავსებული ინფორმაციის განახლება და აქტუალიზაცია. საჭიროებისამებრ ინფორმაციების მოძიება ინტერნეტში ცენტრის თანამშრომლებისათვის;
- ინფორმაციის სწრაფი შეყვანა ტექსტურ რედაქტორებში და მონაცემთა ბაზებში.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
- უმაღლესი განათლება;
- კომპიუტერთან, საბეჭდ მოწყობილობებთან და ქსელურ კომპიუტერულ ტექნიკასთან მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება;
- მინიმუმ სამწლიანი მუშაობის გამოცდილება შემდეგ პროგრამებთან: HTML, DHTML, FrontPage, MacroMedia, Corel და Adobe PhotoShop;
- ინგლისური ენის კარგი ცოდნა;
- გუნდური მუშაობის უნარი.

**ანგარიშვალდებულება**

ყოველთვიური ანგარიშების წარდგენა ცენტრის საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელისათვის.

**დასაქმების ხანგრძლივობა**

თავდაპირველად ხელშეკრულება დაიდება სამი თვის საგამოცდო ვადით და წარმატებული მუშაობის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

**კომპიუტერული ქსელების ადმინისტრატორი** (1 ვაკანსია)

**ძირითადი მიზანი**

ცენტრის საინფორმაციო სისტემა წარმოადგენს ქსელურ საინფორმაციო სისტემას. აქედან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებლების, კომპიუტერებისა და სხვა მოწყობილობების ქსელში მუშაობას. კომპიუტერული ქსელის სწორად დაგეგმვა და შექმნა, ოპერაციული სისტემის საიმედოობა და მისი დაცვის საკითხები, რა თქმა უნდა, უპირველესი მნიშვნელობისაა, რათა გამორიცხულ იქნას ინფორმაციის დამახინჯების მიზნით როგორც შიდა, ასევე გარე შეტევები ცენტრალურ სერვერზე. ინფორმაციის პერიოდული შენახვა-არქივირება და მათი შემდგომი განთავსება საიმედო ადგილას და ყველა ზემოჩამოთვლილი ამოცანების გადაწყვეტა საკმაო პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას მოითხოვს.

**შესასრულებელი სამუშაო**
- კომპიუტერების, კომპიუტერული ტექნიკის, ქსელებისა და ქსელური სისტემების გამართული მუშაობა;
- ქსელში ჩართული კომპიუტერებისა და საბეჭდი მოწყობილობების გამართული მუშაობა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფისა და განახლებების ინსტალირება;
- კომპიუტერებისა და გარე მოწყობილობების პერიოდული ტესტირება და პროფილაქტიკა;
- კომპიუტერებში და სერვერებზე არსებული მონაცემების შენახვა-არქივირება;
- კომპიუტერებში არსებული მონაცემების შემოწმება ანტივირუსული პროგრამებით და ანტივირუსული პროგრამების პერიოდული განახლება;
- სისტემის მომხმარებლების დამატება და მათი უფლება-მოვალეობათა განსაზღვრა.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
- უმაღლესი განათლება და ქსელური სისტემებისა და ადმინისტრირების შესაბამისი სერტიფიკატები;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური მიმართულებით მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება;
- კომპიტერული ქსელების ადმინისტრირების, ქსელურ და საკომუნიკაციო აპარატურასთან მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება;
- თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური მეთოდების ცოდნა;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კომპიტერულ და ქსელურ ტექნიკასთან მუშაობის გამოცდილება.

**ანგარიშვალდებულება**
- ყოველთვიური ანგარიშების წარდგენა ცენტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფის ხელმძღვანელისათვის.

**დასაქმების ხანგრძლივობა**

თავდაპირველად ხელშეკრულება დაიდება სამი თვის საგამოცდო ვადით და წარმატებული მუშაობის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

აღნიშნული ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გთხოვთ, წარმოადგინოთ განაცხადები შემდეგ მისამართზე:

**შეფასებისა და გამოცდების ერვნული ცენტრი**
0102 თბილისი. ივანე ჯავახიშვილის ქ. №60, მე-2 სართული.
ტელეფონები: 95-98-25; 96-80-78.
ელ-ფოსტა: naec@naec.ge
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **ხათუნა მხეიძე**

წარსადგენი განაცხადების ფორმები შეგიძლიათ მიიღოთ ზემოთ მითითებულ მისამართზე.
**განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 25 ნოემბერი.**

# ვისაც გიორგობას არ გაუმართლებს, ახალი წლისთვის შეიწყალებენ

*ციხეში თუ მოხვდებით, პატიმრები აუცილებლად შემოგჩივლებენ, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ იმედები აშკარად გაუცრუვდათ. მსჯავრდებულები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მიხეილ სააკაშვილი საპრეზიდენტო უფლებას გამოიყენებდა და ფართომასშტაბიან ამნისტიას გამოსცემდა. ერთი წლის განმავლობაში, სხვადასხვა დანაშაულისთვის მსჯავრდებული, დაახლოებით 75 პატიმარია შეწყალებული.*
*ჩვენი ინფორმაციით, შეწყალების კომისიაში უკვე არსებობს 500-ზე მეტი პატიმრის შეწყალების მოთხოვნის განცხადება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, მათი განხილვა დღემდე ჭიანურდება. ამგვარი დამოკიდებულება კი პატიმრებში უამრავ კითხვის ნიშანს ბადებს.*

თამარ კაციტაძე

**"შეწყალებები, ძირითადად, ისევ იმ პატიმრებზე ვრცელდება, ვისაც პატრონი ჰყავს,"** - ამბობენ პატიმრები, რომლებიც რამდენიმე თვეა, უიმედოდ ელიან თავისუფლებას.

რევოლუციის ერთი წლის თავზე კი შეწყალების, და არა ამნისტიის, თემა კვლავ აქტუალური გახდა. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 23 ნოემბრისათვის პატიმართა ფართომასშტაბიან შეწყალებას გეგმავს. ამისათვის მზადება პარლამენტის შეწყალების კომისიის და კანცელარიის შეწყალების განყოფილების წარმომადგენლებმა არც ისე დიდი ხნის წინ დაიწყეს. მათ საქართველოს სასჯელაღსრულების რამდენიმე დაწესებულება თავად მოინახულეს და შესაწყალებელ პატიმართა სიაც ადგილზევე შეადგინეს. ფართომასშტაბიანი შეწყალება, ძირითადად, არასრულწლოვან, ხანდაზმულ, მძიმე ავადმყოფ და სოციალურად დაუცველ პატიმრებს შეეხებათ. თუმცა, გიორგობის დღესასწაულს, დასახელებული კატეგორიის მსჯავრდებულებიდან, სახლში ყველა მათგანი მაინც ვერ შეხვდება. შეწყალების კომისიის წარმომადგენელთა მოთხოვნით, შესაწყალებელ პატიმართა სიაში მოხვდებიან ის პატიმრები, ვინც პირველად არიან ნასამართლევი და ვისაც მსჯავრი ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის აქვთ დადებული.

**"ფართომასშტაბიან შეწყალებაზე წარსადგენ პატიმართა სიაზე გადაწყვეტილებას შეწყალების კომისია იღებს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ამ შემთხვევაში მხოლოდ მსჯავრდებულთა დახასიათების გაცემით შემოიფარგლება",** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ლაშა კლდიაშვილმა.

გიორგობის შეწყალებისთვის კანდიდატები ამ ეტაპზე ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ქსნის ტუბზონაში, არასრულწლოვანთა და ქალთა დაწესებულებებში შეირჩნენ. წინასწარი შეთანხმებით, შესაწყალებელ პატიმართა რაოდენობა დაახლოებით 200-მდე უნდა ყოფილიყო, თუმცა როგორც კომისიის წევრები ვარაუდობენ, შესაძლებელია, ეს რიცხვი შემცირდეს.

**"იმისათვის, რომ ფართომასშტაბიანი შეწყალება ობიექტურად ჩატარდეს და ადგილი არ ჰქონდეს კორუფციას, შეწყალების კომისიის წარმომადგენლებმა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო, ქსნის ტუბზონა, არასრულწლოვანთა და ქალთა კოლონიები პირადად მოვინახულეთ და შესაწყალებელი პატიმრების ვინაობაც, ფაქტობრივად, იქვე განვსაზღვრეთ. კომისიას უკვე აქვს შესაწყალებელ პატიმართა განცხადებები, მაგრამ კონკრეტულად რამდენ პატიმარს გავუწევთ რეკომენდაციას პრეზიდენტთან შესაწყალებლად, შაბათს, სხდომაზე გახდება ცნობილი. ჯერჯერობით, კვლავ მიმდინარეობს მსჯავრდებულთა საქმეების განხილვა",** - განაცხადა შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*"შეწყალებები, ძირითადად, ისევ იმ პატიმრებზე ვრცელდება, ვისაც პატრონი ჰყავს," - ამბობენ პატიმრები.*

ჩვენი ინფორმაციით, არასრულწლოვანთა კოლონიიდან შეწყალების მოთხოვნით კომისიაში შესულია 23 განცხადება, ხოლო ქალთა კოლონიიდან - 40.

**"ქალთა კოლონიაში სასჯელს, ძირითადად, მძიმე დანაშაულისთვის იხდიან, რის გამოც მათი გათავისუფლება ამ ეტაპზე შეიძლება ვერ მოხერხდეს. ამიტომ ვვარაუდობთ, რომ ვისი შეწყალებაც ვერ მოხერხდება, რამდენიმე წელი მაინც ჩამოვაკლოთ. თუმცა, ეს საბოლოო გადაწყვეტილება არ არის",** - ამბობს ელენე თევდორაძე.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ფართომასშტაბიანი შეწყალება შეეხება იმ 85 პატიმარს, რომელთა საქმეებიც შეწყალების კომისიამ ჩვეულებრივი წესით განიხილა და რომლებზეც განსაკუთრებული მიდგომა არ ვრცელდება.

ერთი სიტყვით, გიორგობის შეწყალებას ბევრი პატიმარი იმედიანად ელის, მაგრამ ვის გაუღიმებს ბედი და ვის შეიწყალებს პრეზიდენტი, რევოლუციის წლისთავზე გახდება ცნობილი. თუმცა, როგორც შეწყალების კომისიის თავმჯდომარე გვპირდება, შეწყალებები ამით არ მთავრდება. პრეზიდენტს გადაწყვეტილი აქვს, რომ ფართომასშტაბიანი შეწყალების მეორე ეტაპი საახალწლოდ დაგეგმოს.

**"ვინაიდან ახლანდელი შეწყალება მცირე ვადაში მომზადდა, ამიტომ საქართველოს სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულების პატიმრების მონახულება და მათი სიაში შეყვანა ვერ შევძელით. არადა, გვაქვს ინფორმაცია, რომ ბევრ კოლონიაში მძიმე ავადმყოფი პატიმრები არიან. დაგეგმილი გვაქვს, რომ ყველა კოლონია შემოვიაროთ და საახალწლოდ ფართომასშტაბიანი შეწყალების მეორე ეტაპი განვახორციელოთ,"** - განაცხადა შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ.

# პატიმრობიდან გათავისუფლებულ ყოფილ რექტორს ქონების ნაწილს ჩამოართმევენ

*თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დაკავებული, აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის ნაპოლეონ ქარქაშაძის საქმეს გუშინ ერთდროულად ორი ინსტანციის - მთაწმინდა-კრწანისის რაიონული და საოლქო სასამართლოები განიხილავდნენ. მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, წინასწარ სამთვიან პატიმრობაში მყოფმა ნაპოლეონ ქარქაშაძემ ორთაჭალის საპყრობილე დატოვა. წინასწარი სამთვიანი პატიმრობა მას სასამართლომ დედაქალაქიდან გაუსვლელობით შეუცვალა.*

მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხარე ქარქაშაძისთვის პოლიციის ზედამხედველობის შეფარდებას კატეგორიულად მოითხოვდა, მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა სონღულაშვილმა პროკურატურის ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ნაპოლეონ ქარქაშაძის წინასწარი სამთვიანი პატიმრობიდან გათავისუფლების მოტივი ბრალდებულის ჯანმრთელობის გართულებული მდგომარეობა და მისი ასაკი აღმოჩნდა, რაც სასამართლომ ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიიჩნია და ყოფილი რექტორის ინტერესების დამცველის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

საოლქო სასამართლოში კი გუშინ კვლავ ნაპოლეონ ქარქაშაძის ქონების კანონიერება-არაკანონიერებაზე მსჯელობდნენ. ხანგრძლივი განხილვისა და მსჯელობის შემდეგ, საოქლო სასამართლომ აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის ქონების კონფისკაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. თუმცა, გენერალური პროკურატურის მოთხოვნა ბოლომდე არც საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა. მართლმსაჯულებამ ყოფილი რექტორის ქონების მხოლოდ ნაწილი ცნო დაუსაბუთებლად.

ქარქაშაძეს და მისი ოჯახის წევრებს თბილისში, ლვოვის ქუჩაზე მდებარე ბინას, ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებულ არასაცხოვრებელ ფართს, დიღმის მასივში მდებარე მიწის ნაკვეთს, ასევე, რამდენიმე ავტომანქანას ჩამოართმევენ და სახელმწიფოს გადასცემენ.

"ქარქაშაძეს მფლობელობაში დარჩება კანონიერად შეძენილი ქონება - თბილისში, ლუქსემბურგისა და მგალობლიშვილის ქუჩებზე მდებარე ორი საცხოვრებელი ბინა", - ასეთია სასამართლოს დადგენილება.

ნაპოლეონ ქარქაშაძისა და მისი ოჯახის ქონების კანონიერებაზე საუბარი ბრალდებულის ადვოკატს ამჯერად უზენაეს სასამართლოში მოუწევს. ქარქაშაძის ინტერესების დამცველი საოლქო სასამართლოს მიერ გუშინ გამოტანილ გადაწყვეტილებას აპროტესტებს.

*24 საათი*

# "აფხაზი კრიმინალების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე პასუხს არავინ აგებს"

გალის რაიონში კრიმინოგენული ვითარება დღითიდღე იძაბება. თუკი აქამდე აფხაზი სეპარატისტები რამდენიმედღიანი შუალედის შემდეგ ესხმოდნენ თავს ქართულ ოჯახებს, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, აფხაზი კრიმინალების 10-15-კაციანი შეიარაღებული ჯგუფები ქართული სოფლების ტერიტორიაზე გამუდმებით "მუშაობენ". გარდა იმისა, რომ დღეში ათამდე ქართულ ოჯახს მაინც აწიოკებენ, აფხაზური შეიარაღებული დაჯგუფებები ქართველებით სავსე სამგზავრო ავტობუსებსაც აყაჩაღებენ და მგზავრებს სასტიკად უსწორდებიან. ერთი სიტყვით, ბოლო დღეებში აფხაზი სეპარატისტების მიერ ჩატარებული ყოველდღიური ეგზეკუციების შედეგად დაზარალებულ-დაყაჩაღებულ-დაჭრილ ქართველთა რიცხვმა უკვე პიკს მიაღწია.

როგორც აფხაზეთის უშიშროების სამინისტროში განგვიცხადეს, გალის რაიონის ქართულ სოფლებში აფხაზების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების სტატისტიკა კატასტროფულად იზრდება, ამაზე პასუხს კი არავინ აგებს. **"თუკი აქამდე სეპარატისტების მიერ ყველანაირად შევიწროებული ქართველები ნებისმიერი დაყაჩაღების, თავდასხმისა თუ ძარცვის ფაქტს ახმაურებდნენ, ამჯერად დუმილს ამჯობინებენ. სიტუაცია გალის რაიონში უკიდურესად დაძაბულია. აფხაზები ქართველების მიმართ უკიდურეს ზომებს მიმართავენ. რაც მთავარია, დატერორებულ-დაშინებულ ქართულ მოსახლეობაში სასოწარკვეთამ დაისადგურა. ქართული სოფლების მაცხოვრებლებს უკვე ხმის ამოღების, გადაადგილებისა და პროტესტის გამოხატვის ეშინიათ",** - აცხადებენ აფხაზეთის უშიშროების სამინისტროში. გალის რაიონი სიმშვიდით არც გუშინ გამოირჩეოდა. მორიგი შემოვლის დროს გალის აფხაზური მილიციის საპატრულო ჯგუფსა და რამდენიმეკაციან შეიარაღებულ დაჯგუფებას შორის შეტაკება მოხდა. შეიარაღებული კრიმინალები შეჩერებისა და იარაღის დაყრის მოთხოვნას არ დაემორჩილნენ, რის შემდეგაც ორმხრივი ცეცხლი გაიხსნა. ეს ყველაფერი კი კიდევ ერთი ქართველი სამართალდამცველის სიკვდილით დასრულდა. მძიმედ დაჭრილი კახა ჯინჯოლია შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ზვიად ქობალია კი ზუგდიდის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება და როგორც ექიმები აცხადებენ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია. გარდა ამისა, გუშინ, სოფელ ოტობაიასთან ახლოს, აფხაზებმა მიკროავტობუსი დააყაჩაღეს, რომლითაც ქართველებს თხილი გადაჰქონდათ. მიკროავტობუსის მგზავრები სასტიკად ნაცემი არიან.

*24 საათი*

# "თითოეულ პატიმარზე პასუხისმგებელი სახელმწიფოა"

*საქართველოში წამების ფაქტების გახშირებას უკვე ხელისუფლების წარმომადგენლებიც არ უარყოფენ. ამ პრობლემას ევროსტრუქტურები და ადამიანის უფლებათა დამცველებიც გამოეხმაურნენ, თუმცა ამ საქმეში შესაბამისი ნაბიჯები ჯერაც არ გადადგმულა. რა მდგომარეობაა ამჟამად საქართველოს საპატიმრო ადგილებში, რა არის მსგავსი ფაქტების გახშირების მიზეზი და აქვს თუ არა ქვეყნის ხელისუფლებას პოლიტიკური ნება, აღიკვეთოს ასეთი შემთხვევები, - ამ საკითხებზე წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის - "ემპათიის" - წარმომადგენლებს საკუთარი პასუხები გააჩნიათ.*

**"წამების ფაქტები, ძირითადად, პოლიციის იზოლატორებსა და წინასწარი დაკავების საკნებში ფიქსირდება. მართალია, ამჟამად ციხეების ადმინისტრაციის მხრიდან პატიმრების ფიზიკური წამება არ ხდება, მაგრამ დღეისათვის ორთაჭალის ციხეში შექმნილი ვითარება იგივე წამებაა. პატიმრები ჩაყრილი ჰყავთ ჯურღმულებში, რომლებიც არც ნიავდება. იქ, ელემენტარულად, სინათლეც არ არის, რომ ექიმმა პატიმარს რაიმე სახის გამოკვლევა ჩაუტაროს. ეს კი იწვევს პატიმრებს შორის აგრესიის მომატებას. ამიტომ, ხშირია ურთიერთკონფლიქტი, თვითდაზიანება და თვითმკვლელობის ფაქტები. ამაში კი დამნაშავე სახელმწიფოა. როდესაც სახელმწიფო პირს აპატიმრებს, მის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობაც უნდა იკისროს",** - აცხადებს წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის "ემპათიას" პრეზიდენტი მარიამ ჯიშკარიანი. მისივე განმარტებით, წინა წლებთან შედარებით, დღეს წამების ფაქტები უფრო მეტად გამოდის დღის სინათლეზე. ადრე ამაზე არც ლაპარაკობდნენ, მაგრამ გარკვეულწილად, დღესაც არსებობს შიში, რომ თუ პატიმრები საკუთარი წამების ფაქტებს გაახმაურებენ, შესაძლოა, მათ ოჯახს პოლიციის მხრიდან საფრთხე დაემუქროს ან თუ წინასწარ ძიებაშია საქმე, შესაძლოა, კიდევ უფრო დაუმძიმონ ბრალდება. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად სანდოა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მიერ გაცემული დასკვნები, მარიამ ჯიშკარიანი თვლის, რომ საქართველოში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მხრივ სავალალო მდგომარეობაა. **"რატომღაც, სახელმწიფო ექსპერტები სიტყვა "წამებას" არ ხმარობენ. ჩვენთან ექსპერტიზის ჩატარება გულისხმობს მხოლოდ სხეულის გარეგან დათვალიერებას, არადა, ნაწამებ პირს, შესაძლოა, წამების გარეგანი ნიშნები საერთოდ არ აღენიშნებოდეს. ამ დარგში აუცილებელია დამკვიდრდეს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება, რაც კომპლექსურ გამოკვლევას გულისხმობს. როცა წამების ფაქტთან გვაქვს საქმე, საჭიროა ფსიქიატრის, ტრავმატოლოგის, ნევროლოგის და სხვა ვიწრო სპეციალობის ექიმების ჩართვა. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი წამების ფაქტის დადგენა ან უარყოფა",** - აცხადებს წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის პრეზიდენტი. ამ ორგანიზაციამ ექვსი თვის განმავლობაში წამების 538 შემთხვევა დააფიქსირა. **"გარკვეულწილად, ადამიანთა წამება სასამართლო ხელისუფლების დანაშაულიც არის. როდესაც სასამართლოში პიროვნების გასამართლება მხოლოდ აღიარებითი ჩვენების საფუძველზე ხდება, ეს პოლიციას უბიძგებს, წამებით მოიპოვოს აღიარება და საქმე გაიადვილოს. თუ ევროსასამართლოში წამების ფაქტი დამტკიცდება, მაშინ სახელმწიფოს ეკისრება ფულადი სანქცია 20 ათასი ევროდან ზევით. ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებში ილახება ამ სახელმწიფოს პრესტიჟი, რაც ნებისმიერი ქვეყნისთვის ძალიან ცუდია. წამების ფაქტების შემცირების ტენდენცია, ჯერჯერობით, არ იგრძნობა. თუ ძალოვან სტრუქტურებში მენტალიტეტი არ შეიცვლება, ვინც არ უნდა მოვიდეს სათავეში, ეს პრობლემა არ გადაწყდება. საჭიროა, მოხდეს პროფესიული კადრების შერჩევა და ქვეყანაში განვითარდეს დამოუკიდებელი ექსპერტიზა, რომელიც, თუნდაც ზეწოლის მიუხედავად, ყალბ დასკვნას არ დაწერს",** - ასეთია არასამთავრობო ორგანიზაციის წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის წარმომადგენელთა პოზიცია.

*მედია-ნიუსი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი ............

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ............

საკონტაქტო ტელეფონი ............

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

**1**

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო კუპონის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპი"-ს და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი კუპონები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის კუპონები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის კუპონის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფტმიქსი" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპი"-ს" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის კუპონი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**ჯუმბერ დოჭვირი**

გთხოვთ, მიპასუხოთ, რამდენად არის დაცული უნივერსიტეტის პროფესორის სიტყვის თავისუფლება მაშინ, როცა იგი ამხელს რექტორატისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას კორუფციაში და იმავდროულად მათ ხელშია მისი თანამდებობაზე დანიშვნის ბედი.

თუ გვსურს, მოისპოს კორუფცია და იყოს სიტყვის თავისუფლება, განათლების ახალ კანონში ჩადებულ უნდა იქნას თანამდებობებზე მეცნიერის არჩევის ახალი წესი, კერძოდ, პროფესორის დანიშვნა უნდა განახორციელოს ხუთკაციანმა კომპეტენტურმა კომისიამ წარმოდგენილი სამეცნიერო შრომების საფუძველზე. დღემდე მოქმედი კომუნისტური დებულებით პროფესორთა არჩევნებს ფორმალურად აწყობენ დიდ სამეცნიერო საბჭოზე, რომელიც არავითარი პასუხისმგებლობის მატარებელი არ არის და მისი გადაწყვეტილება რექტორის მაფიის სურვილის გამომხატველია.

ბატონო ჯუმბერ,

სიტყვისა და გამოთქმის თავისუფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით. ამ მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე, მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

აღსანიშნავია, რომ კანონი დაუშვებლად მიიჩნევს ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს. ამავდროულად, სიტყვის თავისუფლების ხელყოფა წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველს (სსკ მუხლი 153).

რაც შეეხება, კორუფციას ან სამოხელეო დანაშაულს, თუ თქვენ ფლობთ კონკრეტულ ინფორმაციას რექტორატის ან ფაკულტეტის ხელმძღვანელების მონაწილეობაზე დანაშაულებრივ საქმიანობაში, უნდა მიმართოთ კომპეტენტურ სამართალდამცავ დაწესებულებას, კერძოდ, პროკურატურას. აქვე გაცნობებთ, რომ სსკ ითვალისწინებს ისეთ გარემოებას, როგორიც გახლავთ ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით (მუხლი 148).

**გულიზარ ალადაშვილი-ავდოევა**

ვცხოვრობ ზაჰესის I უბანში, სამხედრო ქალაქი 1995 წლიდან, პრეტენზია არავის გამოუთქვამს. პენსიის დანიშვნისათვის ვეტერანთა დეპარტამენტი მთხოვს რეგისტრაციას. ზაჰესის გამგეობის მთავარი უფროსი მთხოვს თავდაცვის სამინისტროს ცნობას. თავდაცვის სამინისტრომ მიპასუხა, ეს ზონები ჩვენი არ არისო. როგორ მოვიქცე?

ქალბატონო გულიზარ,

საქართველოს კანომდებლობა არ განსაზღვრავს იმ დოკუმენტთა სიას, რომელიც პირმა უნდა წარადგინოს სოცუზრუნველყოფის სამსახურში საპენსიო აღრიცხვაზე დასადგომად. რაც შეეხება მოქალაქის რეგისტრაციას, ამ საკითხებს აწესრიგებს საქართველოს კანონი საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ. ამ კანონის თანახმად, რეგისტრაცია ან რეგისტრაციის არქონა არ შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის, მათ შორის საკუთრების განკარგვის უფლების შეზღუდვის საფუძველი ან მათი განხორციელების პირობა, გარდა საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ამავე დროს, კანონი მოქალაქეებს ავალდებულებს საცხოვრებელი ადგილის 6 თვეზე მეტი ვადით შეცვლისას, 10 დღეში აცნობოს ეს ფაქტი ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოს, რომელიც 5 დღეში გაატარებს მას რეგისტრაციაში. რეგისტრაციის ორგანო ვალდებულია პირის რეგისტრაციაში გატარებიდან სამ დღეში აცნობოს ამის შესახებ ორგანოს, სადაც პირი იყო რეგისტრირებული.მან უნდა მოხსნას პირი რეგისტრაციიდან შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან ერთი დღის ვადაში.

კანონი ასევე ითვალისწინებს ისეთ პირთა რეგისტრაციის საკითხებსაც, რომლებსაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ადგილი. ასეთი პირები მისამართის მითითების გარეშე რეგისტრაციას გაივლიან იმ დასახლებული პუნქტის მიხედვით, სადაც იმყოფებიან. პირი, რომელიც რეგისტრაციაში გატარებულია მისამართის მითითების გარეშე, ვალდებულია 6 თვეში ერთხელ გამოცხადდეს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ იმ ტერიტორიულ ორგანოში, სადაც რეგისტრირებულია. (მუხლი 5.2.).

**ნინო კეზერაშვილი**

ვარ გათხოვილი შვილიან მამაკაცზე (ცოლი გარდაეცვალა); ხელის მოწერის შემდეგ ქმრის ბინა გავყიდეთ 14 ათასად, ხოლო 6200 აშშ დოლარი მივეცით მეუღლის შვილს (ჩემს გერს) ზეპირი სახით. მან შეიძინა ბინა, სადაც ცხოვრობს ცოლ-შვილთან და მამასთან არა აქვს ურთიერთობა. ჩვენ კი შევიძინეთ ერთოთახიანი ბინა, სადაც ამჟერად ვცხოვრობთ. ჩემს მეუღლეს სურს ანდერძის დაწერა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ბინა მე დამრჩეს, ხოლო ჩემი სიკვდილის შემდეგ კი მის შვილს; შესაძლოა, ყველაფერი მის შვილს უანდერძოს. ამ შემთხვევაში დავრჩები თუ არა წილის გარეშე? თუ ანდერძი არ დაწერა, კანონით მემკვიდრეობისას რა წილი მეკუთვნის? (ჩემს გერს, ფაქტობრივად მიღებული აქვს წილი, ასევე ჩემი მეუღლე შიშობს, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ამ ბინას ჩემს დისშვილს დავუტოვებ).

ქალბატონო ნინო,

მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1158-ე მუხლის თანახმად ითვლება საერთო თანასაკუთრებად, ანუ ორივეს ქონებად. თქვენი სახლის 50 % ისედაც თქვენი საკუთრებაა და მასზე თქვენს მეუღლეს ანდერძის გავრცელება არ შეუძლია. ამავე დროს, თუ თქვენი მეუღლე თქვენზე ადრე გარდაიცვლება და ანდერძს თქვენზე დაწერს, მას არ შეუძლია, თავის ანდერძში თქვენ მოგთხოვოთ, ანდერძი მაინცდამაინც თქვენს გერზე დაწეროთ, რადგან ეს თქვენი თავისუფალი არჩევანის უფლებას შეზღუდავს. თუ ანდერძი თქვენს სახელზე დაიწერება, თქვენს გერს შეუძლია, მოითხოვოს სავალდებულო წილი, რომელიც შეადგენს იმ ქონების ნახევარს, რომელიც მას ერგებოდა, ანდერძი რომ არ ყოფილიყო. (მუხლი 1371) სახლის ნახევარი, როგორც საერთო თანასაკუთრება ისედაც თქვენია, ანუ იგი მიიღებს სახლის ნახევრის ნახევარს. თქვენ ნებისმიერ შემთხვევაში გერგებათ სახლის 3/4.

**იობი ქ-ი,**

ვარ 90 წლის, პირველი ჯგუფის ომის ინვალიდი, უსინათლო, მივლის და მპატრონობს ჩემი გაუთხოვარი ქალიშვილი, რომელიც თბილისში ჩემთან ცხოვრობს დაბადებიდან დღემდე. სხვა შვილები საქართველოში არ ცხოვრობენ და ჩემი არსებობა არც კი აინტერესებთ.

2003 წელს ჩემი სახლ-კარი ყიდვა-გაყიდვის წესით გადავეცი ამ ჩემს ქალიშვილს, რომელიც მე მპატრონობს და იგი ახლა ამ სახლ-კარის მეპატრონეა.

ამჟამად ჩემი მეორე გათხოვილი ქალიშვილი და მესამე აწ გარდაცვლილი ქალიშვილის ვაჟი გვედავებიან ბინაზე იმ მოტივით, რომ თითქოს მათ აქვთ ჩემი ათი წლის წინ გარდაცვლილი მეუღლის და ჩემი (?) ანდერძები. რამდენად კანონიერია მათი მოთხოვნა თუნდაც მათ ჰქონდეთ "ანდერძები"?

ბატონო იობი,

სამოქალაქო სამართლის კოდექსით საერთო ხანდაზმულობის ვადა არის 10 წელი. (მუხლი128.3) ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა არ შეიძლება. თუ თქვენი შვილი და შვილიშვილი თვლიან, რომ მათ თქვენი მეუღლის ქონებიდან ეკუთვნით წილი, შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს, მაგრამ ვადის გაშვების გამო სასამართლო მათ სარჩელს წარმოებაში არ მიიღებს. სამოქალაქო კოდექსის მუხლები ასევე ადგენს, რომ მამკვიდრებელი უფლებამოსილია თავის სიცოცხლეში თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს თავისი ქონება და თუ მისი გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდება, რომ მის სახელზე არანაირი ქონება არ ირიცხება, მემკვიდრეები ვერაფერს მიიღებენ. სწორედ ამას შეეხება სამოქალაქო კოდექსის 1401 მუხლი, რომლის თანახმადაც, ანდერძი ძალას კარგავს, თუ ნაანდერძები ქონება დაიკარგა მოანდერძის სიცოცხლეში ან მოანდერძემ გაასხვისა იგი.

**თენგიზ ქრისტესაშვილი**

1996 წლის 11 მარტს ბინათსამშენებლო ამხანაგობის თავმჯდომარის მიმართ რაიონის პროკურატურაში აღძრული სისხლის სამართლის საქმის წარმოება (დანაშაული გათვალისწინებული საქ. სისხლის სამართლის კოდექსის 94.2 მუხლის თანახმად), თავმჯდომარის მოქმედებაში დანაშაულის არარსებობის გამო შეწყვეტილ იქნა 1999 წლის 26 იანვრის დადგენილებით. 1999 წლის 23 აგვისტოს საქმის წარმოების შეწყვეტიდან შვიდი თვის შემდეგ (ნაცვლად სიხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 396.2 მუხლით მოთხოვნილი არაუგვიანეს 10 დღისა), რაიონის პროკურორმა გააუქმა ხსენებული დადგენილება მომჩივანის მიერ "შეწყვეტიდან" ექვსი თვის შემდეგ გაკეთებული განცხადების საფუძველზე და განაახლა იგი სსსკ-ის 399-ე და 400-ე მუხლების ყველა ნაწილების გათვალისწინების გარეშე.

განახლებული გამოძიება, რომლის დასკვნებიც ამხანაგობას ესაჭიროება, როგორც "ახლად გამოვლენილი" გარემოებები, ამხანაგობის მიერ უზენაეს სასამართლოში ადრე წაგებული სამოქალაქო საქმის განახლებისათვის პროკურატურის მიერ ისევ უტიფრად დღემდე ჭიანურდება აშკარად იმ მიზნით, რომ "ამოიწუროს" სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426.4 მუხლით გათვალისწინებული ლიმიტირებული ხუთწლიანი ვადა, რომელიც ხსენებულ საქმეს 2005 წლის თებერვალში "ეწურება". ზარალდება ამხანაგობის 95 ოჯახი, ერთის, 986-ის სასარგებლოდ?!

გვასწავლეთ, როგორ აღვკვეთოთ პროკურატურის აღვირახსნილობა!!!

ბატონო თენგიზ,

მოგახსენებთ, რომ თქვენ მიერ მოყვანილი სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი არ მოდის შესაბამისობაში თქვენ მიერ აღწერილ სიტუაციასთან. გთხოვთ, დაგვიზუსტოთ, თუ კონკრეტულად რომელ მუხლთან მიმართებაში გსურთ კონსულტაცია. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, თუ როგორ უნდა აღკვეთოთ პროკურატურის "აღვირახსნილობა", თუ პროკურორი არღვევს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, როგორც ეს თქვენ გაქვთ აღნიშნული თქვენს განცხადებაში, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ ზემდგომ პროკურორს და იგი სისხლის სამართლის პროცესის 56.2 (მ)-ე მუხლის საფუძველზე ჩამოაცილებს საქმეს გამომძიებელს, როლმელმაც დაარღვია კანონი.

**ია იაშვილი**

მაქვს ერთოთახიანი პრივატიზებული ბინა. საცხოვრებელი ფართი 20 კვ.მ. (თემქის დასახლება). გთხოვთ, განმიმარტოთ მეკუთნის თუ არა გადასახადი სახლმმართველობაში და თუ მეკუთვნის რა ოდენობის?

ქალბატონო ია,

ქონების გადასახადი, როგორც ახალი სახის გადასახადი ჯერ არ არის მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ. ე.წ. სახლმმართველობა, რომელსაც ახლა შპს "მოსახლეობის მომსახურების სერვისული ცენტრები" ეწოდება, დებს მომსახურების ხელშეკრულებებს მოსახლეობასთან, რომლის შემდეგაც ამ ორგანოებში ხდება წყლისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისათვის გადასახადის გადახდა. სხვა სახის გადასახადები "სახლმმართველობაში" არ გადაიხდება.

**ირაკლი შარაშიძე**

გავრცელდა ინფორმაცია, რომ აიკრძალა საფანტიანი იარღის ტარება და მხოლოდ შენახვის უფლებას გვიტოვებენ. რამდენად მართალია ეს ინფორმაცია და თუ ის დასტურდება, როდიდან შედის (ან შევიდა) ძალაში. და არის თუ არა ეს კანონი პატიოსანი ადამიანისთვის, როდესაც ყაჩაღი უნებართვოდაც ატარებს იარაღს და ამ კანონით ჩვენ გვერთმევა თავის დაცვის საშუალება.

ბატონო ირაკლი,

საქართველოს კანონი იარაღის (2003 წლის 8 მაისი) შესახებ განმარტავს, რომ საფანტიანი იარაღი არის ისეთი იარაღი, რომლის ვაზნები წარმოადგენს ტრავმული დაზიანების ვაზნებს და რომელიც გასროლის შედეგად არ იწვევს სხეულში შემავალ, ღია დაზიანებას; (მუხლი 2(ვ)). საქართველოს კანონმდებლობა მოქალაქეებს ანიჭებს უფლებას, შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე ფლობდნენ ამ იარაღს, რომელიც თავდაცვითი იარაღების რიცხვს მიეკუთვნება და საჭიროების შემთხვევაში მისით სარგებლობის უფლებასაც კი ანიჭებს. სწორედ ამ უფლებაზე მიუთითებს კანონის 25-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, იარაღის გამოყენება დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი და სხვა პირთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების დაცვისათვის აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ან უკიდურესი აუცილებლობისას. ასე რომ, თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. ცნობისათვის, ამ კანონმა გააუქმა 1994 წლის 15 მარტის კანონი ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ.

**ივანე ტურაშვილი**

ვარ 45 წლის. ყოფილი ოფიცერი. ვმსახურობდი რუსულ ჯარში, ბოლო ერთი წელი ვმსახურობდი ქართულ ჯარში, (ზემდეგი) გენერალური შტაბის კავშირგაბმულობის ბატალიონში ოცეულის მეთაურად. ნამსახურეები მაქვს 19 წელი. ვარ ავღანეთის ომის მონაწილე, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი. ვსარგებლობ შეღავათებით სინათლის და წყლის გადასახადზე. მეკუთვნის თუ არა პენსია, რა რაოდენობის და თუ მეკუთვნის კიდევ სხვა შეღავათები?

ბატონო ივანე,

საქართველოს კანონი სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ განსაზღვრავს, რომ პენსიის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება სამხედრო მოსამსახურის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღისათვის არსებული თანამდებობრივი, სამხედრო ან სპეციალური წოდების, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატის და სასურსათო ულუფის ღირებულების ფულადი სარგოები ინდექსაციის გათვალისწინებით. (მუხლი 10). ამავე კოდექსის მეთერთმეტე მუხლი კი ადგენს იმ პირთა ჩამონათვალს, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ პენსია წელთა ნამსახურობის გამო.

წელთა ნამსახურობის გამო პენსია ენიშნებათ:

ა)სამხედრო მოსამსახურეებს გარდა პირველი თანრიგის რეზერვისტებისა რომლებსაც სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღეს აქვთ წელთა ნამსახურობის 20 და მეტი კალენდარული წელი, აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც იძულებით იყვნენ დათხოვნილი 1956 წელს ქართული სამხედრო შენაერთის (დივიზიის) დაშლის დროს და აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 და მეტი კალენდარული წელი და შრომის საერთო სტაჟი 20 და მეტი კალენდარული წელი.

ბ) იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო საჭიროების გამო გაწვეულ იქნენ სამხედრო სამსახურში, საპენსიო ასაკის მიღწევის დღისათვის იმყოფებიან სამხედრო სამსახურში და აქვთ სამხედრო ძალებში წელთა ნამსახურობის 10 წელი.

გ) ყოფილი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების, სასაზღვრო ჯარების, სხვა კანონიერი სამხედრო ფორმირებების სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ პენსიონერებს, რომლებიც შემდგომ ჩაირიცხნენ საქართველოს სამხედრო ძალების კადრის სამხედრო სამსახურში.

დ) პირველი თანრიგის რეზერვისტებს, რომლებსაც რეზერვიდან დათხოვნის დღეს აქვთ წელთა ნამსახურობის 20 ან მეტი კალენდარული წელი და შეუსრულდათ საქართველოს შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული ზღვრული ასაკი.

პენსიის ოდენობა განისაზღვრება მე-12 მუხლით დადგენილი დებულებების შესაბამისად.

1. პენსია დაენიშნებათ:

ა) ამ კანონის მე-11 მუხლის "ა" პუნქტში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეებს 20 წლის ნამსახურობისათვის, ხოლო ამ კანონის მე-11 მუხლის "ბ" პუნქტში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეებს 10 წლის ნამსახურობისათვის - ყოველთვიური თანამდებობრივი, სამხედრო ან სპეციალური წოდების, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატის და სასურსათო ულუფის ღირებულების ფულადი სარგოს 50 პროცენტი, ხოლო ავადმყოფობით ან ასაკით, ან 1956 წელს ქართულ სამხედრო შენაერთში (დივიზიაში) სამხედრო სამსახურიდან იძულებით დათხოვნის შემთხვევაში, რომლებსაც აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 და მეტი კალენდარული წელი და შრომის საერთო სტაჟი 20 და მეტი კალენდარული წელი - 55 პროცენტი.

2. 20 წელზე მეტი ნამსახურობის ყოველ წელიწადზე პენსიას დაემატება აღნიშნული ფულადი სარგოს 3 პროცენტი, იმ გაანგარიშებით, რომ პენსიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ ფულადი სარგოს 85 პროცენტს.

3. მე-11 მუხლის "ბ" პუნქტში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეებს საერთო შრომითი სტაჟისათვის ყოველთვიური თანამდებობრივი, სამხედრო ან სპეციალური წოდების, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატის და სასურსათო ულუფის ღირებულების ფულადი სარგოს 50 პროცენტი. 20 წელზე ზემოთ მუშაობის ყოველ წელიწადზე პენსიას დაემატება აღნიშნული ფულადი სარგოს 1 პროცენტი იმ გაანგარიშებით, რომ პენსიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ ფულადი სარგოს 85 პროცენტს.

4 მე-11 მუხლის "გ" პუნქტში დასახელებულ პირებს, თუ ისინი უარს განაცხადებენ მათთვის ადრე დანიშნული პენსიის მიღებაზე, პენსია დაენიშნებათ ამ მუხლის "ა" და "ბ" პუნქტებით დადგენილი წესით და ოდენობით. ამავე დროს ნამსახურობის წლებში მათ ჩაეთვლებათ როგორც ადრინდელი, ასევე საქართველოს სამხედრო ძალებში ნამსახური წლები.

დამატების სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ კანონი ასევე ადგენს პენსიის მინიმალურ ოდენობას და განსაზღვრავს, რომ წელთა ნამსახურობის გამო პენსიის ოდენობა შეიძლება იყოს მეტი,მაგრამ არ უნდა იყოს ნაკლები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ასაკის გამო მინიმალური პენსიის ოდენობაზე.

**ნანა კორახაშვილი**

მოქალაქე 1958 წლიდან მუშაობდა თბილისის საავიაციო ქარხანაში (ახლანდელი "თბილავიამშენი" დირექტორი პ. თორდია), ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკად. 2000 წელს აღნიშნული დაწესებულება გადაკეთდა შპს-დ, ხოლო 2002 წლის აპრილში სააქციო საზოგადოებად, თუმცა ტელევიზიით კვლავ შპს-დ იხსენიებდნენ.

"თბილავიამშენის" ხელმძღვანელობა ამჟამად აწარმოებს აქციების გადაცემას დაწესებულების თანამშრომლებზე, 2002 წლის შემდეგ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებზე, პენსიონერებზე, მათ შორის მათზეც, რომლებიც პენსიაზე გავიდნენ 2000 წლამდე. გთხოვთ, გამირკვიოთ, ეკუთვნის თუ არა აქციები ზემოთ აღნიშნული პიროვნების ოჯახის წევრებს, (პენსიონერი მეუღლე და ორი სრულწლოვანი შვილი). მოგახსენებთ, რომ პიროვნება გარდაიცვალა 2001 წლის ივნისში, ჯერ კიდევ ზემოაღნიშნული დაწესებულების თანამშრომლად.

ქალბატონო ნანა,

ამ კონკრეტულ საკითხს კანონმდებლობა არ არეგულირებს. თუმცა, მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების უფლებას ითვალისწინებს. ამას სამოქალაქო სამართალი მემკვიდრეობით ტრანსმისიას უწოდებს. სამოქალაქო კოდექსის 1430-ე მუხლი ადგენს, რომ თუ მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ სამკვიდროს მიღებამდე გარდაიცვალა, მაშინ სამკვიდროდან მისი წილის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე (მემკვიდრეობითი ტრანსმისია). გარდაცვლილი მემკვიდრის მემკვიდრეებმა სამკვიდრო უნდა მიიღონ სამკვიდროს მიღების ვადამდე დარჩენილი დროის განმავლობაში. თუ ეს დრო სამ თვეზე ნაკლებია, იგი სამ თვემდე უნდა გაგრძელდეს.

ცხოვრება იაპონიაშიც თამაშია



B2

პედრო ალმოდოვარი "ცუდი აღზრდის", რელიგიისა და მამის შესახებ



B3

გმადლობთ!



B4

ნომრის სტუმარი

# ცვლილებების შანსი გაგიჩნდათ და ეს უნდა გამოიყენოთ

მაია ჭალაგანიძე

*საუბარი ძვირად ღირებულ კლინიკაზე მოგვიწევს. სოციალურად დაუცველებმა და ადამიანებმა, რომელთაც ხელფასი კი აქვთ, მაგრამ ამ კლინიკებში დაავადებული გულის ოპერაციას მაინც ვერ შესწვდებიან, გერმანელი პროფესორის საუბარში უნდა ამოიკითხონ ის, რაც უნდა გვქონოდა, 10-12 წლის წინ რომ დაგვეწყო საბჭოეთის რეალური ნგრევა. ამოიკითხონ ის, რაც გვექნებოდა ამ წლების მანძილზე სახელმწიფოსთვის ჯანდაცვის სფეროში გადმორიცხული თანხები კუთვნილი მისამართებით რომ წასულიყო. აღმოჩნდა, რომ დოქტორი პიტერ ტოლენარე, ბად კროცინგენის გულის ცენტრის მთავარი ექიმი, ქირურგი - ძალზე კარგად იცნობს ჩვენს რეალობას, ხელოვნებას, სამანქანო საცობებს და გზებს. ამის მიუხედავად, თავისი კლინიკიდან პენსიაში გასული ტოლერანე დიდი ენთუზიაზმით იწყებს ცხოვრებას და მოღვაწეობას საქართველოში. 1999 წლის მარტში ჩამოყალიბდა კარდიოლოგთა და კარდიოქირურგთა გერმანულ-ქართული ასოციაცია. 2001 წლიდან ის თანამშრომლობს გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრთან და ატარებს ოპერაციებს. ახლა სწორედ ამ კლინიკაში იწყებს მუშაობას.*



*"საქართველო არ არის მესამე მსოფლიოს ქვეყანა. აქ ძალიან გონებაგახსნილი და ნიჭიერი ხალხი ცხოვრობს, თითოეული ადამიანი ინდივიდია, პიროვნებაა."*

ჩემთვის ერთგვარი პარადოქსია. საქართველო არ არის მესამე მსოფლიოს ქვეყანა. აქ ძალიან გონებაგახსნილი და ნიჭიერი ხალხი ცხოვრობს, თითოეული ადამიანი ინდივიდია, პიროვნებაა. მაგრამ ერთობლიობაში, სახელმწიფოში საქმე რთულადაა.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც რევოლუცია ვარდებიანია, ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერს უცბად უმკურნალებ.

ჩვენ კარგი ურთიერთობები გვქონდა ქართველ ხალხთან, მის პრეზიდენტთან და დანარჩენი ჩვენი საქმე აღარ იყო. ახლა, როდესაც აქ დავსახლდი, ეს ჩემი საქმეც გახდა.

**- რამდენ ენაზე წარმოთქვამთ "გულს"?**

- გერმანულად, ინგლისურად, ფრანგულად, ჰოლანდიურად, რუსულად და ქართულად.

**- როგორ შეიქმნა ასოციაცია?**

- ჩვენს ჰოსპიტალს და პროფესორ ჩაფიძის კლინიკას დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს. პროექტს კი გენშერი და შევარდნაძე მფარველობდნენ.

თანამშრომლობის სამი დონე იყო - პროფესიული ტრენინგები და არა მხოლოდ კარდიოლოგების, არამედ - ანესთეზიოლოგების, თერაპევტების, კლინიკის მთელი შტატისა. მეორე დონე იყო რეალური დახმარება - ჩვენი კლინიკიდან ჩამოდიოდნენ ქირურგები და ერთობლივად აკეთებდნენ ოპერაციებს. მესამე - საჭირო ტექნოლოგიებითა და აღჭურვილობით დახმარება გახლდათ, გენერატორებითაც კი.

მოგეხსენებათ, ევროპული და აქაური სტანდარტები ოდნავ განსხვავებულია...

**- ოდნავ კი არა, სრულიად...**

- იქ არ შეიძლება იმპროვიზაცია...

**- ქართველ ექიმებს საოპერაციოში იმპროვიზირება უყვართ?**

- დიახ, ეს შევნიშნე. ოპერაში კარგია იმპროვიზაცია, მაგრამ საოპერაციოში ეს სახიფათოა. საქმე ადამიანის სიცოცხლესთან გვაქვს და ეს არ არის სახუმარო. რეალურად უნდა ვიმოქმედოთ, იქ ყველაფერი გათვლილია.

**- თანამედროვე მედიცინა ძვირად ღირებულია. თქვენი აზრით, ისეთმა ქვეყანამ, როგორიც საქართველოა, როგორ უნდა მოახერხოს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა, თუკი მოსახლეობის დიდი ნაწილი უფულო და სოციალურად დაუცველია და არც დაზღვევის სისტემაა განვითარებული?**

- მართალი ბრძანდებით. თქვენი მინისტრი, ბატონი ჭიპაშვილი სხვა ექიმებთან ერთად იყო ჩვენთან, კლინიკაში. მისასალმებელია, რომ დელეგაციაში არა მხოლოდ ექიმები, არამედ პოლიტიკური ფიგურებიც იყვნენ. ჩვენ დიდხანს ვკამათობდით ამ თემებზე და იმაზეც, თუ რა უნდა მოიმოქმედოს მთავრობამ. თუმცა, ამგვარი რეცეპტების გაცემა ჩემს კომპეტენციას სცილდება.

საქართველოში რთული ეკონომიკური სიტუაციაა. ამიტომ რთულდება დადებითი შედეგების მიღწევა. აქ ბევრი პრობლემებია და არა მხოლოდ კარდიოლოგიაში - ტუბერკულოზის განკურნებაში, საბავშვო მედიცინაში, პატიმართა პრობლემები, გზების და საერთოდ ყველა სფეროს პრობლემა, რისი მოგვარებაც ყველა დარგში და ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა დაიწყოს. ცალ-ცალკე ეს არ გამოვა. ურთიერთობა მქონდა საქართველოს ჯანდაცვის წინა მინისტრთანაც და ამჟამინდელთანაც, ვმეგობრობ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენელთან. ვიცი, რომ სიტუაცია მარტივი არ არის და მიზნის განხორციელება რთულია. ვიცი, რისი გაკეთებაა კარგი, მაგრამ როგორ უნდა გაკეთდეს, ეს ჩემს კომპეტენციას სცილდება.





ლევან ხერხეულიძის ფოტოები ფოტო

**- ერთმა ცნობილმა ქართველმა ექიმმა თქვა: "ხშირად მაგალითად მოჰყავთ ამერიკისა და ევროპის ჯანდაცვის სისტემები, ეს სასაცილოა. ჩვენ, ალბათ, მესამე მსოფლიოს ქვეყნების გამოცდილება უნდა გავიზიაროთ"; ეთანხმებით?**

- ჩემთვის ერთგვარი პარადოქსია. საქართველო არ არის მესამე მსოფლიოს ქვეყანა. აქ ძალიან გონებაგახსნილი და ნიჭიერი ხალხი ცხოვრობს, თითოეული ადამიანი ინდივიდია, პიროვნებაა. მაგრამ ერთობლიობაში, სახელმწიფოში საქმე რთულადაა. მიმუშავია აფრიკაში, ნიგერიაში, ზიმბაბვეში, ლიბიაში და სხვაგან, მაგრამ ამ ქვეყნებს საქართველოს ვერ შევადარებ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი განათლებული ადამიანია, აქ სუსტი ორგანიზებაა, უწესრიგობაა ისე, როგორც თბილისის ქუჩებში პიკის საათებში - ყველა მხრიდან საფრთხე გელის. სამედიცინო საკითხებშიც მეტი რეგულაციაა საჭირო. პაციენტი დანიშნულ დროს ექიმთან მარტო არ მოდის, უამრავი ხალხი მოჰყვება. ზოგი დადის და ზოგი - ეწევა... ეს მყარ ოჯახურ კავშირებზე მეტყველებს, მაგრამ ჩვენთვის საქმეს ართულებს.

**- ადამიანის ავტონომია, ავადმყოფის პატივისცემა - ეს მექანიზმი ჩვენში კარგად არ მუშაობს. ხშირად ავადმყოფი ინფორმირებული არ არის საკუთარი მძიმე დაავადების შესახებ. რას იგებს ამით ექიმი და რას - პაციენტი?**

- დოგმები არ არსებობს, ეს ინდივიდუალურად გადასაწყვეტი საკითხია. ბევრ პაციენტს სურს, იცოდეს, რა სჭირს. რა თქმა უნდა, ამ დელიკატურ საკითხს ფსიქოლოგიური მხარეც აქვს, მაგრამ უმჯობესია, ადამიანმა სიმართლე იცოდეს, რადგან ერთ დღეს ამ რეალობის წინაშე დადგება.

ჩვენთან ყოველთვის ეუბნებიან სიმართლეს, რადგან ადამიანმა უნდა იცოდეს, როგორ იცხოვროს, რა დაგეგმოს და ა.შ. როგორც ჩანს, აქ პირიქით არის - ავადმყოფს არ ეუბნებიან სიმართლეს, ან მხოლოდ იმ შემთხვევაში ეუბნებიან, თუ ამას დაჟინებით მოითხოვენ. პრაქტიკიდან ვიცი - პაციენტს სიმართლე ფრთხილად უნდა გაანდო, უნდა შეამზადო ამისთვის. აქაც შევხვედრივარ ექიმებს, რომელთაც ნათესავებისთვის სიმართლის თქმა უჭირთ. ასეთ ექიმებს ყოველთვის ვურჩევ, უთხარით და დაგიჯერებენ. როცა ფაქტის წინაშე დადგებიან, თქვენს კომპეტენტურობაში შეეპარებათ ეჭვი.

**- შეიძლება, მთავრობას, მართლაც, სურს სისტემის გამოსწორება, მაგრამ ქვედა რგოლებში დღეს ისევ ისეა ფეხმოკიდებული კორუფცია, როგორც ადრე და ამასთან უბრალო მოქალაქეებს აქვთ შეხება. რა არის ამ დარგში კორუფციისგან დამცავი მექანიზმი თქვენს ქვეყანაში?**

- ჩვენ გვაქვს სახელმწიფო დაზღვევის კომპანიები. მთელი სიცოცხლის მანძილზე, პირველი დღიდან უკანასკნელამდე - ადამიანები მუდმივად იხდიან სამედიცინო დაზღვევის ფულს თავისი ჯამაგირიდან. ეს სავალდებულო 14 პროცენტია და სწორედ ამ თანხიდან ეკუთვნის ადამიანს უფასო სამედიცინო მომსახურება - ექიმთან ვიზიტით დაწყებული, ურთულესი ოპერაციებით დამთავრებული. ყველაზე ძვირ, გულის ტრანსპლანტაციის ოპერაციის 80-85 პროცენტს მაინც დაზღვევა იხდის.

როდესაც ეს სისტემა არ არსებობს, ღარიბი ხარ და ვერ იხდი, იძულებული ხარ ქრთამი გასცე - ჯანმრთელობისთვის ყიდი მანქანას, ბინას და შემოვლით გზებზეც არ ამბობ უარს.

**- 12-წლიანი დამოუკიდებლობის მიუხედავად, პრაქტიკულად, ახლაღა იწყება ყველა საბჭოთა ტრადიციის ნგრევა საქართველოში. ეს ეხება ყველა დარგს - განათლებას, მედიცინას და ა.შ. ნგრევის პროცესი მტკივნეულია. როგორ ხვდებიან ევროპაში ცვლილებებს, რომელიც, რა თქმა უნდა, ასე ხშირი არ არის?**

- რადიკალური ცვლილებები ყოველთვის მტკივნეულია. შევარდნაძეს დიდ პატივს სცემენ ევროპაში, რადგან მან, მართლაც, დიდი როლი შეასრულა გერმანიის გაერთიანების საქმეში. ამბობდნენ კიდეც ევროპაში, რომ სამმა კაცმა - შევარდნაძემ, გორბაჩოვმა და ჯორჯ ბუშმა გადაწყვიტეს გემანიის გაერთიანება. ამან ნდობის დიდი კრედიტი მოუპოვა შევარდნაძეს. მერე ის დიდი ხნით გახდა პრეზიდენტი, მაგრამ აქაური მტკივნეული პრობლემები ნაკლებად გვაწუხებდა. ჩვენ კარგი ურთიერთობები გვქონდა ქართველ ხალხთან, მის პრეზიდენტთან და დანარჩენი ჩვენი საქმე აღარ იყო. ახლა, როდესაც აქ დავსახლდი, ეს ჩემი საქმეც გახდა. ერთი წლის წინანდელი ცვლილებების მერე არ ვიცოდით, როგორი ურთიერთობები აგვეწყობოდა ახალ ხელისუფლებასთან. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც რევოლუცია ვარდებიანია, ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერს უცბად უმკურნალებ. ყველა აღიარებს, რომ რეფორმებს დიდი დრო სჭირდება. შევარდნაძის დროს ხედავდით, რომ ყველაფერი უძრავად იყო, ახლა ცვლილებების შანსია და ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ შევარდნაძის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება შეიცვალა. მას დიდი დამსახურებები აქვს ისტორიის წინაშე და ისეთიც უნდა დავინახოთ და - ასეთიც.

**- რა არის გულის დაავადებების გამომწვევი მიზეზები საქართველოში და რა - ევროპაში?**

- ეს მიზეზები განსხვავებულია და არა ინტენსიურობით, არამედ - ასაკით. აქ ბევრს და ყველგან ეწევიან - სუპერმარკეტშიც კი, სადაც პროდუქტების საყიდლად შედიან. არსად არ არის აკრძალული მოწევა. მეორე მიზეზი - სტრესებია. ბევრი ღარიბია, ბევრი ლტოლვილი და სახლს მოწყვეტილი. მთელი ღამე კიოსკებში სხედან, რომ რაღაც გაყიდონ და თავი გამოიკვებონ. გარდა ამისა, ჰაერია ძალიან დაბინძურებული - ქუჩაში ისეთი მანქანები დადის, რომელთაც ევროპაში არავითარ შემთხვევაში არ გაატარებდნენ. ქალაქი გაზის კამერასავით არის, არც არავინ აკონტროლებს.

საქმე საკვებშიც არის - ცხიმიან საკვებს მიირთმევთ, ქოლესტერინს იღებთ. არადა, ბევრი კარგი ბოსტნეული და ხილი გაქვთ საქართველოში. ევროპაში გულის დაავადებები გაცილებით ხანდაზმულია, ვიდრე აქ, სადაც პაციენტები 40-60 წელს შორის არიან, ევროპაში კი - 60 წელს ზემოთ. იქ ნაკლებს ეწევიან, რადგან ახალგაზრდებში ჯანმრთელი ცხოვრების პროპაგანდა მიდის. აკრძალულია სიგარეტის რეკლამა, ცდილობენ იკვებონ ჯანსაღად და ბევრი იმოძრაონ. აქ კი - მანქანით სიარული ბედნიერების მწვერვალია.

**- მშვენივრად იცნობთ აქ არსებულ პრობლემებს და მაინც აქ ცხოვრება გადაწყვიტეთ, რატომ?**

- ამ კითხვას ველოდი. შეიძლება, ცოტა შეშლილიც ვარ, მაგრამ ასე გადავწყვიტე და ამ გადაწყვეტილებაში დიდი როლი ითამაშა პროფესორ ჩაფიძის მოწვევამაც. თან აქ კარგი მეგობრები მყავს. ჩემი ჰოსპიტალიდან პენსიაზე გავედი. ან უსაქმოდ უნდა ვყოფილიყავი, ან - ბაღში მემუშავა.

**- ბაღში, ჰაერზე მუშობა გულისთვის სასარგებლოა...**

- დიახ, ჩინური ანდაზის მიხედვით, თუ გინდა ერთი დღე იყო ბედნიერი, ქალი უნდა გყავდეს გვერდით და თუ გინდა, მთელი ცხოვრება კარგად იყო, ბაღში უნდა იმუშაოო... თავს ენერგიულად და ახალგაზრდულად ვგრძნობ.

**- რამდენად დაინტერესებულნი არიან ახალგაზრდა ქართველი კარდიოლოგები თქვენი გამოცდილებით, შეკითხვებით მოგმართავენ?**

- დიახ, ბევრი მეკითხება აზრს და ურთიერთთანამშრომლობისთვის კარგი კლიმატია შექმნილი. ჩემი ამბიცია არ არის ყოველდღე ოპერაციების კეთება, ჩემი ამბიცია - დახმარებაა.

**- თქვენ პროფესიონალი ხართ და საოპერაციოში ყოველგვარი სანტიმენტები უადგილოა. რას გრძნობთ, როდესაც გულს ეხებით?**

- გული ცოცხალია. წინა დღეებში პაციენტთანაც ამყარებ ურთიერთობებს, გრძნობ, რომ შენი სჯერა. მის წინაშე პასუხისმგებლობა გაქვს - ოჯახში უნდა დაბრუნება. გული უბრალო ორგანო არ არის, რადგან საქმე სიცოცხლესთან გაქვს.

**- როგორ უნდა გავუფრთხილდეთ გულს?**

- არ ვიცი, ამისთვის რა უნდა გააკეთოთ, მაგრამ ბევრი რამ რომ არ უნდა გააკეთოთ - ეს ვიცი. ვფიქრობ, უნდა ეცადოთ, რომ ცხოვრება ბედნიერი გახადოთ.

B2 რევიუ B3 რევიუ B4-5 სპორტი B6 მეცნიერება და ტექნიკა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა



# აფიშა

## კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სპექტაკლი
ჯუზეპე ვერდი
"ტრავიატა"
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ლალი როსება
"პრემიერა"
რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ალექსანდრე ვამპილოვი
"მონადირე"
რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**გლობუსი**
ნინო ნაკაშიძე
"ვინ არის დამნაშავე?"
რეჟისორი: სოსო ნემსაძე
ფასი: 2-3 ლარი

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ევროტური"
დას: 12:00; 18:00 სთ.

"თეთრი გოგონები"
დას: 14:00; 20:00 სთ.

"უცხო მტაცებლის წინააღმდეგ"
დას: 16:00; 22:00 სთ.

**ამირანი**
"ტერმინალი"
დას: 22:00 სთ.

"რიდიკის ქრონიკები"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30 სთ.

## გამოფენები

**ქარვასლა**
"ყალბი ამბები"
(გამოფენა ქართულ-შვედური კულტურის ფესტივალის ფარგლებში)

**TMS**
ნანა ბოტკოველის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ბაია გალერეა**
ლევან მარგიანის ნამუშევრების გამოფენა
"მწყემსი კეთილი"

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ძველი თბილისი"

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
თბილისური შემოდგომა
(ფერწერა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე"
გამოფენა-გაყიდვა

**ძველი გალერეა**
თემურ სხულუხიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
"სამეფო პალიტრა"
(ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

**ჰობი**
სალონი "თექა მიქსი" წარმოადგენს
თექის ნაწარმს

**სამხატვრო აკადემია**
აკადემიის დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვა

**ლიტერატურული შეხვედრები**
**წიგნის სახლი**
ზაალ სამადაშვილის ციკლი "ჩემი სამაგიდო წიგნები"
სტუმარი გიგი სულაკაური
დას: 17:00 სთ.

## კლუბები

**Jam**
ადგილობრივი დი-ჯეები:
Tasca, Edgar Sebis, Crazy
დას: 22:00 სთ;
ფასი: 7 ლარი.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

**პარასკევს, 19 ნოემბერს, 15.00 საათზე** ეროვნულ ბიბლიოთეკაში (გუდიაშვილის ქ.N7) შედგება პრეზენტაცია ჯემალ აჯიაშვილის წიგნისა "ვარსკვლავთა ჩრდილში მაღალთა თანა".

# ზრუნვა პრიორიტეტებზე

## დისკუსია საქართველოს წიგნის პოლიტიკაზე დაიწყო

ვერა ნეფარიძე

*"წიგნი ჩვენი პრიორიტეტია", - ეს სიტყვები გიორგი გაბაშვილმა გამინისტრებისას წარმოთქვა. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ პრიორიტეტებზე ახლებური (წინა წლებისგან განსხვავებული) მუშაობა დაიწყო. გუშინ სასტუმრო "პრიმავერაში" საქართველოს წიგნის პოლიტიკაზე დაწყებული დისკუსიის პირველი დღე ის ერთ-ერთი რეალური ნაბიჯია, რასაც სამინისტრო პრიორიტეტულ სფეროებში დგამს.*



ვახო ბესელიას ფოტო

*დებატების ევროპელი და ქართველი ორგანიზატორები.*

გიორგი გაბაშვილის წინამორბედს ვერავინ დაუკარგავს ევროსაბჭოს შესაბამის სტრუქტურებთან ურთიერთობას, რასაც ბევრი თუ არა, ჩვენი კულტურისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი ძვრა მოჰყვა. ერთ-ერთ ასეთ ძირითად ღონისძიებად უნდა მივიჩნიოთ სახელმწიფო კულტურის შესახებ შარშან კრწანისის რეზიდენციაში გამართული დებატები. ორდღიანი დებატები ევროსაბჭოს კულტურის, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დეპარტამენტსა და საქართველოს კულტურის სამინისტროს შორის დაწყებული STAGE-ის პროგრამის შემადგენელი ნაწილი იყო. ამავე პროგრამაში განსაზღვრულია ევროსაბჭოსთან საქართველოს ურთიერთობა სხვადასხვა სფეროში, მათ შორისაა საბიბლიოთეკო და წიგნის სექტორი; ის, რის შესახებაც პროგრამის ქართველ და ევროპელ წარმომადგენლობასთან ერთად ჩვენი წიგნის გამავრცელებლები, გამომცემლები და ავტორები ისაუბრებენ ამ დღეებში.

2002 წელს ევროსაბჭოს ექსპერტი ბატონი გრეგორ ბოგუტა (ამავე დროს, იგი გახლავთ STAGE-ის პროგრამის დირექტორი) გაეცნო საქართველოს წიგნის სექტორში არსებულ მდგომარეობას. მან ეს ინფორმაცია საქართველოს მთავრობის, პარლამენტის წევრებისა და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების, ქართული წიგნით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლების, წიგნის გამავრცელებლების, მწერლებისა და მთარგმნელებისგან მიიღო. გრეგორ ბუგოტამ მოამზადა რეკომენდაციები "საქართველოში წიგნის პოლიტიკის მიმოხილვა", რომელსაც იგი ოთხდღიანი დებატების განმავლობაში გააცნობს ქართულ მხარეს.

დებატები გუშინ სასტუმრო "პრიმავერაში" გაიხსნა. ამ დღეების განმავლობაში გათვალისწინებულია სემინარი "საქართველოში წიგნის პოლიტიკის გატარებისა" და "სამხრეთ კავკასიაში ბიბლიოთეკების სტრატეგიის შესახებ". გუშინდელი პროგრამის მონაწილეები იყვნენ: მინისტრი გიორგი გაბაშვილი (რომელმაც გახსნა დებატები), მისი მოადგილე თამარ ქვარიანი, ევროსაბჭოს კულტურის, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დეპარტამენტის დირექტორი კეტრინ როტი და გრეგორ ბოგუტა. მიწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე ლაშა ბერაია; გამომცემლები: ბაკურ სულაკაური; თამარ ლებანიძე და გია დარსალია.

როგორც გიორგი გაბაშვილმა თქვა სემინარის გახსნისას, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ უნდა უხელმძღვანელოს ქართული წიგნის სექტორის კოორდინირებას და განსაზღვროს მისი პოლიტიკა; ძირითადი მიზნები კი უნდა იყოს: პირდაპირი საბიუჯეტო დახმარების როლის განსაზღვრა საგამომცემლო საქმიანობისა და წიგნით ვაჭრობის სფეროში; სპეციფიკური საგადასახადო წესების განსაზღვრა მთლიანად წიგნის სექტორისათვის; წიგნის სფეროში საბაჟო გადასახადების შესახებ ფლორენციისა და ნაირობის ხელშეკრულებებთან მიერთება და, საერთოდ, წიგნის ერთიანი პოლიტიკის გატარება. თუმცა, მინისტრმა ისიც დაამატა, რომ ამ ყველაფრისთვის აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის შექმნა. გიორგი გაბაშვილმა მოკლედ წიგნის სექტორში წინგადადგმული ნაბიჯებიც ახსენა. მაგალითად: გამომცემელთა ასოციაციის ჩამოყალიბება, წიგნის ყოველწლიური ფესტივალი (ბატონ ბოგუტას მიერ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინიციატივად არის შეფასებული), ლიტერატურული კონკურსები; ის, რომ საქართველომ მხარი დაუჭირა საერთაშორისო ინიციატივას და აღნიშნა საავტორო უფლებების დღე და ა.შ. დაბოლოს: უახლოეს დღეებში დაგეგმილია ბიბლიოთეკების წარმომადგენელთა შეკრება სემინარის შედეგების განხილვისა და სამომავლო ამოცანების დასახვის მიზნით. მსგავსი თათბირი გაიმართება საგადასახადო კოდექსის დამტკიცებისთანავე. დღევანდელი დღე კი დებატებზე მთლიანად საბიბლიოთეკო პოლიტიკის თემას დაეთმობა.

# სოლო-კონცერტი საგამოფენო დარბაზში

თეონა ჯაფარიძე

მოსაწვევი, რომელზეც უძველესი ქართული სამკაული იყო გამოსახული, ერთდროულად მათ სანახავად და ბახის, ბეთჰოვენისა და სკრიაბინის მუსიკის მოსასმენად გვეპატიჟებოდა. **"ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი"** ცდილობს, თავისი საგამოფენო სივრცე მაქსიმალურად დატვირთოს და მას რამდენიმე ფუნქციას ანიჭებს. ცენტრის მიერ მოწყობილი გამოფენები მხოლოდ კედელზე დაკიდებული ხელოვნების ნიმუშისა და დამთვალიერებლის ურთიერთობაზე არ არის ხოლმე გათვლილი და ხშირად სანახაობას, შოუს გვთავაზობს (თუმცა, ცენტრი საჭირო შემთხვევაში არც გამოფენის ასეთ კლასიკურ ფორმატზე ამბობს უარს.)

დაახლოებით ერთი თვის წინ აქ საკმაოდ პომპეზურად გახსნილი გამოფენა "სამკაული და ისტორია" დღესაც გრძელდება: ექსპოზიციაზე წარმოდგენილი, საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი სამკაულების ასლები, სანახაობის ანუ შოუს მოწყობის უამრავ შესაძლებლობას იძლევა. თუ ერთი თვის წინ სამკაული დიზაინერ ჯაბა დიასამიძის კოლექციასთან ერთად დამთვალიერებლებს შორის მოსიარულე მოდელებმა გააცოცხლეს, გუშინ საღამოს იგივე ექსპოზიციის ფონზე მსმენელი კლასიკური მუსიკის ცოცხალ საფორტეპიანო კონცერტს უსმენდა. საგამოფენო დარბაზი საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის მე-18, მე-19 საუკუნეების სალონს დაემსგავსა. ხალხმრავალი გამოფენა დახურულმა მიღებამ, მოსაწვევებით დაპატიჟებულმა მცირერიცხოვანმა აუდიტორიამ, დანომრილმა სკამებმა, მსუბუქმა ფურშეტმა და თეთრმა როიალმა შეცვალა. უცხოელ საელჩოთა წარმომადგენლები და საგარეო საქმეთა მინისტრი კონცერტის დაწყებამდე გამოფენილი ასლებით დაინტერესდნენ. სხვათა შორის, მათი ფასები სიმბოლურია (20-დან 50 ლარამდე). მსურველს შეუძლია, არმაზისხევში ან ვანში მოპოვებული პიტიახშების დროინდელი ბეჭდის ან ანტიკური საყურის საკმაოდ ოსტატურად შესრულებული ასლი შეიძინოს და ატაროს. ეს მოდურიცაა და, იმავდროულად, რომანტიკულიც. თანაც, ხელოვნების სერთაშორისო ცენტრი შეძენილ ნივთს აუცილებლად თან მოაყოლებს ამ ნივთის ისტორიას. ცენტრის ეს პროექტი საგანმანათლებლო ფუნქციას ასრულებს.

კონცერტი დაიწყო. მსმენელის წინაშე წარდგა პიანისტი **ნუცა კასრაძე**. პროგრამაში იყო ბახის პრელუდია და ფუგა სოლ-მინორი, ბეთჰოვენისა და სკრიაბინის სონეტები, დე-ფალიას "ცეცხლის ცეკვა" და როდრიგოს Serenata espaniola. ნუცა კასრაძის რეპერტუარში ესპანელი ავტორების გამოჩენა პიანისტის ემოციურ და შესრულების ტემპერამენტულ მანერას, ხასიათსა და... 20 ნოემბერს მადრიდში, პიანისტთა მე-5 საერთაშორისო კონკურსზე მის გამგზავრებასაც უკავშირდება. "ნუცა კარგ ფორმაშია. მე თავად ვარ საბერძნეთში მისი წარმატების მომსწრე, მაგრამ კონკურსი კონკურსია. არავინ იცის, რა მოხდება", - ამბობს ბატონი **გიზი ამირეჯიბი**.

"კონკურსი ოთხ ტურად ჩატარდება. რეპერტუარში შედის ყველა ეპოქის ევროპელი და ესპანელი კომპოზიტორების ნაწარმოებები. ფინალისთვის აუცილებელია ბეთჰოვენის მე-3 კონცერტის შესრულება. ბეთჰოვენი ჩემი ფავორიტი კომპოზიტორია. სულ სამსაათიანი პროგრამაა. მონაწილე კი იმდენია, რომ მადრიდში ბევრი სასტუმრო უკვე მთლიანად დაჯავშნილია." - მიხსნის ნუცა. პიანისტი უკვე არის ქალაქ კანტუს (იტალია) საფორტეპიანო კონცერტების მე-11 და მარკოპულოს (საბერძნეთი) მე-4 საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, ეწევა აქტიურ საშემსრულებლო მოღვაწეობას, გამოდის როგორც სოლო-კონცერტებით, ისე კამერულ და სიმფონიურ ორკესტრებთან ერთად.

"აქ საკმაოდ კარგი აკუსტიკაა. ამ გარემოში მუსიკა სასიამოვნო მოსასმენია. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ აღდგება სალონური კონცერტების ტრადიცია", - ამბობს ბატონი გიზი ამირეჯიბი.

ასე რომ, პიანისტი რამდენიმე დღეში მადრიდში გაემგზავრება, გამოფენას "სამკაული და ისტორია" კი დეკემბრის ბოლოს ამერიკელი დამთვალიერებელი ელის.

# ცხოვრება იაპონიაშიც თამაშია

## ოსაკადან დაბრუნებული მსახიობები თბილისურ პრემიერაზე ფიქრობენ

ვერა ნეფარიძე

*"ცხოვრება თამაშია", - ეს იმ პანტომიმური წარმოდგენის სახელწოდებაა, რომელიც იაპონიის ქალაქ ოსაკაში, "ლაველი ჰოლში" სამმა ქართველმა მსახიობმა - გიორგი ოსეფაშვილმა, ქეთი ქიტიაშვილმა და გულიკო ემხვარმა აჩვენა. სპექტაკლს მრავალრიცხოვანი, აღფრთოვანებული აუდიტორია ჰყავდა და ახლახან იაპონურ მედიაში მის შესახებ დადებითი პრესაც გაჩნდა. იაპონიიდან დაბრუნებული მსახიობები წარმოდგენის თბილისურ პრემიერაზე ფიქრობენ.*






ქართული პანტომიმა საინტერესოდ განვითარდა. ჯერ იყო ამერიკაში დაარსებული "სინეტიკ თეატრის" წარმატებები; აღიარება აქვს გერმანიაში მოღვაწე დავით ონიანს; თუმცა, ყველაფერი საქართველოში ამ ჟანრის დამაარსებლის ამირან შალიკაშვილის მოღვაწეობიდან იღებს სათავეს. ეს კარგად აქვთ გაცნობიერებული ქართული პანტომიმის ოსტატებს, მათ შორის, ქეთი ქიტიაშვილსა და გიორგი ოსეფაშვილს, რომელთა შემოქმედებამ იაპონიაში გაუთქვა სახელი ქართულ პანტომიმას. ეს მსახიობები ხომ შარშანდლამდე თბილისის პანტომიმის სახელმწიფო თეატრის დასში იყვნენ.

ორი წლის წინათ, როდესაც თბილისში იაპონური მუსიკის ფესტივალი გაიმართა, სტუმრებმა პანტომიმის თეატრის სპექტაკლზე დასწრება ისურვეს. მათ ქართველ მსახიობებს განახლებული სპექტაკლით იაპონიაში გამგზავრება შესთავაზეს (იაპონელ პარტნიორებთან ურთიერთობაში ქართველ მსახიობებს დაეხმარა იაპონიაში მოღვაწე ქართველი მუსიკოსი ზაზა გოგუა). ასე დაიწყეს მუშაობა გიორგი ოსეფაშვილმა და ქეთი ქიტიაშვილმა სპექტაკლზე, რომელსაც უწოდეს "ცხოვრება თამაშია".

სპექტაკლი, რომლის მუსიკალურ გაფორმებაზე ქეთი ქიტიაშვილმა იზრუნა, ვიზუალურ მხარეზე კი - ორივე მსახიობმა, რამდენიმე ნაწილისგან შედგება. ავტორები, რომლებიც პანტომიმის თეატრიდან წავიდნენ, ბევრგან მართავდნენ რეპეტიციებს, რისთვისაც განსაკუთრებით ემადლიერებიან "ვარდების ბაღისა" და მედიკოსთა კულტურის სახლის დირექციას. სპექტაკლის წამყვანად დრამის მსახიობი გულიკო ემხვარი მიიწვიეს.

ქართველი მსახიობები 23 ოქტომბერს გაემგზავრნენ იაპონიაში, სპექტაკლი კი 30 ოქტომბერს, ოსაკას ერთ-ერთ პრესტიჟულ დარბაზში, "ლაველი ჰოლში" დაიგეგმა. ეს კი არც ისე იოლია. როგორც თბილისში დაბრუნებულმა მსახიობებმა გვითხრეს, იაპონელი პარტნიორები მეტისმეტი სიფრთხილით გამოირჩევიან. ამიტომაც ვერ გარისკეს ერთზე მეტი სეანსის დანიშვნა, თუმცა, ქართველი მუსიკოსის ზაზა გოგუას მონაწილეობა რომ არა, ესეც არ იქნებოდა. აქვე უნდა გითხრათ ამ ადამიანის მოღვაწეობის მეორე მხარეზე: ოსაკაში მას გახსნილი აქვს გალერეა "ქართული სახლი", სადაც ახლა ქართველი ფერმწერის ნინო ქარუმიძის ნამუშევრების გამოფენაა.

სპექტაკლი, შეიძლება ითქვას, თანამედროვე ქართული ხელოვნების წარდგენის საშუალებად იქცა. ანტრაქტის დროს მუსიკოსები ზაზა გოგუა და ოსაკაში მოღვაწე მევიოლინე და დირიჟორი გოგი ბაბუაძე ქართულ ნაწარმოებებს ასრულებდნენ. "ეს აუცილებელი იყო, რადგან მათ საკუთარი ფანები ჰყავთ", - ამბობს მსახიობი ქეთი ქიტიაშვილი. გიორგი ოსეფაშვილის თქმით, "ცხოვრება თამაშია" დრამატულ თეატრს, პანტომიმას, კლოუნადასა და საცეკვაო პანტომიმას აერთიანებს. სპექტაკლის შინაარსი დაახლოებით ასეთია: ღვაწლმოსილი მსახიობი იხსენებს ცხოვრების გზას, რის საფუძველზეც შექმნილია სიუჟეტები. თბილისში დაბრუნებული მსახიობების სურვილია, სპექტაკლი თბილისელმა მაყურებელმაც ნახოს. სად და როდის განხორციელდება ეს იდეა, ჯერჯერობით, უცნობია.

# "ამ ფილმის სცენარს ათ წელიწადს ვწერდი"

## პედრო ალმოდოვარი "ცუდი აღზრდის", რელიგიისა და მამის შესახებ

*ესპანელი რეჟისორის პედრო ალმოდოვარის ბოლო ფილმი "ცუდი აღზრდა", რომლითაც წლევანდელი კანის საერთაშორისო კინოფესტივალი გაიხსნა, 2004 წლის ევროპის კინოაკადემიის ჯილდოს მთავარ ნომინანტთა სიაში მოხვდა. მთავარი პრიზის გარდა, "ცუდი აღზრდა" წარდგენილია საუკეთესო სცენარის ნომინაციაში. 11 დეკემბერს ბარსელონაში გამართულ საზეიმო დაჯილდოებაზე გაირკვევა, მოიპოვებს თუ არა ესპანელი რეჟისორის უკანასკნელი ნამუშევარი სასურველ "ცეზარს". მანამდე კი კიდევ ერთხელ პედრო ალმოდოვარისა და "ცუდი აღზრდის" შესახებ ფრანგული პრესის მიხედვით.*

**- თქვენი ფილმი "ცუდი აღზრდა" დიდი ხნის პროექტია. რატომ დაიგვიანეთ ასე გადაღებების დაწყება?**

- ამ ფილმის ისტორია ძალიან ადრე, დაახლოებით 70-იან წლებში დაიწყო. იმ დროს პატარ-პატარა ჩანახატებს, ისტორიებს ვწერდი. "ცუდი აღზრდაც" ერთ-ერთი ამ ისტორიათაგანია. რამდენიმე წლის წინ ერთმა გამომცემლობამ ჩემი ძველი მოთხრობების გამოქვეყნება შემომთავაზა. სწორედ მაშინ გადმოვიღე დამტვერილი თაროებიდან ტრანსვესტიტის ეს პატარა ამბავიც. გამოსაცემად არ მიმიცია, რადგან, როგორც მოთხრობა, დიდი არაფერია, მაგრამ იმასაც ვერასდროს ვიფიქრებდი, თუ ამაზე ოდესმე ფილმს გადავიღებდი. დიდი დრო დამჭირდა იმისთვის, რომ ამ პატარა ისტორიის მიხედვით სცენარი დამეწერა. ამას თითქმის ათი წელი მოვანდომე. დავიწყებდი მუშაობას, მერე თავს ვანებებდი. გადავიღებდი რომელიმე ფილმს, ისევ დავუბრუნდებოდი, და ისევ თავდებოდა იმით, რომ სულ სხვა ფილმს ვაკეთებდი. ვგრძნობდი, რომ ეს ფილმი მექცა იდეაფიქსად, რაღაც ლანდად, რომელიც სულ თან მდევდა, მე კი ვერაფერს ვუხერხებდი. საბოლოოდ რაღაც გავაკეთე, შევცვალე დეტალები, დავამატე ძმების თემა... სხვათა შორის, არანაკლებ ძნელი აღმოჩნდა მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობის მოძებნა, რომელსაც ერთნაირად კარგად და ბუნებრივად უნდა განესახიერებინა სამი ადამიანი: მამაკაცი, ახალგაზრდა ბიჭი და ბოლოს ქალი!

**- რატომ აირჩიეთ სათაური "ცუდი აღზრდა"?**

- უბრალოდ, მომეწონა. ესპანეთში ამ სათაურს მრავალ ინტერპრეტაციას უკეთებდნენ. მაგალითად, თურმე, აქ ყველაფერი მხოლოდ კონკრეტულ სასულიერო სასწავლებელში მიღებულ აღზრდას ეხება. არადა, სასწავლებლის სცენები, ფილმის ნაწილს მოიცავს და, თანაც, ეს არც ისე მნიშვნელოვანია. როდესაც ვლაპარაკობ აღზრდაზე, ვგულისხმობ იმას, რაც ჩემმა თაობამ მიიღო რელიგიურ სასწავლებლებში. საშინელი, დაუნდობელი კათოლიკური აღზრდა, დაფუძნებული დასჯასა და დამნაშავეობაზე. საბედნიეროდ, ეს ჩემთვის გავლილი ეტაპია.

ეს არ არის ფილმი ცუდ აღმზრდელებზე, ის ზოგადად აღზრდის იმ ბნელ მხარეს მოიცავს, რომელიც არსებობს და რომელიც პირადად ჩემთვის საინტერესოა. ადამიანები, პროფესიისგან დამოუკიდებლად, ერთგან დამნაშავენი, მეორეგან კი მსხვერპლნი არიან. მათ აქვთ დიდი ვნება, სიყვარული. ამისი არც რცხვენიათ და არც ეამაყებათ, ეს, უბრალოდ, მათი ტვირთია. ვნება ყველასთან სხვადასხვაა. მაგალითად, ჩემი წინა ფილმის "ესაუბრე მას" მთავარ გმირთან ბენინიოსთან, ლტოლვა, ვნება აბსოლუტურად გაუცნობიერებლად ხდება, როცა "ცუდ აღზრდაში" ხუანთან ის სრულიად გაცნობიერებულია. მისთვის ეს არის ამბიცია, საკუთარი ოცნებების ასრულების შანსი და ამისთვის ის ყველაფერზე წავა - დაწვება კაცთან, ქალთან, სულ ერთია, ვისთან.

**- მონტაჟზე მუშაობა, ალბათ, ძნელი იყო, რადგან ფილმში დრო ძალიან არეულია...**

- მონტაჟი სწორედ ის პროცესია, როცა ხვდები, გამოვა აქედან ფილმი თუ არა. მონტაჟი ჩემს ყველა ფილმში, განსაკუთრებით კი ბოლო ორში, ძალიან მნიშვნელოვანია. ის მარტო რიტმს არ ქმნის. თვითონ სცენარი უკვე ისე დამუშავდა, რომ ზუსტად იყო დაცული და გათვალისწინებული ფილმის არეული დრო, ანუ სცენარი უკვე დამონტაჟებული იყო. არეულ დროში სამი ისტორიის პარალელურად ჩვენება არც ისე ადვილია. მაგრამ სირთულეები ამით არ თავდება. ხანდახან ფიქრობ, რომ დამთავრდა ყველაზე რთული ეტაპი - სცენარი, და ახლა ფილმი წყალივით წავა, მაგრამ არაფერი შეგეშალოს, ყველაფერი არც ისე მარტივადაა. რაც არ უნდა ზუსტად გქონდეს ყველაფერი განსაზღვრული, გადასაღებ მოედანზე მოულოდნელობებისგან დაცული მაინც არ ხარ. მიუხედავად იმისა, რომ მე ზუსტად ვიცი რა მინდა - "აქ მინდა ესა და ეს ხასიათი, აი, ეს კი საერთოდ მოაშორეთ აქედან." იმისთვის, რომ მომუშავე პერსონალისგან მივიღო საჭირო შედეგი, მათ ზუსტად უნდა დავუსახო ამოცანა. რაც შეიძლება ახლოს უნდა მივიყვანო ჩემს ხედვასთან, ჩემს სამყაროსთან. ამისთვის ხანდახან მათი შეცვლაც კი მიწევს. მაგალითად, "ცუდ აღზრდაში" ენრიკეს როლის შემსრულებელს, რომელსაც სულ სხვა ტემბრის ხმა აქვს, ვთხოვე, რომ მთელი გადაღებების დროს სხვა, უფრო დაბალ ტემბრზე ელაპარაკა. მისი გარეგნობის შეცვლაც კი მომიხდა. იგივე გავაკეთე ხმის ინჟინერთან, ფოტოგრაფთან, დეკორატორთან.



**- თქვენი ფილმის გმირი რეჟისორია. არის აქ რამე ავტობიოგრაფიული, თუნდაც, ავტოპორტრეტის შტრიხები?**

- როგორც ენრიკესთვის, ჩემი ვნებაც კინოა. მაგრამ ენრიკე არ არის ჩემი პორტრეტი. თუმცა, ფილმში, მართლაც, არის რაღაც ავტობიოგრაფიული. მე ბავშვობაში ვყოფილვარ ყველა იმ ადგილას, სადაც ფილმის გმირები დადიან, დავდიოდი ასეთივე სასულიერო სასწავლებელში, სადაც, მართლაც, ხშირად ხდებოდა სექსუალური ძალადობა ბავშვებზე... მათსავით ვმღეროდი საეკლესიო გუნდში. იმ ასაკში აღმოვაჩინე კინო. მაგრამ აქ მე არ ვყვები ჩემს ისტორიას. მე ვამხელ ბავშვებზე გამოყენებულ სექსუალურ ძალადობას, ბავშვის მიამიტი ბუნების ბოროტად გამოყენებას. ფილმი ასევე უჩვენებს იმას, რაც მე მივიღე კინოს წყალობით. ალტერნატიული განათლება - კინო, რომელიც შეიძლება კარგი აღმზრდელიც იყოს.

**- სად არიან თქვენს ფილმში მამები?**

- მამები? ჰო, ჩემს ფილმებში უფრო მეტი დედაა, ვიდრე მამა. "ცუდი აღზრდის" ერთ-ერთ ბოლო სასცენარო ვერსიაში იგნასიოს ჰყავს მამა, რომელიც ფილმში მოჩანს. თუმცა, მამა ბოლოს კვდება, თავს იკლავს. მაგრამ საბოლოოდ ის ფილმში არ შევიდა...

**- გადაიღებდით "ყველაფერს მამაჩემის შესახებ"?**

- იმდენი ვილაპარაკე დედაჩემზე ჩემს ინტერვიუებში თუ ფილმებში, რომ მამაჩემი მართლაც საიდუმლო პერსონაჟად იქცა. ამას წინათ ერთმა ფრანგმა ჟურნალისტმა ჩემზე დიდი სტატია დაწერა, მთელი გამოძიება ჩაატარა ჩემზე, ბავშვობაზე, ჩემს მეგობრებზე... იცით, რა დაწერა? მთელ ამ ისტორიაში ყველაზე სიმპათიურია ალმოდოვარის მამა მისი... არყოფნის გამოო.

მამაჩემი ცხოვრობდა მე-19 საუკუნეში, მაშინ, როცა მეოცე კარს იყო მომდგარი. მას ლა მანშიდან ანდალუზიაში ვირებით ღვინო გადაჰქონდა. გრძელ გზას ფეხით გადიოდა, ჩერდებოდა ბოშათა ბანაკებში... არადა, 50-იანი წლები იყო, ავტომობილი არსებობდა... თითქოს "კარმენში" აღწერილ ეპოქაში ცხოვრობდა. იშვიათად ვხედავდით სახლში, თუმცა, მისგან დიდი სიყვარული მახსოვს. მაგრამ ასევე მახსოვს მისი გამოხედვა: ვის ჰგავს ეს ბავშვი?

ის გარდაიცვალა, როცა გადავიღე პირველი ფილმი "პეპი, ლუსი და ბუმ..." ჩვენ ვერასდროს ვუგებდით ერთმანეთს. უცხოები ვიყავით ერთმანეთისთვის. უფრო დიდხანს რომ ეცოცხლა, ალბათ, დავმეგობრდებოდით. დღეს ვფიქრობ, რომ ის საოცარი ცხოვრებით ცხოვრობდა. ახლა სიამოვნებით ვკითხავდი უამრავ რამეს... მაშინ კი, სულ მცირე, ორი საუკუნე გვაშორებდა ერთმანეთს. ის ცხოვრობდა მე-19-ში, მე კი დავტოვე სახლი და გადავედი მადრიდში, რომელიც 21-ეს უფრო ჰგავდა. მამა-შვილი - ეს ქმნის რაღაც გაუცხოების, მაგრამ ამავე დროს ძალიან მნიშვნელოვან გრძნობას.

**- "ცუდ აღზრდაში" აქცენტი კეთდება ძმების ურთიერთობაზე. რეალურ ცხოვრებაში პირადად თქვენთვის რამდენად მნიშვნელოვანია ისეთი ცნება, როგორიცაა ძმები, ძმობა?**

- ფილმები, რომლებშიც ძმების ისტორიაა მოთხრობილი, პირადად ჩემთვის, როგორც ცალკე ჟანრი, ისე არსებობს. პირადად მე, საყვარლებს შორის, მეგობრებს შორის ურთიერთობის მოყოლას ძმებზე საუბარი მირჩევნია. ყოველთვის მომწონდა ასეთი ფილმები. სიამოვნებით გადავიღებდი ისეთ ფილმს, როგორიცაა "როკო და მისი ძმები". ძმა - ეს არის მთელი შენი ცხოვრების თანამგზავრი, მოწმე. მე და ჩემს ძმას შორის პატარა ასაკობრივი განსხვავებაა. ავგუსტინი უფრო ჩაკეტილი, ფრთხილი ადამიანია. მთელი ჩემი მოგონებები და ბავშვობა მასთან არის დაკავშირებული: როგორ ვმღეროდი, ვდგამდი სპექტაკლებს, ვკითხულობდი ლექსებს... ჩემი ძმა რომ არ იყოს, მე დავკარგავდი ჩემს ყველა მოგონებას. ძმები, დები - ეს ხომ ჩვენი მეხსიერების, მოგონებების ნაწილია.

**- თქვენი ყოველი ფილმის დასაწყისში, ტიტრებში ასე წერია: "ალმოდოვარის ფილმი". ეს ნიშნავს პედროს - რეჟისორს, მაგრამ ასევე ავგუსტინს - პროდიუსერს?**

- ჰო, აქ ორივე იგულისხმება, ეს ხომ ჩვენი ფილმია. ავგუსტინი პროფესიით ქიმიკოსია. დღეს კი კინემატოგრაფიის პროფესიაში ყველაზე საზიზღარი საქმისგან მათავისუფლებს, ისეთი საქმისგან, როგორიცაა პროდიუსერობა. ჩვენს ფირმაში "ელ დესეო" აგვარებს ყველაფერს, რაც კი ფილმის შექმნისთვისაა აუცილებელი, რომ მე სხვაზე არაფერზე ვიფიქრო, გარდა ერთისა - გადავიღო ფილმი. ჩვენი ურთიერთობა აბსოლუტური ოპოზიციაა იმისა, რაც მე ვაჩვენე "ცუდ აღზრდაში", სადაც არის შური, ღვარძლი... სადაც ერთი ძმა კლავს მეორეს, რომელიც მასზე ნიჭიერია... მაგრამ ვერც კი ხვდება, ისე ემსგავსება, ისე ხდება მისი პროტოტიპი.

**- დაბოლოს, რას იტყოდით იმაზე, რომ გყოლოდათ უმცროსი ძმა, პროფესიით რეჟისორი?**

- რა გითხრათ... ჩემს ფილმებს ბევრი ბაძავს. მე, ვისაც საკუთარი ანარეკლის ყურება მაღიზიანებს, კიდევ უფრო არ მსიამოვნებს ეკრანზე ჩემი ფილმის "ასლების" ყურება. მოკლედ, მე რომ პატარა ძმა მყოლოდა, პროფესიით რეჟისორი... არ ვაღიარებდი.

# პოლარული ექსპრესი - ექსპრესი ახალი კინომომავლისკენ

"პოლარული ექსპრესი". ეს სათაური, თითქოს, ტიპური ჰოლივუდური ბლოკბასტერივით ჟღერს. ფილმი ასეთიცაა, სპეცეფექტებით სავსე, მაგრამ მაინც არის მასში რაღაც ატიპური. თავის მხრივ, ეს ატიპური რამ ფრიად ნოვატორულია და კინემატოგრაფს (განსაკუთრებით კი ამერიკულს, რადგან საეჭვოა, მან ევროპული კინოც გააბას მახეში) სრულიად ახალი შესაძლებლობების სპექტრს უხსნის.

საუბარია ახალ, ჯერ ექსპერიმენტულ ტექნოლოგიაზე, რომელმაც ტომ ჰენქსს საშუალება მისცა, ამ საშობაო-სათავგადასავლო ფილმში ერთდროულად შეესრულებინა პატარა ბიჭის, მატარებლის კონდუქტორის, სანტა კლაუსისა და მაწანწალას როლები.

და აი, როგორ გაუწია ჰენქსმა პარტნიორობა საკუთარ თავს "პოლარულ ექსპრესში": მან გადაიცვა შავი კოსტიუმი, რომელიც დაქსელილი იყო ლურჯი ნეონის ზოლებით. თავზე მჭიდროდ მოირგო კეპი, სახე კი 152 კაშკაშა თეთრი ლაქით, სენსორით დაიფარა. ამ ელექტრო-აღჭურვილობის გავლით კომპიუტერებმა ჩაიწერეს მსახიობის ყოველი მოძრაობა და მიმიკა და ეს დამახსოვრებული მასალა შემდეგ მის გმირებს მოარგეს.

მეცნიერები ამბობენ, რომ "პოლარულმა ექსპრესმა", შესაძლოა, ძირფესვიანად შეცვალოს მაყურებლის მიერ მსახიობის არტისტიზმის შეფასების პროცესი. ამ ტექნოლოგიის წყალობით ხომ სრულიად უსარგებლო ხდება მსახიობის სხეული. ჰარისონ ფორდს 80 წლის ასაკშიც შეუძლია, ითამაშოს "ინდიანა ჯონსი". შონ კონერის - "დოქტორ ნოუ", ჯეკ ნიკოლსონს - 16 წლის ბიჭი და ა.შ.

მეტიც, მსახიობებს შეეძლებათ, ერთმანეთის ნაცვლად ითამაშონ და თავიანთი ციფრული სხეულები გაცვალონ კიდეც: ვთქვათ, ტომ კრუზს შეეძლება, ითამაშოს ჰამფრი ბოგარტი; ჯულია რობერტსს - რიტა ჰეიუორთი...

ცხადია, ეს ყველაფერი დიდ გაუგებრობას და დაბნევას იწვევს, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ფილმის რეჟისორი რობერტ ზემეკისია, ბევრ რამეს მოეფინება ნათელი. ზემეკისი ხომ დახვეწილი სპეცეფექტების ნამდვილი მაესტროა. ტრილოგია "უკან მომავალში" და იგივე "კურდღელი როჯერი" ამის დასტურია. "პოლარული ექსპრესის" იდეა კი მას ტომ ჰენქსმა მიაწოდა. დაახლოებით ოთხი წლის წინ მსახიობმა რეჟისორს გაუგზავნა 1985 წელს გამოცემული საბავშვო წიგნი ილუსტრატორ კრის ვან ალსბურგის ავტორობით და დაეკითხა, გამოვიდოდა მისგან ფილმი თუ არა.



"შევხედე ამ მშვენიერ ნახატებს და დავიბენი, ვერ მივხვდი, როგორ შეიძლებოდა წიგნის მიხედვით ფილმის გადაღება. ბევრი ვიფიქრეთ თუ ცოტა, დავასკვენით, რომ წიგნის მთელი ხიბლი და ემოცია ილუსტრაციებშია. შემდეგ გამოვიგონეთ ეს პროცესი, რომელსაც თამაშის აღბეჭდვა ჰქვია. ის ციფრულად ხორციელდება, მაგრამ სინამდვილეში ანიმაცია არ არის", - რეჟისორი ცდილობს, საქმის არსში ჩაგვახედოს. მაგრამ უფრო მეტი დაკონკრეტებისთვის, მოგახსენებთ, რომ "პოლარულ ექსპრესში" იგივე, "შრეკისგან" განსხვავებით, გმირებს ანიმატორები არ ამოძრავებენ, რათა მსახიობების ხმებს დაამთხვიონ. აქ ანიმაცია არც არის. აქ კომპიუტერზე ჩაწერილი მოძრაობები და მიმიკა პირდაპირ ერგება გამოგონილ გმირებს.

ცხადია, ამ ახალ ტექნოლოგიას ისეთი ფილმის გადაღებისთვის ვერ გამოიყენებენ, როგორიც "მისტიკური მდინარეა" - რეალისტური, სპეცეფექტებისგან დაცლილი, მუქი ფერებით სავსე დრამა. მაგრამ "შრეკისა" და "ბეჭდების მბრძანებლის" კვალზე დამდგარი ფილმებისთვის კი მისწრება იქნება.

მხატვრული კინოს კომპიუტერიზაცია საერთოდ ჩვეულებრივ ამბად "ბეჭდების მბრძანებლის" შემდეგ იქცა. მასში გოლუმის მოძრაობები მთლიანად კომპიუტერით იყო მანიპულირებული. მეთოდს ხშირად იყენებენ ხოლმე ვიდეოთამაშების დროსაც, მაგალითად, მაშინ, როცა მოკრივე ტაიგერ ვუდსს საკუთარი მოძრაობების ანიმაცია სჭირდება...

"პოლარული ექსპრესი" კი ამ ფონზეც ძალიან ატიპური ჰოლივუდური სურათია. თუმცა, ახალი ტექნოლოგიური სიტყვის მიუხედავად, მან კრიტიკოსების ცალსახა აღფრთოვანება მაინც ვერ გამოიწვია. ზოგმა ის ნამდვილ კლასიკად აღიარა, ზოგმა კი აღნიშნა, რომ პერსონაჟები ხელოვნურები არიან.

ფილმის გადაღება რეჟისორს 165 მილიონი დოლარი დაუჯდა. კვირის ბლოკბასტერებში ის მეორე ადგილზე გავიდა. თუმცა, ზემეკისი იმედს მაინც არ კარგავს და მიიჩნევს, რომ "პოლარული ექსპრესის" ლოკომოტივი ამერიკულ კინოს გვირაბის ბოლოს გაიყვანს და ახალი შესაძლებლობების "სადგურში" შეუძღვება.

მანამდე კი, "პოლარული ექსპრესი" ჩრდილოეთ პოლუსიდან ტრადიციულ მარშრუტს გაივლის. და ბიჭს, რომელსაც სანტა კლაუსის სჯერა, მაგრამ მეგობრები სულ დასცინიან, ფანჯარასთან გამოეცხადება. მერე იწყება თავბრუსდამხვევი თავგადასავლები, სპეცეფექტები და ლამაზი საშობაო კადრების მთელი სერია.

"საშობაო სეზონი... ირწმუნე..." - ასეთია რეჟისორის მოწოდება. ბავშვები დევიზს დიდი სიამოვნებით ნებდებიან. დიდები კი ახალი ტექნოლოგიებით გაჯერებულ მომავალზე იწყებენ ფიქრს.

# მიდის თუ არა პუგაჩოვა?!

## ვოლგოგრადის კონცერტზე პრიმადონა უკანასკნელად გამოაცხადეს

ამ დღეებში ვოლგოგრადში გამართულ კონცერტზე ალა პუგაჩოვამ თაყვანისმცემლებს განუცხადა, რომ მისი გადაწყვეტილება სცენიდან წასვლის შესახებ საბოლოოა და განხილვას აღარ საჭიროებს. პუგაჩოვას არაერთხელ გაუკეთებია მსგავსი განცხადება, მაგრამ, როგორც ჩანს, პრიმადონა უკვე ნამდვილად აღარ ხუმრობს. ახლა იგი არცთუ მთლად კარგ ფორმაშია. როგორც ჩანს, სცენაზე ყოფნის მრავალმა წელმა, დაღლილობამ და გამუდმებულმა ყურადღებამ თავისი ქნა.

პუგაჩოვამ თავის თაყვანისმცემლებს სცენიდან წასვლის შესახებ ამცნო. უარეს შემთხვევაში, ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ მუსიკის მოყვარული საზოგადოება ვეღარ ნახავს, ვერც ახალ ჩანაწერებს, ვერც პრიმადონას კონცერტებს და ვერც მის გამოსვლებს გადაცემაში Фабрика Звезд. ბოლო წუთამდე არავის უფიქრია, რომ ამ კონცერტზე ალა პუგაჩოვას უკანასკნელად გამოაცხადებდნენ. მომღერალი ნამდვილად არ იყო ფორმაში. ოფიციალური ვერსიით, იგი მოსკოვი-ვოლგოგრადის გზაზე გაცივდა და იძულებული გახდა, სცენაზე სიცხიანი გამოსულიყო. კონცერტზე არ ბრწყინავდა, თუმცა, ბოლომდე დაიხარჯა, იმდენად, რომ, თვითმხილველთა თქმით, სცენიდან ხელკავით გაიყვანეს.

კონცერტის შემდეგ, როდესაც "გადამდგარ" პუგაჩოვას თაყვანისმცემლებმა ვოლგოგრადში მისი მომავალი ვიზიტის შესახებ ჰკითხეს, მომღერალი გაცხარდა: "მე თქვენთვის არ მითქვამს "ნახვამდის", მე გითხარით "მშვიდობით". ეს ჩემი გამოსამშვიდობებელი ტურია!" არსებობს მოსაზრება, რომ მომღერალს თავი მოაბეზრეს მისმა ფანებმა, ცხოვრების რთულმა გზამ, ან სულაც უილბლო გამოსვლამ. ვოლგოგრადში, თურმე, პუგაჩოვას თავიდანვე არ ეტყობოდა მაინცდამაინც ამაღლებული განწყობა. მსახიობი ყველაფერზე ნეგატიურად საუბრობდა, საკუთარ პროექტთან (Фабрика звезд) დაკავშირებითაც კი. მან აღიარა, რომ პროგრამის რეიტინგი შედარებით დაეცა.

ინფორმაცია პუგაჩოვას წასვლის შესახებ მომღერლის პრესსამსახურმაც დაადასტურა, ვარსკვლავის სამომავლო გეგმების შესახებ კი კატეგორიულად არ საუბრობენ. თუმცა, არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ 55 წლის პრიმა, რომელსაც ჯერჯერობით ვერავინ შეავიწროებს, არც ფიზიკურად და არც ვოკალის მხრივ ფორმაში აღარ არის. იგი სულ უფრო ხშირად დაღლილი გამოიყურება. კანტიკუნტად გამართულ პრესკონფერენციებზე მომღერალი რამდენჯერმე მოყვა კიდეც იმ დაავადების შესახებ, რომელითაც ის იტანჯება. მაგრამ მედალს ორი მხარე აქვს. პუგაჩოვას გადაწყვეტილებას შეიძლებოდა თაყვანისმცემლებისა და პრესის მხრიდან მისთვის არასასურველი შეფასება მოჰყოლოდა. მაგალითად, მოსკოვში გამართულ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტმა მომღერალს სრულიად უსაფუძვლოდ განუცხადა, რომ იგი უსიამოვნოდ გამოიყურებოდა, თუმცა, ამ უხეში მიმართვის გამო მეუღლემ, იქვე მჯდომმა კირკოროვმაც კი არ დაიცვა. წინა კვირას სატელევიზიო პროგრამაში "ანშლაგი" ალა ბორისოვნას დაცინვით "პაპსას დედოფალი" უწოდეს, დაუფარავად საუბრობდნენ მის გემოვნებასა და ჩაცმის მანერაზე. როგორც ჩანს, ალა პუგაჩოვას არ სურს, უზრდელობას უზრდელობითვე უპასუხოს. მაქსიმუმი, რაც ამ თვალსაზრისით მომღერალმა უკანასკნელ წლებში გააკეთა, იმღერა "ქვეყანავ, მე შენთვის ერთი ვარ", ყველას სთხოვა, არ ჩარეულიყვნენ მის პირად ცხოვრებაში და "არ გაენაწყენებინათ იგი", როგორც მეორე სიმღერაში მღერის. გასაგებია, რომ კირკოროვის სკანდალი ჟურნალისტებთან და ესტრადიდან მისი წასვლა ასევე მეტყველებდა მის გადაწყვეტილებაზე, "ყველაფერი მიეტოვებინა". არც ისაა გამორიცხული, რომ სცენის დატოვება მათ ერთდროულად გადაწყვიტეს. თუმცა, სინამდვილეში არც ერთისა და არც მეორისა ჯერ არავის სჯერა. ფილიპი უკვე ამბობს, რომ მას არასწორად გაუგეს, რომ იგი ორწლიან პაუზას აკეთებს. ალბათ, არავის გაუკვირდება, თუ მას ერთ თვეში, ახალი წლისთვის, კვლავ ტელეეკრანებზე ვიხილავთ. პოპულარული მსახიობების საგასტროლო გრაფიკი ხომ სამი, ან, სულ ცოტა, ერთი წლით ადრე დგება. ასე რომ, მიცემული პირობის შესრულებას ფილიპ კირკოროვსაც მოსთხოვენ.



*იგორ პოლნიკოვი, ფილიპ კირკოროვი და ალა პუგაჩოვა.*

"სცენიდან წასვლა" ესტრადაზე იშვიათობა არ არის. არც ისე დიდი ხნის წინათ იოსებ კობზონმაც გააკეთა მსგავსი განცხადება. თუმცა, შემდეგ დაამატა, რომ არავინ იქნება წინააღმდეგი, თუ ქვეყნის საყვარელი მსახიობი სცენაზე დაბრუნდება. ახლა მოსკოვის არც ერთი დღესასწაული (თუნდაც ერთდროულად რამდენიმე) კობზონის გარეშე არ იმართება.

შოუბიზნესიდან ლამაზად წასვლას და დაბრუნებას პრიმადონა, შესაძლოა, შერისა და ტინა ტერნერისგან სწავლობს. შეგვიძლია, გავიხსენოთ, რომ რუსი პრიმა ერთხელ უკვე "წავიდა". ასეთივე ხმაურიანი "დამშვიდობების" შემდეგ პუგაჩოვამ გამოსცა ძვირფასი და მდიდრულად გაფორმებული ანთოლოგია საკუთარი შემოქმედების შესახებ. თაყვანისმცემლები კომპაქტდისკებისა და კასეტების ლამაზი ყუთის შესაძენად მზად იყვნენ, ნებისმიერი თანხა გადაეხადათ. თუმცა, ვითომც არაფერი... ერთი თუ ორი წლის შემდეგ ალა ბორისოვნამ სიმღერაც დაიწყო, სცენაზეც გამოჩნდა და კლიპებშიც გადაიღეს.

ფეხბურთი

# გმადლობთ!

სანდრო ნავერიანი

**საქართველო - დანია 2:2**
2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეოთხე ტური

***საქართველო:*** *დევაძე, ხიზანეიშვილი, კალაძე, ხიზანიშვილი, მჟავანაძე, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ჯიქია (კვირკველია, 72), ასათიანი, იაშვილი (არველაძე, 72), დემეტრაძე.*
***დანია:*** *სორენსენი, პოულსენი, პრისკე, კროლდრუპი, ნ. იენსენი, ლუსტუ, გრავესენი, დ. იენსენი (სკუბო, 88), ტომასონი, იორგენსენი (ლოვენკრანცი, 88), პერესი (რომედალი, 46).*
***მთავარი მსაჯი:*** *დარკო ჩეფერინი (სლოვენია)*
***გოლები:*** *9, ტომასონი (0:1), 34, დემეტრაძე (1:1), 64, ტომასონი (1:2), 76, ასათიანი (2:2)*
***გაფრთხილება:*** *გრავესენი 37, ლუსტუ 51.*

არ ვიცი, რით დავიწყო მოყოლა. მართალი გითხრათ, არასოდეს მიმიღია ასეთი სიამოვნება და სწორედ ამიტომაა, რომ ჯერ კიდევ გონს ვერ მოვსულვარ. არადა, დიდი არაფერი მომხდარა, უბრალოდ, ჩვენ, ქართველებმა დავინახეთ, თუ რა არის მაღალი კლასის ფეხბურთი, უფრო სწორად, დავინახეთ, თუ რა არის ქართველების მიერ შესრულებული მაღალი კლასის ფეხბურთი. მატჩის მსვლელობისას სულ ვფიქრობდი, ოღონდ მოვიგოთ და არაფერი არ მინდა-მეთქი. თამაშის შემდეგ მივხვდი, რომ ჩვენთვის ერთი კონკრეტული შეხვედრის მაღალ დონეზე ჩატარება კი არ არის საჭირო, არამედ ის, რომ ქართველებმა ფეხბურთის თამაში ვისწავლოთ.

თუ თქვენ გუშინ "ლოკომოტივის" სტადიონზე საქართველოსა და დანიის ეროვნული ნაკრებების მატჩს თვალს ადევნებდით, მაშინ გეცოდინებათ, რომ მალხაზ ასათიანს სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივარი ზიდანს ადარებდა, ზურაბ ხიზანიშვილს კი პროფესორს ეძახდნენ. ნურავის ეწყინება, თუ ყველა ფეხბურთელს არ დავასახელებ: მათ იმდენივე გააკეთეს, რამდენიც ასათიანმა და ხიზანიშვილმა.





გოგიტა ბუხაიძის ფოტოები



დარწმუნებული ვარ, ყველა ქომაგმა, რომელიც ამ მატჩს უყურებდა, ირწმუნა საქართველოს ეროვნული ნაკრების ძალა და ყველამ, გულში თუ საჯაროდ, დიდი მადლობა გადაუხადა ასეთი კარგი თამაშისთვის იმ ბიჭებს, რომლებმაც არაფერი დაიშურეს მატჩისა და ღირსების გადასარჩენად.

შეიძლება სიტყვა გამიგრძელდა, შეიძლება ჩემი ნათქვამი ბანალურადაც მოგეჩვენოთ და თქვენთვის ჩაილაპარაკოთ: ერთი ამას შეხედეთ, როგორ წინასწარ დაუზუთხავს ყველაფერიო, მაგრამ თქვენ მართალი არ იქნებით, რადგან საქართველოს ნაკრებმა გუშინ ნამდვილად მაღალი კლასის ფეხბურთი ითამაშა.

ახლა კი იმაზე, თუ რა ითქვა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე. შეიძლება თქვენთვის ყოვლად უინტერესო იყოს ის, რაც მორტენ ოლსენმა და ალან ჟირესმა თქვეს, მაგრამ თავს ვალდებულად ვთვლი, მოგახსენოთ ის ამაღელვებელი სიტყვები, რომელიც საქართველოსა და დანიის ეროვნული ნაკრებების მწვრთნელებმა წარმოთქვეს.

**მორტენ ოლსენი:** ვფიქრობ, ჩვენ ვითამაშეთ ძალიან კარგი, ძლიერი გუნდის წინააღმდეგ. ქართველებს ჰყავთ დისციპლინირებული და ტექნიკური გუნდი, რომელმაც ბრწყინვალე სპექტაკლი დაგვიდგა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში.

**ალან ჟირესი:** ყველა შედეგს უყურებს, მაგრამ, ვფიქრობ, დღევანდელი შედეგი არ უნდა იყოს გულდასაწყვეტი, რადგან ჩვენ ძალიან ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს ვეთამაშეთ. საქართველოს ნაკრები ორჯერ აგებდა და ორჯერვე შეძლო ანგარიშის გათანაბრება. ვფიქრობ, ფეხბურთელებმა თავის ზონაში ყველაფერი კარგად შეასრულეს.

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, თავისი არსებობის მანძილზე, ოფიციალურ შეხვედრებს თუ ვიგულისხმებთ, ორი მატჩი აქვს "ამოღებული" (უკაცრავად არცთუ მთლად საფეხბურთო ტერმინის გამოყენებისთვის) და ორივე შეხვედრა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩებში: პირველი თურქეთთან, როდესაც მალხაზ ასათიანმა თავური დარტყმით ანგარიში 1:1 გახადა და მეორე - დანიასთან, როდესაც ასევე მალხაზ ასათიანმა ბრწყინვალე დარტყმით ანგარიში გაათანაბრა (2:2). ასე რომ, ქართული ფეხბურთის ქომაგებო, მგონი, ბრუნდება ის დრო, რომელსაც ძალიან დიდხანს ველოდით, დრო, რომელიც სტადიონზე მისვლის ხალისს შეგვმატებს, დრო, რომელიც სიამაყის საბაბს მოგვცემს.

**P.S.** პირადად ჩემგან ძალიან დიდი მადლობა ასეთი ლამაზი ფეხბურთისთვის და, რაც მთავარია, ასეთი ლამაზი დღისთვის, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მომავალში ძალიან ბევრს გაახსენდება, როგორც ქართული ფეხბურთის ფეხზე დადგომის დღე.

# ჩილავერტი წავიდა!

სახელოვანი ბომბარდირი მეკარე პარაგვაელი ხოსე ლიუს ჩილავერტი პროფესიულ ფეხბურთს დაემშვიდობა. საბენეფისო მატჩში ჩილავერტმა ტრადიციას არ უღალატა და გოლი გაიტანა.

რით არის ჩილავერტი ესოდენ უნიკალური? ადრეულ ასაკში, ისევე, როგორც სხვა ბავშვებს, მასაც ძალიან მოსწონდა თავდასხმაში თამაში და გოლების გატანა. თუმცა, საფეხბურთო სკოლაში, სადაც ჩილავერტი მივიდა, მწვრთნელმა ვერ დაინახა მასში დიდი ფორვარდი და ის კარში ჩააყენა. ამ გარემოებამ ჩილავერტს მაინცდამაინც გული არ დასწყვიტა. ის რუდუნებით ასრულებმა მეკარის მოვალეობას, მაგრამ ვარჯიშის შემდეგ ყოველთვის რჩებოდა და საჯარიმო დარტყმებს ამუშავებდა. დროთა განმავლობაში ჩილავერტის ეს გატაცება "ავადმყოფობაში" გადაიზარდა და ის ჯარიმების შესრულებაზე დამოკიდებული გახდა. შემდგომში ჩილავერტი უბრალოდ კი არ ამუშავებდა საჯარიმო დარტყმებს, არამედ ამ სათამაშო კომპონენტში "სან-ლორენცოს" კლუბის მწვრთნელს (ეს კლუბი ჩილავერტისთვის რიგით მესამე იყო) ველიბორ მილუტინოვიჩსაც კი ეჯიბრებოდა. თავიდან სახელოვანი სერბი სპეციალისტი ჩილავერტს მუდმივად ჯაბნიდა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა.

რამდენიმე წლის შემდეგ ჩილავერტი იმდენად დაოსტატდა სტანდარტული მდგომარეობის შესრულებაში, რომ "სან-ლორენცოს" მცველები და ნახევარმცველები მხოლოდ გაოცებას გამოხატავდნენ. ჩვეულებრივ, 10 დარტყმიდან რვა შედეგიანი იყო, ხოლო ორს კარის ძელი იგერიებდა. თუმცა, ჩილავერტის ოსტატობა გარკვეულ დრომდე გულშემატკივრისთვის უცნობი იყო. და აი,



*ჩილავერტმა საფეხბურთო კარიერა დაასრულა, მაგრამ ფეხბურთიდან არ მიდის.*

დადგა 1989 წელი, რომელსაც ბევრი ჩილავერტის აღმავლობის ხანად მიიჩნევს. ამ დროისთვის ის უკვე გადაბარგდა ესპანეთის "სარაგოსაში", მაგრამ სტანდარტული მდგომარეობის შესრულების უფლებას მას მაინც არ აძლევდნენ. იმავე წლის აგვისტოში პარაგვაისა და კოლუმბიის გუნდების შეხვედრაში ჩილავერტმა თავისი გოლების ანგარიში გახსნა. მატჩის 90-ე წუთზე, როცა ანგარიში - 1:1 იყო, ის კოლუმბიელთა საჯარიმო მოედანში პენალტის დასარტყმელად ჩავიდა. როგორც გაირკვა, ეს დარტყმა გამარჯვების აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ ჩილავერტმა გოლი გაუტანა თავის კერპს რენე იგუიტას, რომელიც ბომბარდირული თვისებებით ასევე გამოირჩეოდა.

თუმცა, ამ ამბის შემდეგაც "სარაგოსას" მწვრთნელები ჩილავერტს მეტოქის საჯარიმოსთან მიახლოებას უშლიდნენ. ესპანეთში სამწლიანი ეპოპეის შემდეგ ჩილავერტი გადავიდა არგენტინაში, სადაც გამოავლინა კიდეც თავისი ბომბარდირული თვისებები. თუ თავის პირველ სეზონში "ველეჟ სარსფილდის" შემადგენლობაში ჩილავერტს სეზონში ერთი გოლი გაჰქონდა, მომდევნო წლებში შესამჩნევად მოუმატა. ჩილავერტი, როგორც გოლეადორი, 1990-იანი წლების მეორე ნახევარში აღმოაჩინეს. პარაგვაელმა მეკარემ 30-ზე მეტჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი.

მას გაჰქონდა პენალტების ნიშნულიდან, საჯარიმო დარტყმებით, ერთხელ კი ისეთი გოლი "შექმნა", რომელიც ბევრს არც დაესიზმრება. არგენტინის ჩემპიონატში მორიგი ტური მიმდინარეობდა, რომელშიც "რივერ პლეიტი" და "ველეჟ სარსფილდი" ხვდებოდნენ ერთმანეთს. ამინდი მთლად საფეხბურთო არ იყო. წვიმდა, ფეხბურთელებს ფეხი უცდებოდათ და ბურთს ჩაუქროლებდნენ ხოლმე. ერთ-ერთ ეპიზოდში მსაჯმა "რივერის" წინააღმდეგ ჯარიმა დანიშნა. კარამდე 60-მდე მეტრი იქნებოდა. ბურთთან ჩილავერტმა მიირბინა. ყველას ეგონა, რომ ის გადააწვდიდა პარტნიორს, მაგრამ ჩილავერტი სხვაგვარად მოიქცა. მან ბურთი "რივერის" კარს დაუმიზნა და გუნდის მაშინდელი მეკარე ბურგოსი სახტად დატოვა. გამოცდილი არგენტინელი შეეცადა, თავისი გუნდი გადაერჩინა, მაგრამ თავსხმა წვიმაში ფეხი დაუცდა და მინდორზე გაადინა ბრაგვანი. ბურთმა კი მშვიდად გადალახა კარის ხაზი. ფანტასტიკური გოლი! ეს გოლი სპეციალისტებმა ულამაზესად მიიჩნიეს, ხოლო ჩილავერტმა კომპლიმენტები მიიღო.

თუმცა, ასეთი ლამაზი გოლები ჩილავერტის კარიერაში მრავლად იყო. ყველაზე უფრო კი ჩილავერტი დიდ სამუშაოს ასრულებდა - იგერიებდა მეტოქის დარტყმებს და გოლები პენალტიდან გაჰქონდა. სხვათა შორის, მას პენალტების შესრულების საკუთარი ტექნიკა ჰქონდა. ფეხბურთელი ბურთს ნიშნულთან დებდა და ისე, რომ მას არ შორდებოდა, ცაციათი უძლიერესი დარტყმით ათავსებდა კარში. ჩილავერტი თითქმის ყოველთვის კუთხეში ურტყამდა, ამიტომ მისი ბურთები აუღებელთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა. ერთხელ პარაგვაელს სეირი მიუვიდა. არაფრისმთქმელ მატჩში (იმ დროისთვის "ველეჟმა" უკვე გაიფორმა ჩემპიონის ტიტული) ჩილავერტმა თავის ტექნიკას უღალატა და პენალტის შესრულებისას ბურთიდან კარგა შორს დაიხია. შემდეგ გამოექანა და ბურთს როგორღაც მოუხერხებლად გაჰკრა ფეხი. მეტოქის მეკარემ დიდი ძალისხმევის გარეშე მოიგერია ბურთი. ამის შემდეგ ჩილავერტი ასე აღარასოდეს მოქცეულა.

რაც შეეხება პარაგვაელის ჯილდოებს, ის ჩილავერტს, მართლაც, ბევრი აქვს. "ველეჟ სარსფილდის" შემადგენლობაში მან სამჯერ მოიგო არგენტინის ჩემპიონატი. მოგებული აქვს ლიბერტადორესისა და საკონტინენტთაშორისო თასი 1994 წელს, სადაც "მილანი" დაამარცხა.

ამას გარდა, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც პარაგვაის ნაკრები სენსაციურად გავიდა ჯგუფიდან და მერვედფინალში მხოლოდ პენალტების სერიაში დამარცხდა მომავალ ჩემპიონ საფრანგეთის ნაკრებთან, ჩილავერტი ტურნირის საუკეთესო მეკარედ აღიარეს. ამის შემდეგ დიდი მეკარის კარიერა თანდათან დასასრულისკენ დაეშვა. მან კიდევ ორი წელი დაყო საფრანგეთის "სტრასბურგის" შემადგენლობაში, შემდეგ კი სახლთან ახლოს, "სერო პორტენოში" გადაბარგდა.

და აი, მისი საბენეფისო მატჩიც შედგა. სიმბოლურია, რომ ჩილავერტის კლუბმა, ისევე როგორც პარაგვაიმ 15 წლის წინათ, 2:1 მოიგო. ერთ-ერთი გოლი თავად ხოსე ლუის ჩილავერტმა გაიტანა. მან ფეხბურთელის კარიერა დაასრულა, მაგრამ ფეხბურთი არ დაუტოვებია. ის, ალბათ, ერთ-ერთ ადგილობრივ კლუბში მწვრთნელად დაიწყებს მუშაობას. ჩილავერტმა ხომ კარგად იცის, რა უნდა ასწავლოს ახალგაზრდა პარაგვაელ მეკარეებს.

რაგბი

# სამზადისი ქართულად

## ბორჯღალოსნები ყოველდღე სხვადასხვა სტადიონზე ვარჯიშობენ

პაატა თოთაძე

რუსეთთან მომავალი მატჩისთვის მზადების მეორე დღეს საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა "ლოკომოტივის" სათადარიგო მოედნიდან ეროვნულზე გადაინაცვლა და გუშინ იქ ივარჯიშა. ეროვნულზე ვარჯიშის საკითხი გუშინწინ ღამით გადაწყდა, თორემ მოუწევდათ ვარკეთილის მეურნეობის მოედანზე სირბილი... დღეს სად ივარჯიშებენ, ჯერჯერობით გაურკვეველია. ვარიანტი ორია: "ოლიმპის" მოედანი ჯიქიას ქუჩაზე და "ლოკომოტივის" სათადარიგო. ნაკრების თავკაცობისთვის უფრო მისაღებია პირველი. ისევე როგორც წინა წლებში, სტადიონის პრობლემა კვლავაც ყველაზე აქტუალურია. ნაკრებს ასე მნიშვნელოვან მატჩამდე მხოლოდ სამი ვარჯიშის ჩატარება უწევს და ისიც პრობლემებთანაა დაკავშირებული. ასე რომ, სანამ მორაგბეებს საკუთარი სტადიონი არ ექნებათ, საქმეს არ ეშველება. ეს კი იმხელა თემაა, ჯობს, საუბარი აქ შევწყვიტოთ.

პირველი ვარჯიშისგან განსხვავებით, გუშინ ნაკრებს ორი მორაგბე დაემატა - მამუკა გორგოძე და ზვიად მაისურაძე. მათ პირველ დღეს გარკვეულ მიზეზთა გამო ვარჯიში გამოტოვეს. თუმცა სრული შემადგენლობით გუნდმა ვერც გუშინ ივარჯიშა. საფრანგეთიდან გუშინწინ ღამით ჩამოსულ ზურაბ მჭედლიშვილს ჩანთა დაეკარგა და გუშინდელი დღე მის ძებნას მოანდომა.

როგორც ხდება ხოლმე, მოთელვის შემდეგ მწვრთნელებმა გუნდი ორად გაყვეს. მორკინალები მალხაზ ჭეიშვილმა ჩაიბარა, ხაზი - დავით ჩავლეიშვილმა. მორკინალებმა ცოტა ფიზიკურად, შემდეგ კი აუტებზე ივარჯიშეს. ამ კომპონენტში გარკვეული პრობლემები გვექმნება და რუსეთთან მატჩამდე, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა აღმოიფხვრას, რადგან წაგებული აუტები მეტოქისთვის უპირატესობის მიცემას ნიშნავს. ამან დაახლოებით ერთ საათს გასტანა. ამდენივე დრო დაეთმო უკანახაზელების ვარჯიშს. ჯერ ბურთით ივარჯიშეს, შემდეგ რაღაც კომბინაციები დაამუშავეს. ბოლო ნახევარ საათში კი გუნდი შეიკრა და რამდენიმე მარტივი სათამაშო კომბინაცია დაამუშავა.

"ბუნებრივია, ასეთ მცირე დროში ბევრს ვერაფერს მოვასწრებთ. მარტივ კომბინაციებს ვამუშავებთ. ამით უნდა გავიდეთ ფონს", - ჩვენთან საუბარში განაცხადა დავით ჩავლეიშვილმა. ამ მატჩისთვის ნაკრებში რამდენიმე ახალი სახე გამოჩნდა. ერთა თასზე პირველად ითამაშებს დავით ზირაქაშვილი. შეიძლება ითქვას, ასევე ახალი სახეა მამუკა მაგრაქველიძეც. მართალია,



გოგიტა ბახაიძის ფოტო

"ბორჯღალოსნებს" ვარჯიშში ხელს უშლიან და სტადიონიდან აგდებენ.

მას ადრე უთამაშია ნაკრებში, მაგრამ მას შემდეგ იმდენი დრო გავიდა, ბევრს, შესაძლოა, აღარც კი ახსოვდეს.

"ბუნებრივია, მიხარია, რომ ნაკრებში მიმიწვიეს. თანაც, რუსეთის წინააღმდეგ არასდროს მითამაშია. საფრანგეთში მცირე ტრავმა მივიღე, მაგრამ მაინც ჩამოვედი. ნაკრები ჩემთვის უმნიშვნელოვანესია", - განაცხადა მამუკა მაგრაქველიძემ. ის ერთ-ერთი იმათგანია იმ თითზე ჩამოსათვლელ ქართველთაგან, რომლებიც საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში თამაშობენ, თანაც, მუდმივად "მონპელიეს" ძირითად შემადგენლობაში ხვდება. მეორე ასეთი ქართველი გოდერძი შველიძეა - ის "მონფერანის" ღირსებას იცავს (ამ გუნდში წლების განმავლობაში ლევან ცაბაძე თამაშობდა).

"ბუნებრივია, სასიამოვნოა, როცა ტურნირს მოგებით იწყებ. აქამდე პირველ მატჩს მუდამ პორტუგალიას ვეთამაშებოდით, ახლა კი რუსეთს ვხვდებით. თუმცა, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ვინც არ უნდა იყოს, უნდა დავამარცხოთ", - თქვა ირაკლი აბუსერიძემ. ამავე აზრის არიან ნაკრების დანარჩენი წევრებიც და წინა მატჩებს იხსენებენ. მერამდენე წელიწადია, რუსები ჩვენი დამარცხებით იქადნებიან, მაგრამ არაფერი გამოსდით. ჰოდა, არც ახლა უნდა გამოუვიდეთ.

ფეხბურთი

# რობერტო კარლოსი "ორიანზე" დებს ფსონს

## "ვფიქრობ, რომ "ბარსელონას" ჩვენი ეშინია"

*სამი დღე და, 21 ნოემბერიც დადგება. ამ დღეს ბარსელონაში მორიგი "სუპერ-კლასიკო" გაიმართება. ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერი "ბარსელონა" მეორე ადგილზე მყოფ "რეალს" უმასპინძლებს. მათ შორის სხვაობა ოთხი ქულაა და, მრავალწლიანი ტრადიციების გარდა, მომავალ მატჩს ორივე გუნდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სატურნირო მდგომარეობის მხრივ. მადრიდელთა ბრაზილიელი მცველი რობერტო კარლოსი დარწმუნებულია, რომ "რეალი" ამ შეხვედრას მოიგებს და "ბარსელონასთან" ჩამორჩენას ერთ ქულამდე შეამცირებს.*

**- მიმდინარე სეზონში თუ გქონიათ მომენტი, როდესაც "ბარსელონას" წარმატებული თამაშის გამო აღელვებულხართ?**

- უკვე მრავალი წელია ესპანეთში ვცხოვრობ და ეს ყველაფერი ძალიან კარგად ვიცი. წინ უაღრესად ხანგრძლივი გზა გველის. ჩვენ არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ არც მათ გამარჯვებებს და არც დამარცხებებს... მხოლოდ ის გვინდა, რომ ჩვენში ბრძოლისუნარიანი გუნდი დაინახონ, გუნდი, რომელიც ყოველთვის მოგებაზე ფიქრობს. ვცდილობთ, გულშემატკივარი სანახაობრივი ფეხბურთით გავახაროთ, კვლავ დავადგეთ გამარჯვებების გზას და ისევ დავიწყოთ ტიტულების მოგება. შარშანდელ სეზონში ხომ ვერაფერი მოვიგეთ.

**- "ბარსელონასთან" ქულების სხვაობა ოთხ ქულამდე შეამცირეთ. ეს გარემოება მომავალი მატჩის წინ მოტივაციას გმატებთ?**

- ვფიქრობ, როდესაც ისინი ხედავენ, რომ ჩვენ უკვე მეორე ადგილზე ვართ და მათ მხოლოდ ოთხი ქულით ჩამოვრჩებით, ცოტათი ეშინიათ კიდეც. მიმაჩნია, რომ წინასამატჩო სიტუაცია ამჟამად ჩვენს მხარესაა: "ბარსელონა" საკუთარ მოედანზე თამაშობს. ისინი იძულებული არიან, მოიგონ, რათა განსხვავების ერთ ქულამდე შემცირების საშუალება არ მოგვცენ. ამით უნდა ვისარგებლოთ, რადგან ჩვენ საშუალება გვაქვს, მოედანზე მათზე ბევრად უფრო დამშვიდებულები გავიდეთ.

**- უკანასკნელ წლებში მადრიდის "რეალი" საკმაოდ კარგ შედეგებს აღწევდა "ნოუ კამპზე". თქვენ მრავალწლიანი მოუგებელი სერიაც შეწყვიტეთ...**



*რობერტო კარლოსი: მადრიდის "რეალი" და "ბარსელონა" ისტორიული მეტოქეები არიან.*

- მართალია. ესპანეთის ჩემპიონატისა და ჩემპიონთა ლიგის ფარგლებში ბარსელონაში ჩვენ ფანტასტიკური გამარჯვებები ვიზეიმეთ და ამ სტადიონს ამჯერადაც დიდი თავდაჯერებულობით ვესტუმრებით. გვინდა, რომ მოვიგოთ, რათა სამი ქულა ავიღოთ და "ბარსელონას" ფსიქოლოგიურ განწყობას სერიოზული დარტყმა მივაყენოთ.

**- შენ ბევრჯერ მიგიღია მონაწილეობა "კლასიკოში". როგორია ეს მატჩები?**

- ეს არის საუკეთესო მატჩი, რომელშიც კი ოდესმე შეიძლება მიიღო მონაწილეობა. ესაა განუმეორებელი ატმოსფერო, რომელიც ამ მატჩს მთელი კვირის განმავლობაში თან სდევს. სტადიონზე არსებული ატმოსფერო, ეს დაძაბულობა... არის უამრავი რამ, რომლებიც ერთად გროვდება და განსაკუთრებულ მოტივაციას გმატებს. მადრიდის "რეალი" და "ბარსელონა" ისტორიული მეტოქეები არიან.

**- "ნოუ კამპზე" გამართული მატჩებიდან რომელმა მოგანიჭა ყველაზე დიდი სიამოვნება?**

- არჩევანს შარშანდელ შემპიონატში მოპოვებულ გამარჯვებაზე შევაჩერებდი. ჩვენ 2:1 მოვიგეთ. გოლები რონალდომ და მე გავიტანეთ. ეს ტრიუმფი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო "რეალისთვის", რადგან მან 20-წლიანი მოუგებელი სერია შეაჩერა. ასევე ვერ დავივიწყებ 2002 წელს ჩემპიონთა ლიგაში გამართულ ჩვენს მატჩს. დიახ, უკანასკნელ წლებში "ბარსელონას" წინააღმდეგ მის მოედანზე საკმაოდ წარმატებით ვთამაშობთ.

**- თავის მხრივ, ამ რეზულტატებმა მათში თქვენ მიმართ დიდი პატივისცემა უნდა გამოიწვიოს, არა?**

- ჩვენ ვიცით, თუ როგორ უნდა ვითამაშოთ ასეთ მატჩებში და როგორ შევუქმნათ მათ პრობლემები. მათ კარგად იციან, რომ ჩვენ ძლიერი გუნდი ვართ, რომ ჩვენს შემადგენლობაში ძლიერი ფეხბურთელები თამაშობენ, რომელთაც მათთვის დიდი ზიანის მიყენება შეუძლიათ. ეს ყველაფერი იმის წინაპირობას ქმნის, რომ ჩვენთან მატჩის წინ მათ გვარიანად ინერვიულონ. პირადად ჩემს შესახებ გეტყვით, რომ ამ მატჩების წინ ყოველთვის განსაკუთრებული განწყობა მაქვს და ვცდილობ, მათ დიდი პრობლემები შევუქმნა როგორც დაცვაში, ისე შეტევაში.

**- ვის უნდა მიაქციოთ ყველაზე დიდი ყურადღება ფრანკ რაიკარდის გუნდში?**

- ჩემი აზრით, ასეთები არიან დეკო, რონალდინიო, ხავი და ეტო'ო. ეს ბირთვი ამ საოცრად კარგი გუნდის ხერხემალია.

**- ვისზე დადებდი ფსონს ტოტალიზატორში?**

- სტუმრების გამარჯვებაზე. ჩვენ მოვიგებთ, რადგან კარგათ ვიცით ჩვენი ვალდებულებების შესახებ და გვსურს, რაც შეიძლება, მალე დავეწიოთ "ბარსელონას".

# "მოდი, ერთად გავაძევოთ რასიზმი ფეხბურთიდან"

ნინო ტიკარაძე

ინგლის-ესპანეთის გუშინდელ ამხანაგურ მატჩს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა როგორც ერთი, ისე მეორე მხარე. მას პრესტიჟის მატჩის სახელითაც მოიხსენიებდნენ. წინა დღეს დაძაბულობა იგრძნობოდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ესპანეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ლუის არაგონესის შეურაცხმყოფელი სიტყვები იყო "არსენალის" თავდამსხმელის ტიერი ანრის მიმართ. მართალია, ეს ამბავი ერთი თვის წინათ მოხდა, მაგრამ არაგონესს მატჩის წინა დღესაც ისევე მოუხდა თავის მართლება, როგორც მაშინ. რასიზმში დადანაშაულებულმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ ფეხბურთელის შეურაცხოფა არ უნდოდა, უბრალოდ, მისი ნათქვამი არასწორად გაიგეს. "ჩემი სინდისი სუფთაა," - აღნიშნა არაგონესმა მატჩის წინა დღეს.

სამშაბათს მადრიდის სტადიონზე ვარჯიშის დროს ინგლისელი ფეხბურთელების თეთრ-ყვითელ-მწვანე მაისურებს ასეთი სლოგანი ამშვენებდა: "მოდი, ერთად გავაძევოთ რასიზმი ფეხბურთიდან".

"ამ კამპანიის მიზანია რასიზმის ნებისმიერი გამოვლინებაც კი, როგორც ეს ლუის არაგონესის შემთხვევაში მოხდა, სამუდამოდ აღმოიფხვრას მსოფლიო ფეხბურთის სამყაროდან," - განაცხადა ბრიტანეთის ანტირასისტული ჯგუფის წარმომადგენელმა ლეონ მანმა.

ინგლისელი ფეხბურთელების ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სვენ-გორან ერიქსონმა. "ზუსტად არ ვიცი, ეს ვისი იდეა იყო - ჩემი ბიჭების თუ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის, მაგრამ მე ის ძალიან მომეწონა. ახლა ძნელია იმის თქმა, რაზე ფიქრობდა ლუის არაგონესი, როცა ტიერი ანრის შეურაცხყოფას აყენებდა, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით ვიცი: მე რასიზმის სასტიკი წინააღმდეგი ვარ", - განაცხადა მან პრესკონფერენციაზე. ჟურნალისტის შეკითხვას, დარჩებოდა თუ არა ის თანამდებობაზე იმ შემთხვევაში, თუ, არაგონესის მსგავსად, რასისტულ გამონათქვამს გამოიყენებდა რომელიმე ესპანელი ფეხბურთელის მიმართ, სვენ გორან ერიქსონმა უპასუხა: "დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ მე ასეთ რამეს არასოდეს ვიტყვი." რაც შეეხება თავად ლუის არაგონესს, მას ინგლისელთა ეს ინიციატივა არ მოეწონა. თავდასაცავად კი ბრიტანეთის არცთუ შორეული წარსული მოიშველია: "შავკანიანებს ადრეც ავიწროებდნენ და ახლაც ავიწროებენ ბრიტანეთის კოლონიებში." თუმცა, ფეხბურთის სამყაროში ესპანელები ამ მხრივ უფრო აქტიურობენ, ვიდრე ინგლისელები. მაგალითად, სამშაბათს, ესპანეთში ინგლის-ესპანეთის ახალგაზრდული გუნდების შეხვედრის დროს ინგლისელი შავკანიანი ფეხბურთელების - კარლტონ კოულის, გლენ ჯონსონისა და დარენ ბენტის მისამართით შეურაცხმყოფელი ფრაზები ისმოდა. ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პიტერ ტაილერის განცხადებით, ასეთი ფრაზების გაგონებამ მას "იმედი გაუცრუა". ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ კი წერილობითი თხოვნა გაუგზავნა უეფას, რათა მან სათანადო ზომები მიიღოს ესპანელი გულშემატკივრების მიმართ. თუ ესპანეთის ფეხბურთის ასოციაციას დაადანაშაულებენ იმაში, რომ ის გულშემატკივრებს სათანადოდ ვერ აკონტროლებს, მაშინ ასოციაციას ან ჯარიმის გადახდა მოუწევს, ან რამდენიმე მატჩს ცარიელი ტრიბუნების წინ ჩაატარებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება სთხოვეს ლუის არაგონესს, რომელიც ძალიან გაალიზიანა ჟურნალისტების მორიგმა თავდასხმამ და მათ გაბრაზებული სახით განუცხადა, რომ ამ საკითხის განხილვასა და რასიზმში ესპანელთა დადანაშაულებას ბოლო უნდა მოეღოს.

ტიერი ანრის შეუარცხყოფის მიუხედავად, თავად არაგონესი არც ესპანეთის ფეხბურთის ასოციაციამ დასაჯა და არც ფიფამ. თუმცა, ინგლისელების დაშოშმინება არც ისე ადვილია, მით უმეტეს, რომ ესპანელები ძველებურად აგრძელებენ ინგლისელი თუ ინგლისურ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელების შეურაცხყოფას.

არაგონესის განცხადება, რომ მან საჯაროდ უკვე მოუბოდიშა ტიერი ანრის, ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ კიდევ ერთხელ ეჭვქვეშ დააყენა.



*ლუის არაგონესი ესპანელ ფეხბურთელებს ცუდ მაგალითს აძლევს.*

"თუ მან შეურაცხყოფილ ფეხბურთელს ბოდიში მოუხადა, ეს ჩვენთვის ახალი ამბავია, თუმცა, ასე რომ მომხდარიყო, ეს ფაქტი მხედველობიდან არ გამოგვრჩებოდა. რაც შეეხება მის განცხადებას ინგლისის კოლონიებისა და კოლონისტების მიმართ, ამით ის, უბრალოდ, საკუთარი დანაშაულის დაფარვასა და ჩვენს დადანაშაულებას შეეცადა. ჩვენ მოვითხოვთ, რომ არაგონესმა მარტო ტიერი ანრის კი არა, არამედ მთელ "არსენალსა" და ჩვენც მოგვიხადოს ბოდიში."

არადა, როგორც ჩანს, არც არაგონესისა და არც ესპანელი გულშემატკივრების ქედის მოხრა მაინცდამაინც ადვილი არ იქნება, თუმცა, ფაქტი ერთია: რასიზმი ფეხბურთის სამყაროდან სამუდამოდ უნდა აღმოიფხვრას.

TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 18 ნოემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV - NBA შიგნიდან
06:30 NBA TV. სეზონი 1986-1987. "MILWAUKEE BUCKS" - "BOSTON CELTICS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. არგენტინა - ვენესუელა
14:00 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ეკვადორი - ბრაზილია
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. თურქეთი - უკრაინა
17:45 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ბელგია - სერბეთი და მონტენეგრო
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 საუიკენდო მატჩების ანონსი
19:55 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. არგენტინა - ვენესუელა
21:40 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ეკვადორი - ბრაზილია. შესვენებისას (22:30) - თავისუფალი დარტყმა
23:40 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
00:10 "FUTBOL MUNDIAL"
00:40 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:40 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:35 02:35-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. "CHARLOTTE BOBCATS" - "CLEVELAND CAVALIERS". პირდაპირი ტრანსლაცია
05:30 NBA TV - დღიური

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25, 14:30 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 "სპორტისიმო"
11:30 სპორტული ტანვარჯიში. არტურ განდერის მემორიალი შვეიცარიაში. შესვენებისას (13:00) - პრესცენტრი
14:45 "ჰოკეი-პლუს"
15:00 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი "CUP OF CHINA". შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
17:00 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
17:30 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "ORLANDO MAGIC" - "UTAH JAZZ". შესვენებისას (18:45) - პრესცენტრი
20:15 "მოტოვებული კვირა"
21:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 "ჰოკეი-პლუს"
22:10 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
22:40 ჭადრაკი. რუსეთის ჩემპიონატი. სუპერფინალი
23:25 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი "CUP OF CHINA". შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
01:40 ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
02:10 "ჰოკეი-პლუს"

**EUROSPORT**

06:00 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია
10:30 ციგები. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
11:00 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში
12:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი. თურქეთი - უკრაინა
13:00 ფეხბურთი. 19 წლამდე გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატი ტაილანდში. პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი
16:30 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში
18:45 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი. საბერძნეთი - ყაზახეთი
19:15 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი. საფრანგეთი - პოლონეთი
21:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი. თურქეთი - უკრაინა
22:00 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:45 ახალი ამბები
02:00 ბრძოლა წესების გარეშე
03:30 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში
04:00 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია

# ფართო ფრონტით კიბოს წინააღმდეგ

### მაგნეტიზმი კიბოს სამკურნალოდ

რკინის მცირე ნაწილაკებს ექიმებისთვის პაციენტთა კიბოსგან განკურნების საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ. თუ ამ ნაწილაკებს წამლის გადამტან კონტეინერებად გამოვიყენებთ, მაგნიტური ველის მეშვეობით, მათი დაავადებულ ადგილამდე მიტანა იქნება შესაძლებელი, რის შედეგადაც, მკურნალობის კურსი უფრო ეფექტური გახდება და წამალი ალარ დააზიანებს სხეულის დაუავადებელ ნაწილებს.

"ჩვენ ვმუშაობთ ახალი მეთოდის შემუშავებაზე, რომლის საშუალებითაც, შესაძლებელი გახდება ადამიანის ორგანიზმში წამლის დანიშნულების ადგილამდე მიტანა ისე, რომ მან არ იმოქმედოს სხეულის ჯანმრთელ ნაწილებზე. მეთოდს პირობითად წამლის ტრეფიკინგი შეიძლება ვუწოდოთ", - ამბობს ედინბურგის უნივერსიტეტის ქიმიკოსი ენდრიუ ჰარისონი.

თანამედროვე ქიმიოთერაპიაში გამოყენებული წამლები ანადგურებენ სწრაფად მზარდ უჯრედებს, როგორებიცაა კიბოსა და თმის უჯრედები. სამაგიეროდ, მათ ძლიერი გვერდითი მოვლენები სდევთ თან - ტოქსიკური წამალი მთელ სხეულში მოძრაობს და დაავადებულ უჯრედებთან ერთად, ჯანმრთელ უჯრედებსაც დიდი რაოდენობით ანადგურებს. სწორედ ამიტომ, მკურნალობის პროცესში პაციენტს გამოზომილი დოზის წამალს უკეთებენ.

ბოლო რამდენიმე წელია, მეცნიერები ინტენსიურად ეძებენ ახალ მეთოდებს, რომელთა მეშვეობითაც, შესაძლებელი იქნება წამლის მხოლოდ დანიშნულების ადგილამდე მიტანა ისე, რომ ის სხეულის სხვა, დაუავადებელ ნაწილში არ მოხვდეს. ერთ-ერთი ასეთი მეთოდია ანტისხეულების გამოყენება. ანტისხეულები, იგივე იმუნური პროტეინები, ებმიან სამიზნეს და მასზე წამლის ექსტრაქტს ტოვებენ. ეს მეთოდი საკმაოდ ეფექტური კია, მაგრამ ყველა შემთხვევაში არ ამართლებს.

ჰარისონმა და მისმა კოლეგებმა სხვა გზა - მაგნეტიზმი აირჩიეს. წინასწარ მომზადებული ხსნარი, რომელშიც წამლის მოლეკულები რკინის ნაწილაკებზეა მიბმული, ინექციის გზით შეჰყავთ პაციენტის სხეულში და მაგნიტური ველის მოშველიებით, სიმსივნური უჯრედებისკენ მიმართავენ. ნაწილაკი-კონტეინერები ამგვარად დანიშნულების ადგილამდე მიიტანენ წამალს და იქ მაღალი კონცენტრაციით ტოვებენ.

ამ მეთოდის შემუშავებისკენ ჰარისონს და მის თანამოაზრეებს ბაქტერიამ უბიძგა - გასული საუკუნის 70-იან წლებში აღმოჩენილ იქნა ეგრეთ წოდებული მაგნიტოტაქტიკური ბაქტერიები, რომლებიც გამოიმუშავებენ პროტეინებში "გახვეულ" მაგნიტურ ნაწილაკებს, რომლებიც თეორიულად, შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ორგანული წამლების გადამტანები.

სამწუხაროდ, ამგვარი ბაქტერიის მომრავლება და შენახვა ძალიან ძნელია და თანაც, ისინი მეტად მცირე რაოდენობით მაგნიტურ ნაწილაკებს გამოიმუშავებენ. სამაგიეროდ, მათ მეცნიერებს კიბოს მკურნალობის საკმაოდ ეფექტური გზა დაანახეს. ერთ-ერთი ასეთი მეცნიერია ჰარისონიც.

მკვლევარებმა დაადგინეს გენები, რომლებიც მათი აზრით, მაგნიტური ნაწილაკების წარმოებაზე არიან სპეციალიზირებულნი. გენური მოდიფიკაციის მოშველიებით, მიკრობს ნაწილაკების გამომუშავების უნარი უძლიერდება. თუმცა, ეს უფრო შორეული პერსპექტივის საქმეა და ამიტომაც, ჰარისონმა და მისმა თანამოაზრეებმა სხვა გზა, რკინის ნაწილაკების გამოყენება არჩიეს. უფრო სწორად, ისინი ბაქტერიის დაუხმარებლად ცდილობენ რკინისა და რკინის ჟანგის ნაწილაკების ხელოვნურად მიღებას. ეს მეთოდი იმითაცაა ხელსაყრელი, რომ მისი მეშვეობით შესაძლებელი იქნება საჭირო ზომის და აგებულების მქონე ნაწილაკ-ტრანსპორტიორების დიდი რაოდენობით შექმნა.

"მიკრობებმა ჩვენ გზა დაგვანახეს, მაგრამ ისინი ხელოვნურად შექმნილ ნაწილაკებს ვეღარ გაუწევენ კონკურენციას. ჩვენი მეთოდი დიდ იმედებს იძლევა და იმედია, მას მალე დავნერგავთ მედიცინაში", - ამბობს ჰარისონი.

### გრიპის ვირუსი მელანომას ამარცხებს

სენსაციური აღმოჩენა გააკეთეს ავსტრალიელმა მკვლევარებმა - ნიუკასლის უნივერსიტეტის მეცნიერები ირწმუნებიან, რომ კანის კიბოს, ანუ მელანომას ზრდა-განვითარების შეჩერება შეუძლია ჩვეულებრივი გრიპის ვირუსს. უფრო კონკრეტულად კი, პროფესორმა დარენ შაფრენმა და მისმა კოლეგებმა დაადგინეს, რომ გრიპის ვირუსით ინფიცირებისას იღუპებიან მელანომას ავთვისებიანი სიმსივნის უჯრედები.

"ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არის მეტად საჭირო აღმოჩენა. უფრო მეტიც, ამ მეთოდით მალე ადვილად შევძლებთ მელანომას და, ალბათ, კიბოს სხვა სახეობათა მკურნალობას", - ამბობს შაფრენი, რომლის ნაშრომიც წლის დასაწყისში გამოქვეყნდა სპეციალიზებულ ჟურნალში "კიბოს კლინიკური გამოკვლევა".

შაფრენმა და მისმა კოლეგებმა თავიანთი მეთოდი, პირველ რიგში, ცხოველებზე გამოსცადეს და შესანიშნავი შედეგიც მიიღეს, რის შემდეგაც დაიწყეს მზადება ექსპერიმენტის ადამიანებზე ჩასატარებლად. და თუ ამჯერადაც დადებით შედეგებს მიიღებენ, ახლო მომავალში ადამიანები კანის კიბოს სამკურნალო უებარ საშუალებას მიიღებენ.

თუ შაფრენსა და მის კოლეგებს დავუჯერებთ, მათი მეთოდით შეიძლება იმ პაციენტების მკურნალობაც, რომლებსაც დაავადება შორს წასულ ფორმებში აქვთ განვითარებული.

მეთოდი შემდგომში მდგომარეობს: გრიპის ვირუსი ინექციის სახით შეჰყავთ მელანომაში, რის შემდეგაც ვირუსის უჯრედები სწრაფ გამრავლებას იწყებენ, კიბოს უჯრედებს ედებიან და ანადგურებენ მათ. შედეგად, სიმსივნე ზომებში კლებულობს და მალე სრულიად ქრება კიდეც.

გამრავლების პროცესში, ვირუსის ერთი უჯრედი კიბოს რამდენიმე უჯრედს ანადგურებს - ერთის მოსპობის შემდეგ მეორეზე გადადის, რითაც კიბოს უჯრედებს გამრავლების საშუალებასაც უსპობს.

მელანომა, ანუ კანის კიბო, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ავთვისებიანი სიმსივნეა, რომელიც ყოველწლიურად ათობით ათას ადამიანს უსწრაფავს სიცოცხლეს. ყველაზე დიდ პრობლემას კი ავსტრალიაში წარმოადგენს, სადაც მის პოტენციურ მსხვერპლად თითქმის ყოველი მეორე ადამიანია მიჩნეული.






### E ვიტამინი კიბოს ებრძვის

როტერდამის ერასმუსის სამედიცინო ცენტრში, დოქტორ ჟაკლინ ლიმპენსის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს კვლევა, რომელიც იძიებს ვიტამინ E-ს და სინთეტური ლიკოპენის ზემოქმედებას პროსტატის კიბოზე. თაგვებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ამ ორი ნივთიერებით ერთობლივი ზემოქმედებისას, ფერხდებოდა თაგვის სხეულში გადანერგილი ადამიანის პროსტატის კიბოს ზრდა-განვითარება.

ცნობისათვის, ლიკოპენი ის ნივთიერებაა, რომელსაც დიდი ოდენობით შეიცავს პომიდორი. სწორედ ლიკოპენი ანიჭებს ამ ბოსტნეულს წითელ ფერს. როგორც აღმოჩნდა, მას პროსტატის კიბოთი დაავადების რისკის შემცირება შეუძლია.

თავიდან დოქტორი ლიმპენსი ექსპერიმენტებს მხოლოდ ლიკოპენით ატარებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მას E ვიტამინი დაუმატა, დადებითი შედეგი თვალში საცემი გახდა. რაც ყველაზე საინტერესოა, ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ მკურნალობა მაშინ უფრო ეფექტურია, როცა ის ლიკოპენისა და E ვიტამინის დაბალი დოზებით მიმდინარეობს.

"საოცარია, მაგრამ ექსპერიმენტების დროს უკეთეს ეფექტს მაშინ ვღებულობდით, როცა თაგვის სამკურნალოდ ლიკოპენისა და E ვიტამინის დაბალ დოზას ვიყენებდით. ჩვენ დავრწმუნდით, რომ დიდი დოზა ყოველთვის როდია უკეთესი", - ამბობს ლიმპენსი.

ამ ორი ნივთიერების გამოყენებით, კიბოს უჯრედების ზრდა 73 პროცენტით შემცირდა. ექსპერიმენტი კი სულ 42 დღე გრძელდებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ თაგვის 42 დღე ადამიანის რამდენიმე წლის ტოლფასია, მაშინ შედეგიც უფრო მრავლისმეტყველად გამოჩნდება. სწორედ ამიტომ, მეცნიერებმა უკვე დაიწყეს თავიანთი მეთოდის ადამიანებზე გამოცდა.

მთელ მსოფლიოში, ყოველწლიურად პროსტატის კიბო დაახლოებით 200 ათას ადამიანს კლავს. იგი უფრო ხშირად განვითარებადი ქვეყნის მოქალაქეებს ემართებათ, რომელთა საშუალო ასაკი 60 წელზე მეტია. უფრო მეტიც, ბევრ ქვეყანაში კიბოს ეს სახეობა სულ უფრო ხშირდება. თუმცა, მეცნიერები თვლიან, რომ ამ ზრდას მეტწილად ის გარემოება განაპირობებს, რომ სულ უფრო უმჯობესდება მისი გამოვლენის მეთოდები. ჩვეულებრივ, პროსტატის კიბოს სამკურნალოდ გამოიყენება ოპერაცია და ქიმიო-რადიოთერაპია.

ლიმპენსი და მისი კოლეგები იმედოვნებენ, რომ მათ მიერ დამუშავებული მეთოდი მალე რადიკალურად შეცვლის ვითარებას და მილიონობით ადამიანს შეუნარჩუნებს სიცოცხლეს.

სანამ მეთოდი საბოლოოდ ჩამოყალიბდება და მას ოფიციალურად დაამტკიცებენ, როგორც მკურნალობის ეფექტურ საშუალებას, ლიმპენსი და მისი კოლეგები გვირჩევენ, ლიკოპენითა და E ვიტამინით მდიდარი საკვები მივიღოთ. ასეთები კი პომიდორი, ტომატიანი საკვები, გრეიპფრუტი, ყველანაირი მარცვლეული, მანგო, ხასხასა მწვანილი, თხილი, კაკალი და ზეთისხილის ზეთია.

### გენის "გამომრთველი" კიბოს კურნავს

ამერიკელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს გენური მკურნალობის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც, კიბოთი დაავადებული ღვიძლის უჯრედები განიკურნებიან და ნორმალურ უჯრედებად გარდაიქმნებიან ისე, რომ ამით დაავადებული ორგანიზმი არ ზიანდება.

შტატ კალიფორნიის სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, დოქტორმა დინ ფელშერმა, თავის კოლეგებთან ერთად აღმოაჩინა გენი, რომელიც აწარმოებს პროტეინს სახელად MYC (წარმოითქმის, როგორც მიკ), უჯრედების დაყოფა-გამრავლების მექანიზმის მართვაზე რომაა პასუხისმგებელი. ეს გენი აღმოჩენილია ადამიანის რამდენიმე სახეობის კიბოში, სადაც მისი მომეტებული დოზა დიდი ოდენობით გადაგვარებული უჯრედის წარმოქმნას განაპირობებს, ამას კი შედეგად სიმსივნის წარმოქმნა და ზრდა მოსდევს.

ექსპერიმენტის დროს მეცნიერებმა საცდელი თაგვის ღვიძლში "მიკ" პროტეინის კონცენტრაციის ზრდით, ამ ორგანოში კიბოს განვითარება გამოიწვიეს. შემდეგ, თაგვს ძლიერ ანტიბიოტიკ დოქსიციკლინით უმკურნალეს, რამაც გენის გაუვნებლება გამოიწვია, ამას კი შედეგად დაავადებული უჯრედების გამოჯანმრთელება მოჰყვა. ისინი არ განადგურებულან და ღვიძლის ჩვეულებრივ უჯრედებად ტრანსფორმირდნენ.

"ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ექსპერიმენტის დროს ღვიძლის კიბოს უჯრედები ღვიძლის ნორმალურ უჯრედებად გარდაიქმნენ ისე, რომ მათგან არც ერთი არ განადგურებულა. მათგან რამდენიმე სახის უჯრედი წარმოიქმნა და მათ ამ სახით რამდენიმე თვე იარსებეს", - ჰყვება დოქტორი ფელშერი.

ექსპერიმენტის შემდგომ სტადიაზე, თაგვს შეუწყვიტეს ანტიბიოტიკის მიწოდება. შედეგად, გენმა წარმოქმნა დიდი რაოდენობით "მიკ" პროტეინი, მიძინებულმა დაავადებამ კვლავ იჩინა თავი. ამით მკვლევარები დარწმუნდნენ იმაში, რომ სიმსივნური უჯრედები იმავე საწყისიდან ვითარდებიან, საიდანაც ჯანმრთელი უჯრედები.

შვედეთის ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორი ჰაკონ ლეფლერი ამბობს, რომ თაგვებისგან განსხვავებით, ფელშერის მიერ მიგნებული მეთოდის ადამიანებში გამოყენება არ შეიძლება. სამაგიეროდ, იგი თვლის, რომ ამ ნაშრომმა გამოავლინა კიბოსთან ბრძოლის თვისობრივად ახალი, გენური მეთოდიკა, რომლის სამიზნეც იქნება არანორმალურად დიდი რაოდენობით "მიკ" პროტეინის თავმოყრის არე. "მკურნალობისთვის საჭირო იქნება პროტეინის, ან მისი წარმომქმნელი გენის გაუვნებლება", - შვედი მეცნიერის მოსაზრებას იზიარებს გაერთიანებული სამეფოს კიბოს კვლევის ცენტრის მეცნიერი ჯონ ლუნეკი.

მკვლევარები ასევე დარწმუნებულნი არიან, რომ ღვიძლის მკურნალობისას, რეგენერაციის პროცესში ღეროვანი უჯრედებიც არიან ჩართულნი. ამ მხრივ, ღვიძლი სხვა ორგანოებისგან გამოირჩევა. სხვა ორგანოებს რეგენერაციის უნარი თითქმის არ გააჩნიათ. სამაგიეროდ, ღვიძლს თვითაღდგენა შეუძლია. ფელშერი სწორედ ამ უნარით ხსნის იმ ფაქტს, რომ ანტიბიოტიკით მკურნალობის შემდეგ ღვიძლის ქსოვილი აღდგენას ახერხებს. იგივე მიზეზი განაპირობებს იმასაც, რომ ანტიბიოტიკის შეწყვეტისას კიბო კვლავ ვითარდება.

ფელშერი აცხადებს, რომ მისი მორიგი ამოცანა "მიკ" პროტეინზე ზემოქმედების შესწავლაა. და თუ მსგავსი მეთოდი ადამიანზეც ანალოგიურად იმოქმედებს, მაშინ შესაძლებელი იქნება რამდენიმე სახეობის კიბოს სრულყოფილი მკურნალობა. მთავარია, მოიძებნოს ნივთიერება, რომელიც ისევე ეფექტურად იმოქმედებს ადამიანებში, როგორც დოქსიციკლინი მოქმედებს თაგვებზე.

# მეცნიერებმა ფატალური „ესპანური გრიპის" ვირუსი აღადგინეს და გამოიკვლიეს

ამერიკელ და იაპონელ მეცნიერთა ჯგუფმა აღადგინა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მომაკვდინებელი ვირუსი, რომელიც "ესპანური გრიპის" ვირუსის სახელითაა ცნობილი და რომლის პანდემიამაც 1918 წელს ათეულობით მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. სააგენტო ფრანს პრესის ცნობით, ექსპერიმენტები განსაკუთრებული გასაიდუმლოების ვითარებაში, უცნობ ლაბორატორიაში ტარდებოდა, მისი შედეგები კი ჟურნალ "ნეჩურის" ბოლო ნომერში გამოქვეყნდა.

ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა, რომ ჩვეულებრივი ვირუსის მომაკვდინებელ "ესპანური გრიპის" ვირუსად გარდასაქმნელად საკმარისია მასში სულ ორი გენის მუტაციის განხორციელება. ამის დასამტკიცებლად, მკვლევარებმა "ესპანური გრიპის" ვირუსის ორი მთავარი გენი მიუერთეს სრულიად უვნებელ, ჩვეულებრივი გრიპის ვირუსს, რამაც შედეგად ახალი, ლაბორატორიული თაგვებისათვის მომაკვდინებელი ვირუსის შექმნა გამოიწვია.

დანამატები, რომლებმაც გრიპის ვირუსის ქილერად გარდაქმნა გამოიწვია, არის ჰემაგლუტინინის განსაკუთრებული ნაირსახეობა, რომელიც გავლენას ახდენს დასნებოვნებული უჯრედის გარსის ქმედებაზე და ნევრამინიდაზას ცილა.

გამოკვლევის დროს, ტოკიოს უნივერსიტეტისა და აშშ-ის ვისკონსინმედისონის უნივერსიტეტის პროფესორმა იოშიჰირო კავაოკამ და მისმა კოლეგებმა 1918 წელს, "ესპანური გრიპით" დაღუპული ადამიანის ფილტვიდან ამოკვეთილი საკვლევი მასალიდან გამოყვეს ჰემაგლუტინინი, რომელიც ნევრამინიდაზას ცილასთან ერთად, ჩვეულებრივი გრიპის ვირუსს შეუერთეს, მიღებული ვირუსი კი თაგვებზე გამოსცადეს.

სინთეტური ვირუსით ასუნთქეს საცდელი თაგვები, რომლებსაც სამ დღეში სასიკვდილო დაავადება განუვითარდათ. თაგვების გაკვეთისას აღმოჩნდა, რომ მიღებული ვირუსი მათ ფილტვებში ძლიერ სისხლდენას იწვევდა. ეს სიმპტომი კი იგივეა, როგორსაც "ესპანური გრიპის" ვირუსით დაავადება იწვევდა. ამ ცდის საფუძველზე კი მეცნიერებმა წამოაყენეს ჰიპოთეზა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ეს სასიკვდილო ვირუსი. მთავარი კი ისაა, რომ ამ ცოდნის საფუძველზე მეცნიერება მომავალში 1918 წლის პანდემიის მსგავსი კატაკლიზმების თავიდან აცილებას შეძლებს.

ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგების საფუძველზე, დოქტორმა კავაოკამ წამოაყენა ჰიპოთეზა, რომლითაც ამტკიცებს, რომ ამგვარი ვირუსი წარმოიქმნა ფრინველის გრიპის ვირუსის ღორის ორგანიზმში მუტაციის შედეგად. უფრო მეტიც, მეცნიერები თვლიან, რომ ამგვარი რამ გარემოებათა შემთხვევითი დამთხვევის შედეგია. თუმცა, ისინი რეკომენდაციას იძლევიან, ნებისმიერ ვირუსს ჩაუტარდეს ტესტი ჰემაგლუტინინზე, რათა ადრეულ სტადიაშივე აღკვეთილ იქნას პანდემიის რეციდივის შესაძლებლობა.

რაც შეეხება "ესპანური გრიპის" პანდემიას, იგი მთელ მსოფლიოში მძვინვარებდა 1918-1919 წლებში, როცა მინიმუმ, 20 მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ზოგიერთი მონაცემით, მსხვერპლის რაოდენობა 50 მილიონსაც კი აღწევდა. სულ გრიპი თითქმის მილიარდმა ადამიანმა მოიხადა, რაც ჩვენი პლანეტის მაშინდელი მოსახლეობის თითქმის ნახევარს უდრიდა.

დაავადებამ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ახალგაზრდა, ძლიერი მამაკაცი იმსხვერპლა. ყველაზე მეტად იგი პირველ მსოფლიო ომს გადარჩენილ მეომრებს მუსრავდა. სამაგიეროდ, მას შედარებით იოლად იტანდნენ მოხუცები და ბავშვები, რომლებიც, საერთოდ, უარესად ინელებენ ჩვეულებრივ გრიპს. მეცნიერებს ჯერაც არ აქვთ ამ უცნაური მოვლენის პასუხი. თუმცა, ვარაუდობენ, რომ გრიპი ძლიერებს იმის გამო მუსრავდა, რომ მათ სხეულში უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა და სისხლის მიმოქცევა, რაც გრიპის მთელ სხეულზე მოდებას უწყობდა ხელს.

# მცოცავი კაფსულა-რობოტები პაციენტის შიგთავსს გამოიკვლევენ

იტალიელმა და კორეელმა მეცნიერებმა ერთობლივად დაამზადეს საცდელი კაფსულა-რობოტი, რომელსაც ადამიანის მუცელში გადაადგილება და იქაურობის გამოკვლევა შეუძლია. მისი საშუალებით, ექიმები შეძლებენ გამოსაკვლევი პაციენტის მათთვის საინტერესო ორგანოს ვიზუალურ დათვალიერებას. ამაში მათ კაფსულაზე დამაგრებული მიკროსკოპული ვიდეოკამერა დაეხმარებათ.

პროექტზე მუშაობენ იტალიის პონტედერას სანტა ანას საკვლევი ცენტრისა და სეულის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარები, რომლებმაც უკვე დაამზადეს კაფსულა-რობოტის პირველი პროტოტიპი. ისინი ირწმუნებიან, რომ მალე მათი ქმნილება ექიმებს არა მხოლოდ პაციენტის გამოკვლევაში დაეხმარება, არამედ მკურანლობის პროცესშიც მიიღებს მონაწილეობას.

თანამედროვე ენდოსკოპიური გამოკვლევისთვის აუცილებელია, რომ პაციენტმა გამოკვლევისთვის ვიდეოკაფსულა გადაყლაპოს. ამ კაფსულით ექიმი ათვალიერებს მის შიგნეულს, რაც მას დიაგნოზის დასმასა და მკურნალობის კურსის დანიშვნაში ეხმარება. თუმცა, ამგვარი ენდოსკოპიური კაფსულების შესაძლებლობანი შეზღუდულია.

წმინდა ანას ცენტრის მეცნიერი პაოლო დარიო კი დარწმუნებულია, რომ მისი და მისი თანამოაზრეების მიერ დამზადებული მრავალფეხა კაფსულა-რობოტი, რომელსაც ორგანიზმის შიგნით მოძრაობა შეუძლია, მალე ქირურგიულ ოპერაციებშიც მიიღებს მონაწილეობას. "გადაყლაპვის შემდეგ, ასეთი კაფსულა გაიშლება და დაიწყებს დანიშნულების ადგილისკენ მოძრაობას. გზად სხვა ორგანოებსაც დაათვალიერებს და მთელ ინფორმაციას მთავარ ქირურგს მიაწვდის. ჩვენი პროექტის მიზანი გასტროენდოსკოპური გამოკვლევის პროცესის დახვეწა და ოპერაციებში ქირურგებისთვის დახმარებაა", - ამბობს დარიო.



მკვლევართა მიერ დამზადებული პროტოტიპი უკვე გადის პირველ ტესტებს ცხოველთა ორგანიზმში. პირველმა ტესტებმა აჩვენა, რომ კაფსულარობოტის გადაადგილება არ იწვევს ნაწლავის შიდა ქსოვილის დაზიანებას და ისინი უვნებელნი არიან გამოსაკვლევი პაციენტისთვის. ამასთან, მეცნიერები აცხადებენ, რომ მათ აქვთ ჩამოყალიბებული გეგმა, რომელიც კაფსულის ფეხების მოდერნიზაციას ითვალისწინებს.

სხვათა შორის, პირველი საცდელი კაფსულა-რობოტი დიდი გაბარიტებით გამოირჩევა. მისი სიგრძე 25 მილიმეტრია, დიამეტრი კი - 10 მილიმეტრი, რაც ოდნავ მეტია თანამედროვე ენდოსკოპიურ კაფსულებზე. თუმცა, დარიო და მისი კოლეგები ირწმუნებიან, რომ მალე გაბარიტებსაც საგრძნობლად შეამცირებენ.

საინტერესოა, თუ როგორ ახერხებს გადაადგილებას კაფსულა. მისი ნაწილი დამზადებულია სპეციალური შენადნობით, რომელსაც საკუთარი ფორმის დამახსოვრების უნარი აქვს. ამ მახსოვრობის მეშვეობით, ყოველი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, ის თავის უწინდელ ფორმას იბრუნებს.

ყველაზე სერიოზული პრობლემა კი კაფსულა-რობოტის მართვაა. თუმცა, დოქტორი დარიო ამბობს, რომ მალე ის და მისი ჯგუფი ამ პრობლემასაც მოაგვარებენ და შედეგად, მათი კაფსულა პრიმიტიულ ოპერაციებსაც განახორციელებს, რაღა თქმა უნდა, დიპლომირებული ქირურგის შემწეობითა და კარნახით, რომელიც აუცილებელ ვიზუალურ ინფორმაციას, ისევ და ისევ, კაფსულაზე არსებული ვიდეოკამერის მეშვეობით მიიღებს.

# ღეროვანი უჯრედები გულის აღსადგენად

ბრაზილიელმა მკვლევარებმა ექსპერიმენტის დროს შეძლეს, ძვლის ტვინიდან აღებული ღეროვანი უჯრედების გულის ქსოვილში გადანერგვით, დაზიანებული არტერიებისა და კუნთოვანი ქსოვილის აღდგენა. როგორც ამბობენ, თუ ეს მეთოდი ფართოდ დაინერგება მედიცინაში, მაშინ საჭირო აღარ იქნება გულის ტრანსპლანტაციების ჩატარება.

რიო დე ჟანეიროუს კარდიოლოგიური ჰოსპიტალის წამყვანმა სპეციალისტმა, დოქტორმა ჰანს ფერნანდო დომანმა როიტერთან საუბარში განაცხადა, რომ ექსპერიმენტი ხუთ პაციენტზე ჩატარდა, რომლებსაც გულის ტრანსპლანტაცია ესაჭიროებოდათ. ღეროვანი უჯრედების გადანერგვის შემდეგ, ამ ხუთიდან ოთხი იმდენად გამოკეთდა, რომ მათთვის ტრანსპლანტაცია აღარ იყო საჭირო.

"ჩვენი ექსპერიმენტის დროს, ღეროვანი უჯრედები სრულად შეეთვისა დაზიანებულ არტერიოლებს და კუნთოვან ქსოვილებს, რის შემდეგაც ოთხ პაციენტს, რომელთა სიცოცხლის გადასარჩენად აუცილებელი იყო ტრანსპლანტაცია, ეს ურთულესი ოპერაცია აღარ დასჭირდათ", - განაცხადა დომანმა.

სამწუხაროდ, ექსპერიმენტის მიმდინარეობისას, პროცედურების დაწყებიდან 11 თვის შემდეგ, ერთი პაციენტი დაიღუპა. დაღუპვის მიზეზის დასადგენად, მას აუტოპსია ჩაუტარდა, რომლის დროსაც გამოჩნდა, რომ ღეროვანი უჯრედებით თერაპიამ მის გულზეც შესანიშნავად იმოქმედა - გულის ნამკურნალევ არეში შეინიშნებოდა ახალი არტერიები და კუნთის განახლებული ქსოვილი. ამასთან, რაც მთავარია, პაციენტის დაღუპვის მიზეზი გული არ ყოფილა.

"აუტოპსიამ პირველად დაამტკიცა, რომ ღეროვანი უჯრედები რეალურად აკეთებენ საქმეს. ჩვენ პირველად დავრწმუნდით, რომ გულის მკურნალობა ძვლის ტვინიდან აღებული ღეროვანი უჯრედებით რეალურია და მეტად პერსპექტიული. ეს იმ დროს, როცა დადგენილია - ისევე როგორც ნერვული უჯრედები, გულის უჯრედებიც რეგენერაციას არ ექვემდებარებიან", - ამბობს დომანი და დასძენს, რომ ის და მისი გუნდი აგრძელებენ დაკვირვებას მომჯობინებულ პაციენტებზე.

დოქტორმა დომანმა მსგავსი ექსპერიმენტები პირველად 2001-2003 წლებშიც ჩაატარა, მაგრამ მაშინ მეთოდი არ იყო დახვეწილი. პირველი ექსპერიმენტის დროს ღეროვანი უჯრედებით 14 პაციენტს მკურნალობდნენ, კიდევ შვიდი კი მკურნალობის ტრადიციულ კურსს გადიოდა. ექსპერიმენტის ბოლოს, ღეროვანი უჯრედებით ნამკურნალები პაციენტების მდგომარეობა უკეთესი იყო. თუმცა, ექსპერიმენტის დროს ორი მათგანი დაიღუპა. ტრადიციული მეთოდებით მკურალობისას კი მხოლოდ ერთი პაციენტი დაიღუპა. ექსპერიმენტები ტექსასის გულის ინსტიტუტთან ერთად ტარდებოდა. სწორედ ამ ინსტიტუტში დამზადდა ღეროვანი უჯრედების ინჟექტორი (შემფრქვევი).

ცნობისათვის, ღეროვან უჯრედებს ხშირად სამშენებლო უჯრედებსაც უწოდებენ. ზრდასრული ადამიანის ძვლის ტვინი დიდი რაოდენობით შეიცავს ასეთ უჯრედებს, რომლებიც მეტწილად სისხლის უჯრედებად გარდაიქმნება. იმავდროულად, მათ გააჩნიათ თვისება, გარდაიქმნან სხვადასხვა ორგანიზმის უჯრედებად, მათ შორის, სისხლის თეთრ უჯრედებად, სისხლძარღვებისა და გულის კუნთის უჯრედებად. დოქტორი დომანი და მისი კოლეგები ვარაუდობენ, რომ მათ მიერ გამოყენებული მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ორგანოების სამკურნალოდაც.

# ჩინური მიკრორობოტები ჯანმრთელობის სამსახურში

ჩინელმა მეცნიერებმა დაამზადეს მიკროსკოპული მცურავი რობოტები, რომლებიც მოწოდებულნი არიან, გამოკვლევა ჩაუტარონ პაციენტის არტერიებს და თუ საჭირო იქნა, დაასუფთაონ კიდეც ისინი. 3 მილიმეტრის სიგრძის მქონე, სამკუთხა ფორმის რობოტები, პეკინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ ტაო მეის ხელმძღვანელობით, ჩინეთის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაამზადეს.

მიკრორობოტის მამოძრავებელია გარე მაგნიტური ველი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ალუმინის შენადნობისგან დამზადებული ფარფლები. რობოტის სიჩქარის რეგულირება შესაძლებელია გარე მაგნიტური ველის რეზონანსული სიხშირის ცვალებადობით.

ტაო მეი ამბობს, რომ მისი პროექტი განხორციელების ადრეულ სტადიაშია და მას დიდი პერსპექტივა აქვს. მისი აზრით, შორიდან მართვადი მიკრორობოტები მომავალში კიდევ უფრო მცირე ზომისანი გახდებიან და პაციენტის გამოკვლევის გარდა, მალე დაავადებულ ადგილამდე წამლის მიტანასაც შეძლებენ. "მოზრდილი" ზომების გამო, პირველი რობოტები მხოლოდ არტერიებში გადაადგილებისთვის არიან განკუთვნილნი, მაგრამ ზომის შემცირებასთან ერთად, ისინი უფრო მცირე განივკვეთის მქონე სისხლძარღვებში ცურვასაც შეძლებენ და, ბუნებრივია, მათი გამოყენების არეალიც გაიზრდება.

"დღეს ჩვენ მილიმეტრიანი რობოტის შექმნაზე ვმუშაობთ, მაგრამ პერსპექტივაში 0.1 მილიმეტრიანი რობოტის დამზადებას ვაპირებთ, რაც სისხლძარღვთა სისტემაში თავისუფლად მოძრაობის საშუალებას მოგვცემს. უფრო შორეულ პერსპექტივაში კი ნანოტექნოლოგიებსაც ჩავრთავთ საქმეში", - განუცხადა ჟურნალ "ნიუს საიენსს" ტაო მეიმ.

აღსანიშნავია, რომ აქამდე ყველაზე მცირე ზომის რობოტი, რომელსაც ცურვა შეეძლო, სიგრძეში 8 მილიმეტრი იყო და, ბუნებრივია, არტერიებში მის გადაადგილებაზე მეცნიერებს ოცნებაც კი არ შეეძლოთ. ჰონგ კონგის უნივერსიტეტის მეცნიერი, რობოტების სპეციალისტი კინ ფონგ ლეი თვლის, რომ მალე ასეთი რობოტებით შესაძლებელი იქნება ადამიანის ორგანიზმის ამა თუ იმ ნაწილში წამლის მიტანა და იქ გაფრქვევა. ეს კი მეტად მნიშვნელოვანია მაშინ, როცა პაციენტს ძლიერ ტოქსიკური წამლების მიღება სჭირდება, კერძოდ კი, ონკოლოგიაში.

თვალსაზრისით

# შეთქმულება მოქალაქეთა წინააღმდეგ

შალვა თევდორაძე

2004 წლის 18 სექტემბერს თბილისში ამოქმედდა გაურკვეველ "მეცნიერთა" ჯგუფის მიერ გამოგონილი ველოსიპედი, სახელად "შეუფერხებელი მოძრაობის სამკუთხედი". რამდენიმე დღეში, მხოლოდ მას მერე, რაც ყველასთვის ნათელი გახდა, რომ სიახლემ არ გაამართლა, ქალაქის მერმა გამოგონებას სახელი შეუცვალა და შეგვატყობინა, რომ თურმე ეს ყოფილა ექსპერიმენტი - ექსპერიმენტი ქალაქის ცენტრში, რომელმაც არ გაამართლა, მაგრამ ძალაში რჩება ამპარტავნობისა და სიზარმაცის გამო. ჩემი თავდაჯერებულობა, რომ "სამკუთხედმა" არ გაამართლა, გამომდინარეობს იქიდან, რომ ამ ცვლილებით კმაყოფილი ძალიან ცოტა ადამიანი მინახავს (მათ რიცხვში არიან: მერი, პრემიერი და ადამიანები, რომლებიც ტელეკამერების წინ პირფერობენ), ხოლო უკმაყოფილო ძალიან ბევრია - მძღოლიც და ქვეითად მოსიარულეც.

იდეის ავტორებსა და შემსრულებლებს მინდა ვუთხრა, რომ საცობსა და პიკის საათის დროს მოძრაობას შორის დიდი სხვაობაა. საცობი წარმოიქმნება სხვადასხვა სახის ავარიული შემთხვევის შედეგად. პიკის საათის დროს მოძრაობა კი არის კარგად ორგანიზებული მოძრაობა, რომელსაც დაბალი ტემპი აქვს. მას უმტკივნეულოდ ეგუება განვითარებული საზოგადოება. თბილისში, სადაც ადამიანების უმრავლესობას სამოქალაქო კულტურა არა აქვს, მოძრაობა პიკის საათის დროს ემსგავსება საცობს. ამაში დამნაშავეა ყველა. პირველ რიგში, ქალაქის მერია, რომელიც არ ზრუნავს ქუჩების დახაზვაზე, ორმოების ამოვსებაზე, პოლიციისგან არ მოითხოვს წესრიგის დამყარებას და საშუალებას იძლევა (დაინტერესებულია კიდეც), იაროს იმდენმა "მარშრუტკამ", რომ, საკვირველია, საერთოდ როგორ ვახერხებთ გადაადგილებას. საკვირველია აგრეთვე, რომ **მთავრობა ზრუნავს თავხედური მოძრაობის შეუფერხებლობაზე და არა მის აღკვეთაზე.** სამკუთხედზე ხალხის ურყოფითი რეაქციის შემდეგ ზურაბ ჟიაბერაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერიმენტს ქალაქი მოუმზადებელი შეხვდა: ქუჩები არ იყო დახაზული, არ იყო გათვლილი "პარკინგი"... ითქვა აგრეთვე, რომ აპირებენ "მარშრუტკების" რაოდენობის შემცირებას (რასაც რევოლუციის პირველივე დღეებიდან გვპირდებიან), ტროლეიბუსის ხაზების გადატანას პერიფერიებში. ყველაფერ ამის შემდეგ ქალაქის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ექსპერიმენტი გაამართლებს.





*ქალაქის ზოგიერთ უბანში, მიუხედავად იმისა დღეა თუ ღამე, ტრანსპორტის მოძრაობა ჭირს.*

თუ მერიას შეუძლია ქუჩები დახაზოს, "პარკინგი" განსაზღვროს, "მარშრუტკების" რაოდენობა შეამციროს, ორმოები ამოავსოს (სხვათა შორის, ეს ღონისძიებები გაცილებით ნაკლებად ხარჯიანია) ან გააკეთოს რაიმე ისეთი, რაც ნორმალურ მოძრაობას შეუწყობს ხელს, მაშინ რა საჭირო იყო ეს მოუხერხებელი და უაზრო ექსპერიმენტი, რომელსაც "შეუფერხებელი მოძრაობის სამკუთხედი" დაარქვეს?

ამ "სამკუთხედის" უარყოფით მხარეებზე ბევრი რამ შეიძლება ითქვას (დადებითი მას, ალბათ, არც აქვს), მოკლედ წარმოგიდგენთ ჩემი უკმაყოფილების მიზეზებს:

მკვეთრად გაუარესდა უბნის ეკოლოგიური მდგომარეობა. ყოველდღე ათეულობით ათასი მანქანა გადის ზედმეტ კილომეტრებს, წვავს ზედმეტ საწვავს და ზედმეტად აბინძურებს ჰაერს. ასე რომ, ხელი შევუწყეთ ეკოლოგიისა და ეკონომიის იგნორირებას. ვიღაცამ შეიძლება იფიქროს, რომ საცობი არანაკლებად აბინძურებს ჰაერს... ჩემი აზრით, ვარაზის ხევში მანქანის ავლით ჰაერის დაბინძურებას ვერაფერი შეედრება. ღირს თუ არა "შეუფერხებელი" მოძრაობა იმად, რომ ხალხმა გაზის კამერაში იცხოვროს. თუ გავზომავთ უნივერსიტეტთან გზაჯვარედინზე ჰაერის დაბინძურების ხარისხს, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ამ სამკუთხედის დანიშნულება სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ხალხს რაც შეიძლება მეტად ავნოს (და ეს არ გეგონოთ გაზვიადებული).

უნივერსიტეტთან ვარაზის ხევზე გადასვლა შეუძლებელია. მძღოლები წითელ შუქზე, როგორც წესი, მანქანებს არ აჩერებენ. ანდა, აჩერებენ არა იქ, სადაც უნდა გააჩერონ, არამედ იქ, სადაც ქვეითად მოსიარულემ უნდა გადაიაროს. ადრე იძულებულნი იყვნენ, მანქანებისთვის დაეთმოთ გზა. ახლა კი ქვეითებს ხომ არ დაუთმობენ, ისინი ხომ პატივისცემას არ იმსახურებენ, მათ ხომ კარგი მანქანების შესაძენად ფული არ მოუპარავთ. სხვათა შორის, ასე ფიქრობენ მერიაშიც: მწვანე შუქი ავტომობილებისთვის საკმაოდ დიდხანს ანთია, ხოლო ქვეითებისთვის იმდენად ცოტა ხანს, რომ ძლივს ვასწრებ ვითომ გაჩერებული მანქანების გვერდის ავლით გადარბენას. რომ აჩერებდნენ კიდეც იქ, სადაც საჭიროა, მოხუცი ფიზიკურად ვერ მოასწრებს გადასვლას. გვესმის, რომ მოხუცებზე ზრუნვა მთავრობისთვის არ არის მომგებიანი (სამწუხაროდ, ტრადიციულად), მაგრამ უზნეობად მიმაჩნია მათი მხრიდან წამდაუწუმ ევროპაზე ლაპარაკი, როცა დედაქალაქის ცენტრში მოხუცს არ შეუძლია ქუჩაზე გადასვლა.

არ ვიცი, ვინ არის რეცეპტის ავტორი, მაგრამ ფაფა მოიხარშა ზურაბ ჟიაბერაშვილისა და ბიძინა ბრეგაძის ხელმძღვანელობით. ახალგაზრდებს ვურჩევ, პასუხისმგებლობით მოეკიდონ დაშვებულ შეცდომებს.

ბევრი ადამიანის სახელით მინდა ვთხოვო ქალაქის ხელმძღვანელობას, აღადგინოს ქალაქში ნორმალური საავტომობილო მოძრაობა, რისი გაკეთებაც მათ, ალბათ, არ უნდათ ზემოთ აღნიშნული თვისებების გამო. განსაკუთრებით მას მერე, რაც გიორგი ახვლედიანის ქუჩა საქვეითოდ გადააკეთეს (სხვათა შორის, რაც მეტი საქვეითო ქუჩა იქნება თბილისში, მით უკეთესი, მაგრამ რატომ ჰგონიათ მთავრობაში, რომ ვინმეს შეიძლება ესიამოვნოს მეტისმეტად უხარისხოდ დაგებულ ქვაფენილზე სეირნობა და შემწვარი გოჭებისა და პლასტმასის ტორტების თვალიერება). ეს სიახლე წესრიგის დამყარების შემთხვევაში სხვა ქუჩების გამტარუნარიანობაზე ზეგავლენას ვერ მოახდენს.

მე მაქვს რამდენიმე კონკრეტული მოსაზრება, თუ როგორ მოწესრიგდეს მოძრაობა ამ განსაკუთრებულ რაიონში, რასაც სიამოვნებით გავუზიარებდი შესაბამის სამსახურებს, თუ მათი მხრიდან კეთილი ნება იქნებოდა. მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მთავარი ამ მოსაზრებებში არის ის, რაც ყველამ კარგად იცის, მაგრამ რისი რეალიზებაც თითქმის არავის სჩვევია - წესრიგი და მოძრაობის წესების დაცვა.

გთხოვთ, ნუ ამახინჯებთ ქალაქის სახეს, აღადგინეთ ნორმალური მოძრაობა და დაამყარეთ წესრიგი.

სკანვორდი




1. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ფრანგი კინომსახიობი; 3. ქიმიური ელემენტი; 4. ჯ. ვერდის ოპერა; 5. ფრანგული რესპუბლიკური კალენდრის მეშვიდე თვე; 6. მოკლე დისტანციაზე მორბენალი; 7. ქვის სასწორი იარაღი; 8. გერმანული ყოველკვირეული გაზეთი; 9. ნ. ბარათაშვილის ლექსი; 10. რუსული ესტრადის მომღერალი ქალი; 11. ერჩხული ძველბერძნულ მითოლოგიაში; 12. საკვების დღიური ულუფა; 13. რაიმე საქმიანობაში მიღწეული მდგომარეობა; 14. რ. ვაგნერის ოპერა; 15. დიდი ზომის ჩანთოსანი ცხოველი; 16. მოვერცხლისფრო რბილი ლითონი; 17. მე-18 საუკუნის ფრანგი დრამატურგი; 18. დიდმარხვის წინა კვირა; 19. რაიცენტრი სვანეთში; 20. შენობის შვეული ბრტყელი ნაწილი; 21. სვანური ცეკვა; 22. შვედეთის საფეხბურთო კლუბი; 23. გეომეტრიის განხრა; 24. საფრანგეთის ეროვნული ჰიმნი; 25. "ევგენი ონეგინის" პერსონაჟი; 26. პირველი რუსული არალეგალური გაზეთი; 27. სამთო-სამრეწველო საწარმო; 28. თაოსნობა რაიმე წამოწყებაში; 29. მოსკოვის სამხატვრო გალერეის დამაარსებელი; 30. დენის ძალის საზომი ერთეული; 31. პერსონაჟი რომანიდან "მე ვხედავ მზეს"; 32. ცეცხლსასროლი იარაღის დამცემი ნაწილი.

## TV პროგრამა

18 ნოემბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ხალხის პირისპირ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ცოტა რამ გოგონების შესახებ" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელეღიპუცები" **18.20** "ადამიანი ობობა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** "ვის უნდა 50 ათასი" **23.00** დოკ. ფილმი "ყველაზე მდიდრული სახლები" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ქალბატონი "ო". მთ. რ-ში: მანტე ნაირი (18)ყ **02.10** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.30(შვეიცარია), 02.55(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.05** ზანგების მუსიკის დიდი ისტორია. დოკ.ფილმი. **08.30** ტელედილა. **08.30** ტელეტურიზმი. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **12.15** ამღვრეული წყალი. ტელესერიალი. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ფრანს-ევროპ ექსპრესი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.45** ციხე-სიმაგრეების ისტორია. დოკ.ფილმი. **23.00** ხოშიმინის ნაკვალევზე. დოკ. ფილმი. 04.20ერთად გატარებული რამდენიმე დღე. ტელესერიალი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** სერიალი "გადაადგილების საშუალებანი" **10.05** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "თუში მეცხვარე" (გ) მე-2ს. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "ზღვის რაჯა" **13.00** მიამბეთ თქვენზე **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "წმინდა ელენეს კუნძული" **15.20** დოკ. ფილმი "ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** დოკ. სერიალი "დიზაინი" **16.30** "მრავალჟამიერ" **17.00** სერიალი "გადაადგილების საშუალებანი" **17.30** დოკ. ფილმი "ევროპის ახალი სახე" - კვიპროსი **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. ფილმი "ცხოველთა სტრატეგია" **19.00** "განათლების პროექტი საქართველოში" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "ზღვის რაჯა" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "თუში მეცხვარე" (გ) მე-3 ს.

### კავკასია

**15.00** ქართული მუსიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20, 21.00** სპექტრი **00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **19.50** "ჯეოსტარი" შესარჩევი ტური **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "შურისძიება" (გ) (ტერეს ჰილი)

### მეორე არხი

**19.00** საბ. სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **19.25** სერიალი "დანაშაული" **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** მრავალჟამიერ **21.25** დოკ. ფილმი "ევროპის ახალი სახე"-კვიპროსი **21.50** "მიამბეთ თქვენზე" **22.35** მხ. ფილმი "მშვენიერი ხანა" (გ)

**18.00** მინისერიალი "ადვოკატთა ბიურო" მე-11 ს. **19.05** დოკ. ფილმი **20.05** კონცერტი **22.05** მხ. ფილმი "ორნი სატვირთო მანქანაში" (12)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** "ახალი ნატო" **12.10** სპ. პროგრამა "ასი" **12.40, 16.25, -02.20** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ჩემი მტრის მტერი" (გ) (ტ. ბერენჯერი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.45, 22.00, 02.10** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **17.15, 02.50** იმედის მელოდიები **17.25** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" 1-ლი ს. **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "მტვრის გემო" 1-ლი ს. **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" მე-6 ს. **23.10** "პირველი ნახევარი" **23.40** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **00.10** ქართ. დოკ. ფილმი "მარბენალი" (გ) **01.15** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** კომედიური ბოევიკი "სოფლის დათვები" **10.45** ისტორიული ფილმი "ალექსანდრე დიდი" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** ფილმის გაგრძელება **13.10** ბოევიკი "ცივი სისხლი" **14.45** მხ. ფილმი "საიმპერატორო კლუბი" **16.35** მულტფილმი **17.45** თბილისის სახ. პანტომიმის თეატრის მინიატურები **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.45** მხ. ფილმი "ერთხელ მიდლენდში" **21.00** ვესთერნი "დაუნდობელი დიუკი" **23.10** მუსიკა **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.45** კომედია "უგრომოდ ბევერლი ჰილზში"

### ОРТ

**06.00** “Доброе утро” **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости**.** **09.20, 21.30** Сериал **“МОСКОВСКАЯ САГА”. 10.30, 19.00** Сериал **“КЛОН”. 11.30** “Звезды эфиры”. Тарапунька и Штепсель**. 12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30** Дисней-клуб: "Утиные истории"**. 13.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Сериал **"СТИЛЕТ"**. Заключительная с. **17.00** “Пять вечеров”. Четверг**. 18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко**. 19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30** Время**. 22.40** Спецназ. “Засада у “волчьей ямы”**. 23.50** "Фабрика звезд"**. 00.10** Ударная сила. “Калашников”**. 00.40** Максим Никулин в программе “Форганг”**. 01.10** Сериал **“ИСЧЕЗНОВЕНИЕ”. 02.50** Что? Где? Когда? Финал осенних игр**. 04.10** Триллер **“МЕССИЯ”**. Закл. с. **05.05** Док. сериал “История живописи сестры Венди”.

### НТВ

**06.00** “Сегодня утром” **09.05** Сериал **“МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ”. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** “Сегодня” **10.20** Криминальная Россия**. 10.50** Кулинарный поединок**. 11.50** Сериал **“ГОСПОДА ОФИЦЕРЫ”. 13.30** Сериал **“ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА”. 14.30** Худ. фильм **“УБЕЙ МЕНЯ! НУ, ПОЖАЛУЙСТА”. 1**-я с. **15.35** Чрезвычайное происшествие**. 16.20** Ток-шоу “Принцип домино”**. 17.30** Сериал **“СЫЩИКИ-3: НЕ СТРЕЛЯЙТЕ В ПИАНИСТА”**. Часть 2-я**. 18.35** Чрезвычайное происшествие**. 19.40** Сериал **“ГОСПОДА ОФИЦЕРЫ”**. Заключительная с. **20.50** Худ. фильм **“УБЕЙ МЕНЯ! НУ, ПОЖАЛУЙСТА”. 2**-я с. **22.00** “Страна и мир” **22.40** “К барьеру!” Ток-шоу **00.15** Дольф Лундгрен в боевике **“СОЛДАТЫ ФОРТУНЫ” 02.30** Бильярд**. 03.10** Сериал “Дикий мир. Борьба за выживание: королева львиц”**. 04.10** Сериал **“ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА”. 04.55** Сериал **“МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ”. 05.40** Чрезвычайное происшествие.



Athen
Barcelona
Bari
Berlin
Bilbao
Bologna
Budapest
Dresden
Dublin
Edinburg
Faro
Hamburg
Helsinki
Ibiza
Lisbon
London
Manchester
Madrid
Marseille
Milan
Malaga
Mallorca
München
Nice
Palermo
Palma
Paris
Pisa
Prague
Rome
Sevilla
Stockholm
Thessaloniki
Vienna
Warsaw
Valencia
Venezia
Zurich

KÖLN/BONN — TBILISI

თბილისი - კიოლნი/ბონი

ყოველ ორშაბათს
ST 1140 CGN-TBS 21:30/03:40

ყოველ სამშაბათს
ST 1141 TBS-CGN 04:40/07:05

ერთი გზა 255 EURO
ორი გზა 390 EURO

www.gexx.de

Sheraton Metechi Palace
20, Telavi St.
0209 Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 773171
Fax: +995 32 774171
sales@valley.ge

Flughafen Koeln/Bonn
51147 Koeln, Germany
Fax: +49-2203-54490
Georgien@GermaniaAirline.de
Callcenter: +49 1805 737100

Germania
Germania Fluggesellschaft mbH


# პრემიერამ ტკბილ მოგონებებში ჩაიარა




ლოს ანჯელესში ოლივერ სტოუნის გახმაურებული პროექტის, "ალექსანდრეს" მსოფლიო პრემიერა გაიმართა. ჩვენებაზე დასასწრებად ფილმში მონაწილე წამყვანი მსახიობები გამოცხადდნენ - თავად ალექსანდრე მაკედონელი - კოლინ ფარელი, მისი დედა - ანჯელინა ჯოლი და მამა - ველ კილმერი. ახალგაზრდა ირლანდიელის დედა - ანჯელინა ცხოვრებაში მასზე ერთი წლით არის დიდი, მაგრამ მასაც და კილმერსაც გრიმის საშუალებით ასაკი ფილმში არ ეტყობათ.

ლოს ანჯელესის პრემიერაზე ფარელმა განაცხადა: "ალექსანდრე ყველაფერი იყო. ის ურთიერთწინააღმდეგობათა მთელ კომპლექსს ფლობდა. იყო ნაზიც და იყო ძლიერიც, იყო დახვეწილი ბუნებისაც და იყო ველურიც".

თავის მხრივ, კომენტარს ველ კილმერიც აკეთებს. "დორსის" შემდეგ "ალექსანდრე" მისი და სტოუნის მეორე ერთობლივი პროექტია. კილმერი აღნიშნავს: "ათი წლის წინ "დორსის" გადაღებებზე ჩვენ შესანიშნავი დრო გავატარეთ. მაგრამ ახლა უკეთესი იყო, რადგან მე არ მაწუხებდა მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობის პასუხისმგებლობები. ვამაყობ კოლინ ფარელით. მიმაჩნია, რომ ეს მისი საუკეთესო როლია. მთელი დასი შესანიშნავი იყო".

გადაღებებისა და მომზადების პროცესს თვითონ ფარელიც იხსენებს. მსახიობებს ხომ ძლიერი ფიზიკური მომზადება დასჭირდათ საბრძოლო ფორმაში ჩასადგომად. "რთული იყო ყოველმხრივ - ფიზიკური დატვირთვის მხრივაც და ემოციურადაც. ყველამ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინეთ და, მგონი, შედეგიც კარგი გამოვიდა", - აღნიშნა მსახიობმა.

"ალექსანდრეს" გადაღება პროდიუსერებს 150 მილიონი დოლარი დაუჯდათ. მაკედონელის თემის გათამაშებას რეჟისორი ბეზ ლურმენიც აპირებს, მთავარ როლზე კი ლეონარდო დი კაპრიოს მიიწვევს. თუმცა, ჯერჯერობით, მეორე "ალექსანდრეზე" მუშაობა შეჩერებულია. რეჟისორს სურს, ნახოს, თუ როგორ მიიღებს მაყურებელი ოლივერ სტოუნის თვალით დანახულ მაკედონელს.


ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა ყველაზე ჭკვიანის მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს ! მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

1 სახელი, გვარი და მამის სახელი
2 მისამართი
3 საკონტაქტო ტელეფონის ნომრები
4 დაბადების თარიღი
5 სკოლა
6 კლასი
7 მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი
8 მშობლის ან მეურვის ხელმოწერა
9 დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 იანვრისთვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2, ვაჟა ფშაველას 45, 0177 თბილისი



საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ჭ.უზნაძის N70
ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge



თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24



12-მდე

შენ 11 ან 12 წლის ხარ და გაქვს სურვილი, მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის გადაცემაში "ყველაზე ჭკვიანი"?!
მაშინ აუცილებლად უნდა შეიძინო გაზეთი "12-მდე", რადგან მხოლოდ ჩვენს გაზეთში იბეჭდება ამ გადაცემის მონაწილის ანკეტა!
გარდა ამისა, 12 წლამდე ასაკის ყველა ბავშვს გაზეთი "12-მდე" აძლევს შანსს, მონაწილეობა მიიღოს პარიზის დისნეილენდის ორი საგზურისათვის გამოცხადებულ კონკურსში, გაიმარჯვოს და ზამთრის არდადეგები დისნეის სამყაროში გაატაროს.
მაშ ასე, შეიძინე გაზეთი "12-მდე" და ხდები ზღაპრული კონკურსისა და ტელეგადაცემის მონაწილე!

ყველაზე ჭკვიანი

DISNEYLAND PARIS


# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.